გაზეთი „ქართული სიტყვა“ ინტერნეტში www.qartulisityva.ge

ქართული სიტყვა

„შენ — უკვდავების ჩამონადენო, მშვენიერებაც ხომ შენით ითქვა;
დიდება შენდა, ჩემო ნათელო — ქართულო სიტყვავ, ქართულო სიტყვავ!“

№46 (310)

ფასი 1 ლარი

25 ნოემბერი – 1 დეკემბერი 2015 წ.

ლიტერატურა, ხელოვნება, პოლიტიკა

გამოდის ოთხშაბათობით

ქართველ პოლიტიკოსთა ნარკოინტერესები

კრიმინალური ბიზნესით ნაშოვნი მილიონები და ავღანური ჰეროინის გზა ფოთიდან ოდესამდე

>>> მე-10-11 გვ.

ძიბარ ხალვაშმა სტრასბურგის სასამართლოს მიმართა და სახელმწიფოსგან 200 მილიონ ევროს ითხოვს?!

როგორ ყალიბდება სატელეფონო საუბრები — ექსპერტის სკანდალური აღიარება

>>> მე- 4 გვ.

„პაატა ბურჭულაძის მთავარი საყრდენი მრევლი იქნება!“

„საქართველოში სრული პარტოკრატიული მმართველობაა და ხალხის ინტერესები აბსოლუტურად იგნორირებულია!“

>>> მე-2-3 გვ.

>>> მე-8-9 გვ.

ალეკო ელისაშვილი დავით ნარმანიასთან კულუარული შეხვედრის დეტალებს ყვება

„ივანიშვილმა ეს ლონდრეები დაგვიტოვა!“

„მითხრეს, რომ ძალიან ფრთხილად ვიყო...“

რატომ აპირებს დავით უსუფაშვილთან დარეკვას და ვის ეძახის საქმოსნებს ირაკლი ღლონტი

>>> მე-9 გვ.

ყველაფერი „ისლამურ სახელმწიფოზე“

>>> მე-14-15 გვ.

რა კავშირი აქვთ პორნოინდუსტრიასთან და ვინ აფინანსებს ტერორისტებს

2 | № 46 (310) | 25 XI - 1 XII

ᲥᲐᲠᲗᲣᲚᲘ ᲞᲝᲚᲘᲢᲘᲙᲐ

ᲚᲘᲢᲔᲠᲐᲢᲣᲠᲐ. ᲖᲔᲚᲝᲕᲜᲔᲑᲐ. ᲞᲝᲚᲘᲢᲘᲙᲐ

ᲧᲝᲕᲔᲚᲙᲕᲘᲠᲔᲣᲚᲘ ᲒᲐᲖᲔᲗᲘ, ᲒᲐᲛᲝᲓᲘᲡ ᲝᲗᲮᲨᲐᲑᲐᲗᲝᲑᲘᲗ

„შენ — უკვდავების ჩამონადენო, მშვენიერებაც ხომ შენით ითქვა;
დიდება შენდა, ჩემო ნათელო — ქართულო სიტყვავ, ქართულო სიტყვავ!“

სპანდალური ექსკლუზივი

„პაატა ბურჭულაძის მთავარი საყრდენი მრევლი იქნება!“



„პარლამენტის მიერ მიღებული კანონები ხალხის მოთხოვნებს არ პასუხობს. ისევ დგას სამართლიანობის პრობლემა. არადა, „ოცნება“ ხელისუფლებაში სამართლიანობის აღდგენის საბაბით მოვიდა. თუ სამართლიანობას არ აღადგენ, შენც რეჟიმი გახდები! „ოცნება“ სისტემურ ცვლილებებზეც ლაპარაკობდა, მაგრამ ამ კუთხითაც არაფერი გაუკეთებია, რადგან მთავარი სისტემური ცვლილება ის იქნებოდა, ხალხისთვის ხელისუფლების გაკონტროლების მექანიზმები დაებრუნებინა“.

„საქართველოში სრული პარტოკრატიული მმართველობაა და ხალხის ინტერესები აბსოლუტურად იგნორირებულია!“

ქართულ პოლიტიკაში ახალი მოცემულობაა: ასპარეზზე მსოფლიოში ცნობილი ბანი, პაატა ბურჭულაძე გამოდის. შესაძლოა, ვინმეს 2012 წლის არჩევნების წინა პერიოდის „დეჟავიუ“ აქვს და ფიქრობს, რომ მოვლენები „ოცნების“ სცენარით განვთარდება, მაგრამ უშიშროების თადარიგის პოლკოვნიკი, უსაფრთხოების ექსპერტი კონსტანტინე ფორჩხიძე „ქართული სიტყვის“ ექსკლუზიური ინტერვიუების ციკლში აცხადებს, რომ ბურჭულაძე ივანიშვილის ნაბიჯებს არ გაიმეორებს. ფორჩხიძის თქმითვე, ბურჭულაძის მთავარი საყრდენი მრევლი იქნება, რადგან ის ეკლესიაში დიდი ნდობითა და ავტორიტეტით სარგებლობს. ამ კონტექსტში, როგორც ქართველი სპეცსამსახურელი მიიჩნევს, „ოცნებას“ ერთგვარი „ჩავარდნა“ აქვს. „კოალიციაში ლიბერტარიანელები არიან და იმ ადამიანებს, რომლებიც ჭეშმარიტი მართლმადიდებლური ცხოვრებით ცხოვრობენ, „ოცნების“ სასარგებლოდ არჩევანის გაკეთება უჭირთ“, — განმარტავს ფორჩხიძე და აქცენტს კიდევ რამდენიმე მნიშვნელოვან დეტალზე აკეთებს.

კონსტანტინე ფორჩხიძე: — „ქართული სიტყვა“ ჭეშმარიტი ქართული სიტყვის ბასტიონია და თქვენთან იმიტომ ვთანამშრომლობ, რომ ადამიანს საკუთარი აზრის გამოსათქმელად სრული კარტ-ბლანში აქვს.

— ვინმემ გითხრათ, „ქართულ სიტყვასთან“ რატომ თანამშრომლობო?

— რაღაც-რაღაც მომენტები იყო, ანუ რატომ მაინცდამაინც ამ გაზეთთანო. რატომ და, — ჯერ ერთი, დამოუკიდებელი სარედაქციო პოლიტიკა გაქვთ. მეორეც, „ქართული სიტყვა“ ნამდვილი სახალხო გაზეთია, რომელიც მხოლოდ პოლიტიკური შინაარსის წერილებს კი არ აქვეყნებს, არამედ, ადგილს ლიტერატურასაც უთმობს, პოეზიასა და ხელოვნებასაც. სწორედ ამით განსხვავდებით სხვა მედიასაშუალებებისგან. მოკლედ, „ქართულ სიტყვას“ მეტად დიდი მნიშვნელობა აქვს!

— დიდი მადლობა, მაგრამ დღევანდელი საუბარი ასე რატომ დაიწყეთ?

ასე იმიტომ დავიწყე, რომ ადამიანთა ჯგუფები აპელირებენ, ქართული პოლიტიკის მიმდევრები ვართო, თუმცა არ განმარტავენ, თუ რას ნიშნავს ქართული პოლიტიკა და იდეოლოგია.

კი ბატონო, ენა, მამული, სარწმუნოება, მაგრამ ეს ჩვენი დიდი წინაპრისგან დატოვებული პოსტულატია, რომელიც განვითარებას საჭიროებს, მაგრამ ის პოლიტიკური სპექტრი, რომელიც ახალი პოლიტიკური მოძრაობის შექმნას ცდილობს, ამ ფორმულას ვერ ავითარებს.

...არაერთხელ მითქვამს, რომ შიდა პოლიტიკაზე მნიშვნელოვან გავლენას საგარეო ფაქტორი ახდენს, თუმცა ზოგიერთი ფიქრობს, რომ შიდა პრობლემების მოგვარება მხოლოდ ქვეყნის იზოლაციითაა შესაძლებელი და გაიძახის, რად გვინდა ევროპა, აშშ, ან რუსეთი, ჩვენ ჩვენი პოლიტიკა უნდა გავატაროთო, მაგრამ საქართველო პატარა ქვეყანაა, შესაბამისად, დამოუკიდებელ პოლიტიკას ვერ გაატარებს, რადგან მსოფლიო პოლიტიკის სხვა დიდ მოთამაშეებზეა დამოკიდებული. ამდენად, იმის ძახილი, ქართული პოლიტიკის მიმდევარი ვარო, ჩემთვის ცოტა გაუგებარია, მით უმეტეს, რომ ე.წ. რეალ-პოლიტიკა დიდი და რეგიონალური მოთამაშეების ინტერესებსაც ითვალისწინებს. მოკლედ, იზოლაციაში არ უნდა მოვექცეთ, მაგრამ ბუნებრივია, საკუთარი ინტერესებიც უნდა დავიცვათ. ისე, თუკი იზოლაციის პოლიტიკას გავატარებთ, შეიძლება, მხოლოდ შიმშილამდე კი არა, გაქრობის პირამდეც მივიდეთ.

— იზოლაციის პოლიტიკას ვინ ატარებს?

— იზოლაციის პოლიტიკის ნიშნები იმ პოლიტიკური ძალის, ასე ვთქვათ, პიარში იკვეთება, რომელსაც ქუჩის სეგმენტი უკავია. ენის, მამულისა და სარწმუნოების დაცვა იზოლაციით კი არა, დემოკრატიით შეიძლება! ამას წინათ, პრემიერმა განაცხადა, ჩვენი ხელისუფლების მთავარი ღირებულება ადამიანიაო, რაც აბსოლუტურად სწორი განმარტებაა, მაგრამ თუკი ეს გვინდა, მაშინ ადამიანის უფლებებს მეტი ყურადღება უნდა დავუთმოთ. სხვათა შორის, ევროპაში ყველაფერი სწორედ ადამიანის უფლებებზეა დაფუძნებული. თუ ატყობთ, ვიღაცები პროპაგანდას ეწევიან, ხედავთ, დასავლეთში ნაციონალიზმმა და ქსენოფობიამ გაიღვიძა, მაგრამ ამის ევროპულ ღირებულებებთან გაიგივება არ შეიძლება. კი ბატონო, იდეალური საზოგადოება არც იქაა, მაგრამ დემოკრატია იმით ფასდება, თუ რამდენადაა ხალხი მმართველობასთან ახლოს, თუმცა დღეს საქართველოში სრული პარტოკრატიული მმართველობაა და ხალხის ინტერესები აბსოლუტურად იგნორირებულია.

— ბატონო კოტე, სიმართლე გითხრათ, ვერ ვხვდები, საუბარი საითკენ მიგყავთ...

— საითკენ და, — ქვეყანაში არსებობს პოლიტიკური და, ამავე დროს, სახელისუფლებო კრიზისი, რომელიც კონსტიტუციური ანომალიითაა გამოწვეული.

— „კონსტიტუციური ანომალია“ რაღაა?

— ისევ ძალაუფლებასთან მივდივართ, ანუ ხალხს რეალური ბერკეტი არ აქვს, რომ მის მიერ არჩეული ხელისუფლება, რომელიც 4 წელი ყველაფერს აკეთებს, რაც უნდა, გააკონტროლოს. დიახ, ხელისუფლებაში მოკალათებული პარტოკრატები მხოლოდ თავიანთ ინტერესებს ატარებენ!

— მოდით, კონკრეტიკაზე გადადით...

— მაგალითად, პარლამენტის მიერ მიღებული კანონები ხალხის მოთხოვნებს არ პასუხობს. ისევ დგას სამართლიანობის პრობლემა. არადა, „ოცნება“ ხელისუფლებაში სამართლიანობის აღდგენის საბაბით მოვიდა. თუ სამართლიანობას არ აღადგენ, შენც რეჟიმი გახდები! „ოცნება“ სისტემურ ცვლილებებზეც ლაპარაკობდა, მაგრამ ამ კუთხითაც არაფერი გაუკეთებია, რადგან მთავარი სისტემური ცვლილება ის იქნებოდა, ხალხისთვის ხელისუფლების გაკონტროლების მექანიზმები დაებრუნებინა.

— და ეს მექანიზმები რა არის?

— ვთქვათ, რეფერენდუმი — თუკი მოსახლეობას პარლამენტის მიღებული კანონი არ მოსწონს, მისი გაუქმება რეფერენდუმით მოითხოვოს. ავიღოთ, მაგალითად, ანტიდისკრიმინაციული კანონი, სადაც ე.წ. ასაკობრივ დისკრიმინაციაზე არაფერია ნათქვამია. არადა, „ნაცმოძრაობის“ ერთ-ერთი ქვაკუთხედი სწორედ ასაკობრივი დისკრიმინაცია იყო, ანუ 30 წელს გადაცილებულ ადამიანებს, როგორი მაგარი პროფესიონალებიც უნდა ყოფილიყვნენ, თანამდებობებს ატოვებინებდნენ. ისე არ გამიგოთ, რომ ახალგაზრდა კადრების წინააღმდეგი ვარ, მაგრამ ევროკავშირს ასაკობრივ დისკრიმინაციაზე სპეციალური დადგენილება აქვს მიღებული. ერთი შეხედვით, ევროპიდან მაგალითებს ვიღებთ, მაგრამ როგორც ჩანს, ქართულ პოლიტიკაში ვიღაცას ასაკობრივი ჯგუფების ჩარეცხვა უნდა.

ანტიდისკრიმინაციული კანონის გარდა, სხვა არაერთი კანონიც არსებობს, რომელიც ხალხის წინააღმდეგაა მიმართული. მოკლედ, ხალხს ამ კანონების გადასინჯვის რეალური საშუალება უნდა ჰქონდეს. მართალია, საქართველოს კონსტიტუციაში ასეთი მუხლი არსებობს, მაგრამ არ მუშაობს. ამიტომაც, ყველა ხელისუფლება, რომელსაც ვირჩევთ, საბოლოო ჯამში, ხალხის საწინააღმდეგო ინტერესებს ატარებს და ამის ნათელი მაგალითი თუნდაც ჩინოვნიკთა მაღალი ხელფასებია!

— ყველაფერი ეს გასაგებია, ბატონო კონსტანტინე, მაგრამ დღეს პოლიტიკური სპექტრისთვის უფრო აქტუალური საარჩევნო კოდექსია, რომლის შეცვლასაც „ოცნება“ 2020 წლამდე არ აპირებს...

— ვანო, იცით, საქმე რაშია? საარჩევნო კოდექსის ცვლილებასთან დაკავშირებით „ნაციონალების“ დროს შეხვედრები არაერთ ფორმატში იმართებოდა, მაგრამ ეს, უბრალოდ, დემოკრატიის ანტურაჟი იყო, ანუ „ნაციონალები“ ჭკვიანურად იქცეოდნენ — მრგვალ მაგიდასთან, საერთაშოისო ექსპერტებთან ერთად, კვალიფიციურ სუბიექტებს სვამდნენ და ვითომ მსჯელობდნენ, საბოლოო ჯამში კი, მაინც იმას აკეთებდნენ, რაც თვითონ უნდოდათ, თუმცა საერთაშორისო თანამეგობრობის თვალში, ეს დემოკრატიული პროცესი იყო. დღეს კი, ასეთი ანტურაჟიც აღარაა.

— რატომ?

— როგორც ჩანს, ხელისუფლებაში მოსულ ცალკეულ პიროვნებებს ძალაუფლებით მიღებული კეთილდღეობის დათმობა არ უნდათ. არადა, ყველა ხელისუფალს უნდა ახსოვდეს, რომ ხალხმა მოიყვანა და ანგარიშვალდებულიც სწორედ ხალხის წინაშეა! თუ ანგარიშვალდებულის მომენტი ქრება, მაშინ ხელისუფლება ავტორიტარი ხდება, რასაც რევოლუცია და პოლიტიკური თუ სახელისუფლებო კრიზისი მოსდევს!

— ვერ დაგეთანხმებით, რომ დღევანდელი ხელისუფლება ხალხს არ უსმენს. სხვა თუ არაფერი, მაგალითად, ვიცე-პრემიერმა კახა კალაძემ მოშიმშილეთა მისამართით განაცხადა, ჯობია, პრობლემები ერთად გადავჭრათო, ანუ აქ ავტორიტარიზმის ნიშნები სადაა?

— ეს ძალიან კარგია, მაგრამ ეს უკვე პოლიტიკური პროცესის ანუ არჩევნების გაყალბებისა და ადმინისტრაციული რესურსის უხეშად გამოყენების შედეგია. ასეთი შედეგი მომავალშიც რომ არ დადგეს, ამიტომ, საარჩევნო კოდექსი უნდა შეიცვალოს. სხვათა შორის, წლებია, გავიძახით, საარჩევნო კოდექსი უნდა შეიცვალოსო, მაგრამ არ იცვლება.

— რატომ?

— იმიტომ, რომ ისევ ძალაუფლებამდე მივდივართ, ანუ ძალაუფლებისთვის ყველა ადამიანი მზად არაა. შესაბამისად, კადრები ისე უნდა შეირჩეს, რომ დღის წესრიგში მსგავსი პრობლემები აღარ დადგეს, თუმცა ამისგან დაცული არავინაა და ისევ იმ თემებამდე მივდივართ, რომლებითაც დღევანდელი საუბარი დავიწყეთ.

— ანუ?

— კადრებისთვის ძალაუფლების მიცემა მხოლოდ კონკრეტული პირების პასუხისმგებლობის საკითხი აღარ უნდა იყოს. ყველაფერი კონსტიტუციით უნდა დარეგულირდეს. დიახ, საქართველოში ხელისუფლებაზე ხალხის ზემოქმედების ბერკეტი კონსტიტუციით უნდა იყოს გარანტირებული!

— ბატონო კოტე, კიდევ გეკითხებით: ხელისუფლებაზე ხალხის ზემოქმედების საკითხი ახლა რატომ წამოსწიეთ?

— იმიტომ, რომ მსგავსი თემები პოლიტიკურ კრიზისებს აჩენს.

— გასაგებია, რომ ადამიანთა გარკვეული რაოდენობა ქუჩაში შიმშილობს, მაგრამ არ მგონია, ეს პოლიტიკური კრიზისი იყოს...

— ეს სახელისუფლებო კრიზისია.

— დამისაბუთეთ, რატომ?

— არჩევნების გაყალბება კრიზისია, აბა, რა არის?! სიმპათია არც ერთი მხარის მიმართ მაქვს და არც — მეორე, უბრალოდ, იმ რეალობაზე ვლაპარაკობ, რაც მოხდა — საგარეჯოში ადმინისტრაციული რესურსი, მათ შორის, ჯარიც გამოიყენეს, რითიც ჯარის კომპრომეტირება მოხდა.

— ამის თაობაზე წინა ინტერვიუებშიც ილაპარაკეთ...

— დიახ, ვილაპარაკე და ამის მერეც ვიტყვი, რადგან არჩევნებში ასეთ უხეშ ჩარევას, როგორც წესი, პოლიტიკური პროცესები მოსდევს ხოლმე. ის, რაც ქუჩაში ხდება,

გაგრძელება მე-3 გვ.

ᲮᲘᲠᲮᲘᲡ ᲞᲝᲡᲢᲘ

ᲧᲝᲕᲔᲚᲙᲕᲘᲠᲔᲣᲚᲘ ᲒᲐᲖᲔᲗᲘ, ᲒᲐᲛᲝᲓᲘᲡ ᲝᲗᲮᲨᲐᲑᲐᲗᲝᲑᲘᲗ

25 XI - 1 XII | № 46 (310) | 3

ᲛᲬᲕᲠᲔᲚᲘ ᲘᲢᲧᲕᲘᲡ

ᲚᲘᲢᲔᲠᲐᲢᲣᲠᲐ. ᲞᲝᲚᲘᲢᲘᲙᲐ. ᲖᲝᲚᲘᲠᲜᲔᲣᲚᲘ. ᲰᲝᲚᲘᲢᲘᲙᲐ

„შენ – უკვდავების ჩამონადენო, მშვენიერებაც ხომ შენით ითქვა;
დიდება შენდა, ჩემო ნათელო – ქართულო სიტყვავ, ქართულო სიტყვავ!“

სკანდალური ექსკლუზივი

მე-2 გვერდიდან

ისეთი პოლიტიკური პროცესია, რომელიც არ დასრულდება. დააკვირდით, რა ხდება: შიმშილობას ერთი ჯგუფი წყვეტს, მეორე იწყებს და ასე შემდეგ და ყველაფერი ეს, შეიძლება, 2016 წლის არჩევნებამდეც გაიწელოს.

– მერე რა მოხდა?

– არაფერი.

– გახსოვთ, 2009 წელს, მაშინდელ ოპოზიციას, დედაქალაქის მთავარ გამზირზე საკნები თვეობით ჰქონდა „გაშლილი“...

– იცით, როგორი ტაქტიკაა?

– როგორი?

– ყველაფერი „ნაცმოძრაობის“ ტაქტიკას ჰგავს.

– რას გულისხმობთ?

– აპრილის აქციების დროს, მიშა „დაგულაობდა“: მთავრობის სხდომებს ხან ყვარელში ატარებდა და ხან – ბათუმში, ანუ ოპოზიციის აქციებს ყურადღებას არ აქცევდა და ეს პროცესი ჩაკვდა.

– დღევანდელი ხელისუფლება, უფრო სწორად, ხელისუფლების ცალკეული წარმომადგენლები აქციის მონაწილეებთან საღაპარაკოდ მზადყოფნას გამოთქვამენ...

– გასაგებია, მაგრამ ეს დასავლეთის მოთხოვნაცაა. ბოლოს და ბოლოს, ვიზალიბერალიზაცია კარსაა მომდგარი. გარდა ამისა, ევროკავშირთან ასოცირების ხელშეკრულების რატიფიცირება ჯერ არ დამთავრებულა. ამიტომ, ხელისუფლება ყველაფერ ამას ითვალისწინებს, თორემ ტაქტიკა, დაახლოებით, ისეთია, როგორიც „ნაცმოძრაობას“ ჰქონდა, ანუ „ნივიჟუ“. ბოლოს და ბოლოს, ორ კვირაზე მეტია, შიმშილობის აქცია მიდის და ხელისუფლებას არ შეეძლო, მრგვალი მაგიდა, რომელსაც მედიაც დაესწრებოდა, პირველივე დღეს მოეწყო და პრობლემა გადაეწყვიტა, ანუ პროცესები ქუჩიდან ცივილურ ფორმატში გადაეტანა.

– ბატონო კოტე, ეჭვობთ, რომ ხელისუფლებას ქუჩის აქციები აწყობს?

– არ ვიცი, ხელისუფლებას რა აწყობს, მაგრამ ერთი ფაქტია: დღევანდელი მმართველი რგოლი იმ დიდი ძალაუფლებისთვის, რომელიც ხალხმა მისცა, მზად არაა! ვერ ვიტყვი, რომ, მაგალითად, პრემიერი ძალაუფლებას პირადი კეთილდღეობისთვის იყენებს, მაგრამ ქვედა რგოლებში არიან ადამიანები და ადამიანთა ჯგუფები, რომლებიც თავიანთ ძალაუფლებას ყოველთვის საკუთარი ინტერესებისთვის იყენებენ. არავინ თქვას, რომ საჯარო უწყებებში პოლიტიკისა და პოლიტიკური პროცესების წარმმართველი პირველი პირები არიან. წარმმართველი საშუალო რგოლია, რომელიც, პრაქტიკულად, არ შეცვლილა.

– რას გულისხმობთ?

– იქიდან გამომდინარე, რომ უსაფრთხოების სისტემებს კარგად ვიცნობ, შემიძლია, დანამდვილებით ვთქვა, რომ ძალოვან უწყებებში ოპერატიულ ინფორმაციას სწორედ საშუალო რგოლი მოიპოვებს, ანალიზსაც აკეთებს და შემდეგ, ხელმძღვანელ პირებს აწვდის. ხელმძღვანელებმა, რომლებსაც არაპროფესიონალი ხელქვეითები ჰყავთ, რა უნდა გააკეთონ? მოკლედ, საშუალო რგოლი მინისტრებს თავის ჭკუაზე ატრიალებს. ამიტომ, როცა სამთავრობო ცვლილებებზეა ლაპარაკი, მინისტრთა კაბინეტიდან კი არა, საშუალო რგოლიდან უნდა დაიწყოს. დიახ, ჯერ საშუალო რგოლები უნდა გაიწმინდოს – იქ ისეთი ადამიანები უნდა მოიყვანონ, ვინც პოლიტიკის მარწუხების, ასე ვთქვათ, ხელში აღებას შეძლებენ. თუ ამის გაკეთება არ შეუძლიათ, მაშინ მთელი ზედა რგოლი უნდა წავიდეს და ის შემადგენლობა მოვიდეს, ვინც ამას გააკეთებს.

– ამასობაში, პოლიტიკაში შემოსვლას პაატა ბურჭულაძე აპირებს. ამით, ბატონო კონსტანტინე, როგორ გგონიათ, ახალი პოლიტიკური ცენტრი შეიქმნება?

– რა თქმა უნდა. ვანო, თუ გახსოვთ, ჯერ კიდევ რამდენიმე თვის წინ ვთქვი, რომ პოლიტიკაში ახალი სახეები გამოჩნდებოდნენ და ეს პროცესი მხოლოდ პაატა ბურჭულაძის გამოჩენით არ დამთავრდება.

– აბა, კიდევ ვის გამოჩენას უნდა ველოდოთ?

– ვნახავთ...

– აღსანიშნავია, რომ პაატა ბურჭულაძე პოლიტიკოსი არაა...

– ამას რა მნიშვნელობა აქვს?! პოლიტიკოსებად არ იბადებიან, პოლიტიკოსებად იზრდებიან! საერთოდ, ყველაფერი, მათ შორის, ხელოვნება და ქველმოქმედებაც პოლიტიკაა. შეიძლება, ეს ვინმეს უხეშ ნათქვამად მოეჩვენოს, მაგრამ ქველმოქმედებაზე დიდი პოლიტიკა რა არის? სხვათა შორის, ხელოვნების მუშაკები პოლიტიკაში, როგორც წესი, უფრო წარმატებულები ხდებიან ხოლმე, რადგან მათ ადამიანებთან ურთერთობის გამოცდილება აქვთ. ასე რომ, პაატა ბურჭულაძე შეიძლება, მართლაც, წარმატებული პოლიტიკოსი გახდეს!

– გამორიცხული, ბუნებრივია, არაფერია, მაგრამ თუნდაც ბურჭულაძის შემთხვევაში, პოლიტიკაში შემოსვლის მიზანი რა არის?

– რა და, – პოლიტიკური ველის შევსება.

– ამ თემაზე კომენტირებისას, თუ არ ვცდები, ეკა ბესელიამ განაცხადა, ქართულ პოლიტიკაში ისედაც ბევრი პარტიაა და ახალი პარტია საჭირო აღარ არისო...

– არ მაინტერესებს, ეკა ბესელიამ რა თქვა.

– სხვათა შორის, პაატა ბურჭულაძის გუნდი ჯერ პოლიტიკური პარტია კი არა, ფონდია...

– მოდით, იმაზე ვილაპარაკოთ, თუ ეს ფონდი პარტიად გადაკეთდება...

– კი ბატონო, გისმენთ...

– დააკვირდით, პაატა ბურჭულაძე რასთანაა ასოცირებული.

– რასთან?

– პირველ რიგში, ხელოვნებასთან, მეორე – ქველმოქმედებასთან, მესამე – პატიოსნებასთან, მეოთხე – დასავლეთში დიდ ნაცნობობასთან და მეხუთე და მთავარი – პაატა ბურჭულაძე ეკლესიასთანაა ასოცირებული. დღეს ეკლესია და მრევლი გაურკვეველ მდგომარეობაშია. არადა, მრევლი ამომრჩევლის, დაახლოებით, 40-45 პროცენტია, ანუ არჩევნებზე სწორედ ამ ხმების მობილიზება მოხდება და პაატა ბურჭულაძე ავტომატურად მძლავრი პოლიტიკური ფიგურა გახდება, რომელიც ქუჩის ოპოზიციას, რომელსაც „სუბოტნიკები“ დავარქვი, ამომრჩეველს წაართმევს. სხვათა შორის, „სუბოტნიკი“ ძველი საბჭოთა ტერმინია – მაშინ შაბათობები ეწყობოდა და ყველაფერი ეს სწორედ იმას დაემსგავსა.

– მართალია, ბიძინა ივანიშვილს შეხვდა, მაგრამ კულუარებში ამტკიცებენ, რომ „ოცნებასა“ და პაატა ბურჭულაძეს შორის კავშირი არ არსებობს...

– აუცილებელია, ეს კავშირი არსებობდეს? ადამიანი პოლიტიკაში თავის სერიოზული ბეგრაუნდითა და ავტორიტეტით შემოდის.

– მაშასადამე, ხალხი ისევ ახალ მესიას ეძებს?

– შეიძლება, ასეც ითქვას, მაგრამ აქ მესიაზე კი არა, უფრო წმინდა პოლიტიკურ გათვლაზეა ლაპარაკი. არ ვიცი, ეს ნაბიჯი დამოუკიდებლად გადადგა თუ ვინმემ უკარნახა. თუ არავინ უკარნახა, მაშინ ვაჟკაცური გადაწყვეტილებაა. სხვათა შორის, ბურჭულაძის გვერდით საკმაოდ ჭკვიანი ადამიანები გამოჩნდნენ, მათ შორის, როგორც ვიცი, ხათუნა ლაგაზიძეცაა.

– დიახ, ქალბატონი ხათუნაც არის, მაგრამ არც ის დაგავიწყდეთ, რომ ბურჭულაძესთან მიშა მაჭავარიანის ძმა, პრეზიდენტ მარგველაშვილის ყოფილი მრჩეველი, ვანო მაჭავარიანიცაა...

– იქ ყოფნას ვერავის დავუშლით...

– თუკი ივანიშვილ-ბურჭულაძე რაღაცნაირად საერთო ენას გამონახავენ, 2016 წელს რას მივიღებთ?

– რას და, – „ქართული ოცნების“ ჩანაცვლებას.

– ეს როგორ?

– ახალ პარლამენტში „ოცნება“ თავისი ძირითადი სეგმენტით, რასაკვირველია, იქნება, მაგრამ ეკლესიასა და მრევლზე აქცენტს ტყუილად არ ვაკეთებ. პოლიტიკური გადაწყვეტილების მიღების პროცესში მრევლიც აქტიურად უნდა იყოს ჩართული, მაგრამ არჩევანის გაკეთება უჭირს.

– რატომ?

– იმიტომ, რომ მართლმადიდებელი არჩევანს ლიბერტარიანელების სასარგებლოდ ვერასოდეს გააკეთებს.

– ეს რა შუაშია?

– ლიბერტარიანელები „ქართული ოცნების“ მხარეს არიან.

– „რესპუბლიკელებს“ გულისხმობთ?

– არა მხოლოდ, ლიბერტარიანელები სხვებიც არიან...

მოკლედ, პაატა ბურჭულაძის გამოჩენით, პოლიტიკაში ახალი სეგმენტი გაჩნდა. სხვათა შორის, ამის მცდელობა ადრეც იყო...

– ისე, ჯერ კიდევ 2012 წლის არჩევნების წინ ითქვა, რომ პაატა ბურჭულაძეს სიის პირველ ნომრობას „ნაციონალები“ სთავაზობდნენ. ახლაც, სოციალურ ქსელში ვრცელდება ფოტოსურათი, რომელიც ბურჭულაძესა და სხვა „ნაციონალებს“, როგორც ამბობენ, ამ ზაფხულს მიშასთან, უკრაინაში აქვთ გადაღებული...

– ჭეშმარიტი ხელოვანები, ბიზნესმენებისა არ იყოს, თავისუფალი ადამიანები არიან...

– ვერ ვხვდები, ეს რეპლიკა რა შუაშია, მაგრამ ბიძინა ივანიშვილის თქმით, მას მოსახლეობაში ისევ მაღალი ნდობა აქვს...

– მოდით, რა, ბიძინა ივანიშვილს თავი დავანებოთ.

– რატომ?

– ის დღეს ჩვეულებრივი მოქალაქეა, თუმცა პოლიტიკაში საქმე გააკეთა, ანუ ქვეყანას ავტორიტარი კადრები მოაშორა, თუმცა იმის შესაძლებლობა არ ჰქონდა, რომ მთლიანად ავტორიტარული სისტემა მოეშალა.

– იმის თქმა გინდათ, რომ ბურჭულაძე პოლიტიკაში ივანიშვილის ნაბიჯებს გაიმეორებს?

– ბურჭულაძეს მოსაცილებელი არავინ ჰყავს. მან ქვეყანა, უბრალოდ, განვითარების ახალ გზაზე უნდა დააყენოს. ნახეთ, რა სიტუაციაა: ბურჭულაძესთან საუბარი არც ევროპას გაუჭირდება, არც – აშშ-ს და არც – რუსეთს. მარგველაშვილს კი, რუსეთთან ურთიერთობა უჭირს.

– თუმცა, მუდმივად ხაზს უსვამთ პრეზიდენტის ადმინისტრაციის რუსულ გავლენებს...

– დიახ, მაგრამ ამ შემთხვევაში, წმინდა დიპლომატიაზე ვლაპარაკობ. ყველაფერს თავი რომ დავანებოთ, პრეზიდენტი კონსტიტუციით შეზღუდულია და დამოუკიდებელი დიპლომატიური ნაბიჯების გადადგმა უჭირს. იგივე შეიძლება ითქვას პრემიერზეც, რადგან ქვეყნის საგარეო პოლიტიკა დეკლარირებულად პროდასავლურია. შესაბამისად, პრემიერს ევროკავშირთან ასოცირების თემა ბოლომდე აქვს მისაყვანი და ამ პირობებში რუსეთთან დიპლომატიური ურთიერთობა, იგივე კარასინის ფორმატი, ანტიპიარია და მეტი არაფერი.

მოკლედ, დღევანდელ ხელისუფლებას პოლიტიკური ლავირების საშუალება არ აქვს. პაატა ბურჭულაძეს კი, ასეთი საშუალება შესაძლოა, ჰქონდეს.

– ესე იგი, ახალ პოლიტიკურ მოცემულობაში შევდივართ?

– დიახ, ასეა...

ვანო, რა ამის პასუხია და, ადრე, სირიასთან კონტექსტში რუსეთი ვახსენე და ერთი-ორმა ჩემმა ნაცნობმა მითხრა, ბიჭო, რა სირია, რის სირიაო, მაგრამ ყველაფერი ისე ვითარდება, როგორც ვთქვი.

– კონკრეტულად?

– რუსეთმა სირიის საკითხის მოგვარება მიზანმიმართული პოლიტიკით დაიწყო და იმას მიაღწია, რომ თავისი გეოპოლიტიკური არეალი გაიფართოვა, ანუ სირია, პრაქტიკულად, ხელში ჩაიგდო – რუსეთი ISIS-ს არ ებრძვის. მართალია, ამის შესახებ ინფორმაცია არც რუსულ მედიაში ხმაურდება, მაგრამ მაქვს ინფორმაცია, რომ რამდენიმე დღის წინ, სანკტ-პეტერბურგში, სირიიდან, ათი მებრძოლი ჩამოასვენეს და ყველა, სხვათა შორის, „გე-რე-უ“-ს თანამშრომელი იყო.

ერთი სიტყვით, დასავლეთმა და აშშ-მ რუსეთთან გეოსტრატეგიული ომი წააგეს – ვინც სირიას ფლობს, სწორედ ის აკონტროლებს ახლო აღმოსავლეთსაც, შესაბამისად, ენერგომატარებლებსაც.

ისე, ტერაქტები ჩვენ ნაკლებად გვემუქრება, თუმცა მთავარია, სირიაში ომი რომ დამთავრდება, საქართველოზე შეიარაღებულმა ჯგუფებმა არ გაიარონ. თუ გაიარეს, აი, სერიოზული საფრთხე მაშინ შეგვექმნება. სწორედ ამიტომაც მხოლოდ საზღვრების დაცვის გაძლიერებაზე კი არა, ახლო აღმოსავლეთის ქვეყნებთან, მაგალითად, ერაყთან, სირიასა თუ იორდანიასთან საავიზო რეჟიმიც უნდა გავამკაცროთ.

ესაუბრა ვანო პავლიაშვილი

(თემის გაგრძელება იქნება)

**„ᲧᲕᲔᲚᲐᲤᲔᲠᲡ ᲗᲐᲕᲘ ᲠᲝᲛ ᲓᲐᲕᲐᲜᲔᲑᲝᲗ, ᲞᲠᲔᲖᲘᲓᲔᲜᲢᲘ ᲙᲝᲜᲡᲢᲘᲢᲣᲪᲘᲘᲗ ᲨᲔᲖᲦᲣᲓᲣᲚᲘᲐ ᲓᲐ ᲓᲐᲛᲝᲣᲙᲘᲓᲔᲑᲔᲚᲘ ᲓᲘᲞᲚᲝᲛᲐᲢᲘᲣᲠᲘ ᲜᲐᲑᲘᲯᲔᲑᲘᲡ ᲒᲐᲓᲐᲓᲒᲛᲐ ᲣᲭᲘᲠᲡ. ᲘᲒᲘᲕᲔ ᲨᲔᲘᲫᲚᲔᲑᲐ ᲘᲗᲥᲕᲐᲡ ᲞᲠᲔᲛᲘᲔᲠᲖᲔᲪ, ᲠᲐᲓᲒᲐᲜ ᲥᲕᲔᲧᲜᲘᲡ ᲡᲐ�გᲐᲠᲔᲝ ᲞᲝᲚᲘᲢᲘᲙᲐ ᲓᲔᲙᲚᲐᲠᲘᲠᲔᲑᲣᲚᲐᲓ ᲞᲠᲝᲓᲐᲡᲐᲕᲚᲣᲠᲘᲐ. ᲨᲔᲡᲐᲑᲐᲛᲘᲡᲐᲓ, ᲞᲠᲔᲛᲘᲔᲠᲡ ᲔᲕᲠᲝᲙᲐᲕᲨᲘᲠᲗᲐᲜ ᲐᲡᲝᲪᲘᲠᲔᲑᲘᲡ ᲗᲔᲛᲐ ᲑᲝᲚᲝᲛᲓᲔ ᲐᲥᲕᲡ ᲛᲘᲡᲐᲧᲕᲐᲜᲘ ᲓᲐ ᲐᲛ ᲞᲘᲠᲝᲑᲔᲑᲨᲘ ᲠᲣᲡᲔᲗᲗᲐᲜ ᲓᲘᲞᲚᲝᲛᲐᲢᲘᲣᲠᲘ ᲣᲠᲗᲘᲔᲠᲗᲝᲑᲐ, ᲘᲒᲘᲕᲔ ᲙᲐᲠᲐᲡᲘᲜᲘᲡ ᲤᲝᲠᲛᲐᲢᲘ, ᲐᲜᲢᲘᲞᲘᲐᲠᲘᲐ ᲓᲐ ᲛᲔᲢᲘ ᲐᲠᲐᲤᲔᲠᲘ. ᲛᲝᲙᲚᲔᲓ, ᲓᲦᲔᲕᲐᲜᲓᲔᲚ ᲮᲔᲚᲘᲡᲣᲤᲚᲔᲑᲐᲡ ᲞᲝᲚᲘᲢᲘᲙᲣᲠᲘ ᲚᲐᲕᲘᲠᲘᲡ ᲡᲐᲨᲣᲐᲚᲔᲑᲐ ᲐᲠ ᲐᲥᲕᲡ. �პᲐᲐᲢᲐ ᲑᲣᲠᲭᲣᲚᲐᲫᲔᲡ ᲙᲘ, ᲐᲡᲔᲗᲘ ᲡᲐᲨᲣᲐᲚᲔᲑᲐ ᲨᲔᲡᲐᲫᲚᲝᲐ, ᲰᲥᲝᲜᲓᲔᲡ.“

ᲔᲡᲐᲣᲑᲠᲐ ᲕᲐᲜᲝ ᲞᲐᲕᲚᲘᲐᲨᲕᲘᲚᲘ

(თემის გაგრძელება იქნება)

ქართული იტყვა

ლიტერატურა, ენერგეტიკა, პოლიტიკა

ყოველკვირეული გაზეთი, გამოდის ოთხშაბათობით

„შენ – უკვდავების ჩამონადენო, მშვენიერებაც ხომ შენით ითქვა;
დიდება შენდა, ჩემო ნათელო – ქართულო სიტყვავ, ქართულო სიტყვავ!“

გიორგი ლეონიძე

სამართალი

ქიბარ ხალვაშმა სტრასბურგის სასამართლოს მიმართა და სახელმწიფოსგან 200 მილიონ ევროს ითხოვს?!

როგორ ყალიბდება სატელეფონო საუბრები – ექსპერტის სკანდალური აღიარება

ქართული სასამართლო სისტემა, „რუსთავი 2“-ის გარშემო ატეხილი დავის გამო, მსოფლიო ყურადღების ცენტრში მოექცა. ხმაურის გარეშე არც საქართველოს ახალი მთავარი პროკურორის არჩევას ჩაუვლია. რას ემსახურება ომბუდსმენის განცხადება ციხეებში უკანონო განაჩენებით დაპატიმრებულთა თაობაზე, არიან თუ არა პროკურატურაში „პოზვანკოვიე“ კადრები, რატომ ვერ აკეთებენ ფონოსკოპიურ ექსპერტიზას შსს-ს კრიმინალურ სამმართველოში, „გულაობენ“ თუ არა ქურდები საქართველოში და რა ელის ქვეყნის ბიუჯეტს, თუკი სტრასბურგის სასამართლო ქიბარ ხალვაშის სარჩელს დაკმაყოფილებს? – „ქართული სიტყვა“ ადვოკატ რუსუდან ქორჩილავას ესაუბრა:

– ამას წინათ, ომბუდსმენმა, უჩა ნანუაშვილმა ვრცელი ინტერვიუ მისცა და შეკითხვაზე, არიან თუ არა საპატიმროებში უკანონოდ გასამართლებულები, უპასუხა, შესაძლებელია, არიან, მაგრამ კანონის 223-ე პრიმა მუხლი უნდა არსებობდესო, ანუ სისხლის სამართლის კოდექსში არის საეჭვო 223-ე პრიმა მუხლი, რომელიც ითვალისწინებს ქურდულ სამყაროს წევრობასა და კანონიერ ქურდობას. სისხლის სამართალი ქმედების სამართალია და არა – ყბედობის, ან ლაყბობის. 223-ე პრიმა მუხლში, რომელსაც დისპოზიცია არ აქვს, წერია: „ქურდული სამყაროს წევრობა ისჯება ხუთიდან ათ წლამდე პატიმრობით“. მთავარ მტკიცებულებად სატელეფონო საუბრები ითვლება, რომელიც დანაშაულს, პრაქტიკულად, ვერ ამტკიცებს.

– ამ მუხლის შეცვლა არ შეიძლება?

– ეს მუხლი უნდა გაუქმდეს, რადგან არსებობს კანონი ორგანიზებული დანაშაულის და რეკეტის შესახებ, მაგრამ არ იყენებენ... ყველაზე სასაცილო ისაა, რომ მოსამართლეები კანონს თავისებურად იგებენ.

– მოსამართლეები კანონს ისე რატომ ვერ იგებენ, როგორც დაწერილია?

– ალბათ, ზევიდან არაა ნება.

– ამას ზოგადად ამბობთ თუ კონკრეტული საქმის მიხედვით?

– მაგალითად, ჩემი დაცვის ქვეშ მყოფი ვლადიმერ ხეჩუაშვილი აცხადებს, არ ვარ და არასდროს ვიქნები ქურდული სამყაროს წევრიო. მის წინააღმდეგ მთავარი მტკიცებულება სატელეფონო საუბრებია. იგი ნარკოტიკების მოხმარებისთვის იყო დაკავებული და ციხეში თავისი უბნელი, თეიმურაზ ბაიდაშვილი გაიცნო, რომელიც ისევ ციხეშია. ხეჩუაშვილს, ციხიდან გამოსვლის შემდეგ, მასთან სატელეფონო საუბრები ჰქონდა. სასამართლო პროცესზე ვიკითხე, ვინ სცნო ბაიდაშვილი ქურდული სამყაროს წევრად-მეთქი?

– რა პასუხი გაგცეს?

– სასამართლოში ოპერატიული მუშაკები არაკვალიფიციურ პასუხებს იძლევიან და სამძებრო ქმედებებიც არაკვალიფიციური აქვთ. არსებობს კანონი ოპერატიული სამძებრო საქმიანობის შესახებ, რომლის მიხედვითაც, გარე თვალთვალი და ფარული ვიდეოჩაწერა უნდა განხორციელდეს. თუკი სატელეფონო მოსმენა განხორციელდა, ოპერმუშაკი ვალდებულია, მოსმენილი ინფორმაცია გადაამოწმოს, დაკითხოს მოწმეები, ადამიანს ქმედება დაუდასტუროს. თუკი ამ ოპერატიულ ქმედებებს არ შეასრულებს, სასამართლოზე რითი მიმტკიცებ, რომ ჩემი დაცვის ქვეშ მყოფმა ჩაიდინა ქმედება, რასაც ქურდული სამყაროს წევრობა ეწოდება? გარდა ამისა, გამოძიების პროცესში ფონოსკოპიური ექსპერტიზის ჩატარებაა აუცილებელი. აქ კი, ნამდვილი კოშმარია.

– რატომ, სპეციალისტები არ ჰყავთ?

– დიახ, არ ჰყავთ, მაგრამ ექსპერტიზებს მაინც ატარებენ.

– ექსპერტიზას სამხარაულის სახელობის საექსპერტო ბიურო ატარებს?

– სამხარაული ტექნიკური მხარის ექსპერტიზას აკეთებს, ფონოსკოპიურ ექსპერტიზას კი, – შსს-ს კრიმინალური სამმართველო. ხმამაღლა ვაცხადებ: ექსპერტი ეთერ კუნელაშვილი დასაჭერია! მან პირდაპირ სასამართლო პროცესზე განაცხადა, ფონოგრამას ისე შეგიცვლი და გაგიყალბებ, ვერაფერს გაიგებო. ფონოსკოპიურ გამოკვლევას თავისი მეთოდიკა აქვს, რომლის მიხედვითაც, ერთ ფონოგრაფიულ გამოკვლევას 25 დღე სჭირდება. ეთერ კუნელაშვილმა კი, სამი თვის განმავლობაში, შვებულებაში გასვლაც მოასწრო, ტრენინგებიც გაიარა და 776 ფონოგრაფიული ექსპერტიზის დასკვნა დადო. გარდა ამისა, კიდევ ხუთ სხვა ექსპერტიზას აკეთებდა. ხეჩუაშვილის საქმეში დადებულ დასკვნას არ ახლავს აუდიოგრამული მონაცემები, რაზეც ექსპერტმა გვიპასუხა, საჭიროდ არ ჩავთვალეო. ამის გარეშე კი ხმის იდენტიფიკაცია არ ხერხდება. ვერც იმაზე გვპასუხობს, დისკები როგორ დაამუშავა, არც საბილინგო ამონაწერები აქვს წარმოდგენილი. მოკლედ, ექსპერტიზები აბსოლუტურად გაყალბებულია, საქმე კი, უვიცობასა და დილეტანტიზმთან გვაქვს!

გული მწყდება, რომ ისეთი ექსპერტი, როგორიც მარიკა ტოკლიკიშვილია, შინ გაუშვეს და ასპარეზი არაპროფესიონალებს დაუთმეს. ეს პოლიტიკა დღევანდელი ხელისუფლების პირობებშიც გრძელდება: პროფესიით ფიზიკოსი მარიკა ტოკლიკიშვილი „ეფ-ბი-აი“-მ მირელაშვილის საქმეზე ექსპერტად მიიწვია, მაგრამ მას მერე, რაც ზურაბ ადეიშვილის მოთხოვნების შესრულებაზე კატეგორიული უარი თქვა, სამსახურიდან გაუშვეს. დღეს კუნელაშვილი ექსპერტია და მარიკა ტოკლიკიშვილი სტრუქტურის გარეთაა. ასე დადგა უკანონო განაჩენი ჩემი დაცვის ქვეშ მყოფის საქმეში. სასამართლო პროცესის მერე, მოსამართლეები, რომლებმაც 50-გვერდიანი სისულელე გადაწერეს, თავს მაღლა ვერ სწევდნენ.

– ქალბატონო რუსუდან, იმის თქმა გინდათ, რომ მოსამართლეები კონკრეტულ საქმეებზე მითითებებს დღესაც იღებენ?

– დიახ, მაგრამ არიან ისეთებიც, რომლებიც არასოდეს არავის მითითებას არ დაემორჩილებიან. ცნობილი მეიგავე ეზოპე ამბობდა, რომ ყველა პროფესია ადამიანისგან მოდის, გარდა სამისა – ექიმის, მასწავლებლისა და მოსამართლის. ერთი ჩვენს ჯანმრთელობას დარაჯობს, მეორე – სულსა და მომავალს, მესამე კი, ჩვენს ბედს განაგებს. როდემდე ვუყუროთ საქართველოში უსამართლო სასამართლოს?

– რა ამის პასუხია და, ბოლო დროს მოსამართლე თამაზ ურთმელიძე ძალიან პოპულარულია...

– ეს ნაძალადევი პოპულარობაა, ურთმელიძეს, როგორც მოსამართლეს, არ ვიცნობ, მაგრამ ვიცი, რომ ქიბარ ხალვაშს სტრასბურგის ადამიანის უფლებათა დაცვის სასამართლოში საჩივარი აქვს შეტანილი, სადაც სარჩელის დაკმაყოფილების შემთხვევაში, მის სასარგებლოდ სახელმწიფოს ისეთ თანხას დააკისრებენ, რომ საქართველოს ორი წლის ბიუჯეტი არ ეყოფა. საუბარი 200 მილიონ ევროზეა.

– მოსამართლე ურთმელიძის დედის თემა საყოველთაო განხილვის საგანი გახდა...

– არსებობს უდანაშაულობის პრეზუმფცია, რაც ურთმელიძის შემთხვევაშიც უნდა გაითვალისწინონ. ავადსახსენებელი კომუნისტების დროს, სამართალდამცავ ორგანოებში სამსახურის დაწყების მსურველებს მთელ საგვარეულოს, სანათესაოს, ოჯახს უმოწმებდნენ, რადგან მიაჩნდათ, რომ მანტიამოსხმულ სამართალდამცველს რაიმე ტიპის კომპრომატი არ უნდა ჰქონოდა. დღეს კი სულ სხვა სურათი გვაქვს: ბებია-ბაბუა, ოჯახის წევრი ნასამართლევია, მაგრამ პიროვნებას თანამდებობა მაინც უკავია. ისე, მოსამართლე ურთმელიძის ადგილზე, მანტიას გავიხდიდი და წამოვიდოდი.

– დედა ოჯახის წევრია?

– იურიდიულად, დედა ოჯახის წევრი არაა; დედას თავისი ოჯახი აქვს, შვილს – თავისი. მოსამართლე ურთმელიძე ძალიან რთულ საქმეში ჩაება. „რუსთავი 2“ იმოდენა თამაშია... ჩემი აზრით, სულაც არაა „გამარჯვებული ხალხის ტელევიზია“, მაგრამ არსებობის უფლება აქვს.

„რუსთავი 2“-ის წილებზე ამხელა ამბავი ატყდა, გახმაურებული საქმეები კი, ძირითადად, უძრავად დევს, მათ ახალი გახმაურებული და რეზონანსული საქმეები ემატება. ეს კიდევ გაგრძელდება, რადგან პროფესიონალები ან ქვეყნიდან წავიდნენ, ან უმუშევრები არიან. ამას წინათ, ერთმა მაღალი თანამდებობის პირმა სამართალდამცავი სტრუქტურებიდან, ჩემთან საუბარში, ხელები გაშალა და განაცხადა, მაჩვენე, სადა გვყავს პროფესიონალებიო?!

– ეს პიროვნება თავის თავსაც გულისხმობდა?

– ალბათ, თავის თავსაც და იმასაც, რომ კადრის შეცვლის უფლება თანამდებობის პირს არ აქვს.

– აბა, ვინ არჩევს კადრებს მთავარ პროკურატურაში?

– საბჭოთა დროს, სამართალდამცავ სტრუქტურებში იყვნენ კადრები, რომელთაც „პაზვანკოვიე“-ს, ანუ ტელეფონის ზარით დანიშნულებს ეძახდნენ, თუმცა მაშინდელი კადრები პროფესიონალები იყვნენ, სხვანაირად სტრუქტურებში ვერ მოხვდებოდნენ. დღეს კი, წერა-კითხვის უცოდინრებით გაიავსო ძალოვანთა სამმართველოები. პროკურატურა ყოველთვის ელიტური სტრუქტურა იყო, პოლიცია და ფინანსური იქ ვერ შედიოდა... პროკურატურის კადრები ცალკე უნდა მზადდებოდეს, რადგან შსს სახელმწიფო ბრალმდებელი ვერ იქნება. სახელმწიფო ბრალმდებელი სრულიად გამართული უნდა იყოს თავის გადაწყვეტილებებში. სისტემიდან სისტემაში ადამიანი არ უნდა მოძრაობდეს.

– „რუსთავი 2“-ის სარჩელზე საკონსტიტუციო სასამართლოს გადაწყვეტილებებს როგორ აფასებთ?

– მგონი, ყველაფერი პოლიტიკაა. ბევრს ლაპარაკობენ, სასამართლო ცალკე ხელისუფლებაა და იურისპრუდენცია პოლიტიკაში არ ერევაო, მაგრამ ნათელია, რომ საქმე პოლიტიზირებულ პროცესებთან გვაქვს... ვეჭვობ, სტრასბურგის გადაწყვეტილების მის სასარგებლოდ გამოტანის შემთხვევაში, ხალვაში ქონებრივ უზრუნველყოფას არ დასჯერდება, შეტევაზე გადავა და თანხას მოითხოვს.

– უჩა ნანუაშვილის განცხადებას დავუბრუნდეთ. რითი ხსნით?

– პატაკის ჩაბარების პრინციპია. 2013 წელს, მიხეილ სააკაშვილმა დაიყვირა: „ქურდებმა თავი წამოყვეს!“ „არიქა, ქურდები გულაობენო“ და ამ საქმეებს შეესიენ. მას მერე ყველას, ვინც ხელთ მოხვდებათ, იჭერენ და პატაკს აბარებენ, დავიჭირეთო. რატომ არავინ ამბობს, 223-ე პრიმა მუხლით ბრალდებულების მიმართ რამდენი გამამართლებელი განაჩენი დადგა?

– ისე, დღეს საქართველოში ქურდები „გულაობენ“?

– ქურდები დღეს საქართველოში მართლა არ „გულაობენ“. სახალხო დამცველს კი მინდა, მივმართო: ბატონო სახალხო დამცველო, თქვენი აზრით, თქვენი წყალობით, რამდენი პროცენტი შეიძლება იჯდეს ციხეში უკანონოდ? თქვენ ხომ დაადასტურეთ, რომ დასაშვებია, ადამიანი ციხეში უკანონოდ იჯდეს? თქვენ სახალხო დამცველი ხართ თუ სხვისი ნების შემსრულებელი?

ხელისუფლებაში მოსულ ადვოკატებსაც მივმართავ: დაგავიწყდათ, რას ლაპარაკობდით? დღეს რომ „ნაციონალური მოძრაობა“ ამდენს ბედავს, თავისუფლებისა და სამართლიანობის დროშას აფრიალებს, ეს სწორედ ამ ხელისუფლების ბრალია!

ესაუბრა ნათია გოგიტიძე

„სახალხო დამცველს მივმართავ: ბატონო სახალხო დამცველო, თქვენი აზრით, თქვენი წყალობით, რამდენი პროცენტი შეიძლება იჯდეს ციხეში უკანონოდ? თქვენ ხომ დაადასტურეთ, რომ დასაშვებია, ადამიანი ციხეში უკანონოდ იჯდეს? თქვენ სახალხო დამცველი ხართ თუ სხვისი ნების შემსრულებელი?.. ხელისუფლებაში მოსულ ადვოკატებსაც მივმართავ: დაგავიწყდათ, რას ლაპარაკობდით? დღეს რომ „ნაციონალური მოძრაობა“ ამდენს ბედავს, თავისუფლებისა და სამართლიანობის დროშას აფრიალებს, ეს სწორედ ამ ხელისუფლების ბრალია!“

ᲧᲝᲕᲔᲚᲙᲕᲘᲠᲔᲣᲚᲘ ᲒᲐᲖᲔᲗᲘ, ᲒᲐᲛᲝᲓᲘᲡ ᲝᲗᲮᲨᲐᲑᲐᲗᲝᲑᲘᲗ

„შენ — უკვდავების ჩამონადენო, მშვენიერებაც ხომ შენით ითქვა;
დიდება შენდა, ჩემო ნათელო — ქართულო სიტყვავ, ქართულო სიტყვავ!“

ᲞᲝᲔᲖᲘᲐ

ᲡᲢᲔᲞᲘᲡ ᲝᲓᲘᲡᲔᲐ

ᲛᲐᲜᲐᲡᲘ

ყოველ ერს აქვს თავისი მთავარი წიგნი, ქვეყნის უკვდავების ნიშანსვეტი. ყირგიზი ხალხისთვის ასეთია ეპოსი „მანასი“, რომელსაც იუნესკო-მ „სტეპის ოდისეა“ უწოდა. მე-11 საუკუნის შედევრი მსოფლიოს მრავალ ენაზეა თარგმნილი. „ქართული სიტყვა“ პირველად გთავაზობთ პოემის ქართულ ვარიანტს, რომელიც მაყვალა გონაშვილმა თარგმნა.

ᲛᲐᲜᲐᲡᲘ — ᲡᲢᲔᲞᲘᲡ ᲝᲓᲘᲡᲔᲐ

(გაგრძელება. დასაწყისი იხ. „ქართული სიტყვა“ №41, 42, 43, 44, 45)

ჟაკიპ-ბაიმ ყველა ერთად
ადღეგრძელა, ადიადა,
სტუმრებს უთხრა: — „ღმერთმა ყველა
გაგახაროთ, ჩემო ძმებო,
ყალმუხებო, მონღოლებო,
ყირგიზებო, ყაზახებო.
გულითა გთხოვთ, რომ აკიმად
აირჩიოთ მანასიო,
ან ვინ გაჰყო განძი ორად
შვილისა და მამასიო
მას ეკუთვნის ჩემი ოქრო,
ფირუზი და ალმასიო.
ააღელვა მამის სიტყვამ,
არ უხსნიდა დანა პირსო
ყველამ ერთად დაიძახა,
ვაშა, მანასს, ვაშა, გმირსო.
სიასამურის ბეწვისა
მას დაადგეს თავსაბური,
წითლად ნახავერდები და
ოქროს ძაფით დასირმული.
აიტაცეს ხელში გმირი,
ვით ნოგოის ალამიო,
მანას, ვინც შენ გიორგულოს
ჩვენი ძმობა არამიო.
მეომრებმა სულ ყიჟინით
წრე დაარტყეს შვიდჯერ კარავს,
მოხუცებმა თქვეს ტენგირი
დაგვიცავს და დაგვიფარავს.
ავასრულეთ ღმერთის ნება,
ერ-მანასი გახდა ხანი,
ლხენით ავივსოთ გულები
დავივიწყოთ საწუხარი.

ᲛᲐᲜᲐᲡᲘᲡ ᲨᲔᲮᲕᲔᲓᲠᲐ ᲙᲝᲨᲝᲘᲡᲗᲐᲜ ᲓᲐ ᲑᲐᲙᲐᲘᲡᲗᲐᲜ

ღამეს მუდამ მოსდევს დილა,
დღესასწაულს დასასრული,
როცა სტუმრები წავიდნენ
აკბალტამ იხმო ძმისწული.
უთხრა, იცი, ყირგიზები
ვერ ვივიწყებთ მშობელ მხარეს,
სამშობლოდან ამოგვძირკვეს,
სხვის მიწაზე გაგვახარეს.
ალტაიში გამოქცევა
ყველამ როდი მოახერხა,
იქ დარჩენილ ჩვენს მოძმეებს
ალოოკე ექცა მეხად.
ჩვენი გვარის ერთ შტოს მაშინ
ხანი მართავდა ურბია,
მან კემინზე ყველა ხიდი
გადაწვა და დაანგრია.
და თავგასულ ალოოკეს
თავგზა ასე აურია.
გადაურჩა მტრების რისხვას
ათიოდე აულია.
ამასა გთხოვ, შვილო, მანას,
მიაშურე ალა-ტოოს
ჩვენი ჯიში, ჩვენი მოდგმა
გასაჭირში არ დატოვო.
სამშობლო გვაქვს თქმული ზღაპრად,
ჩვენ ხიზნებად როდი ვიშვით,
ძალა ძალას შევუერთოთ
ვაძლიეროთ ჯიში ჯიშით
კვლავ ვიხილავთ მშობელ მხარეს,
დღე და ღამე ამას ვფიქრობ
ეს იმედი, მასულდგმულებს,
მოხუცს რწმენას ნუ ჩამიქრობ.
ერ-მანასმა უხმო მხედრებს
საქმე უნდა აღასრულოს
და აკიმი თავის რაზმით
გზას დაადგა უსასრულოს.
თავს არ ზოგავს გმირთა-გმირი
ცხენს მიაფრენს გამალებით
გადიარა მხედრიონმა
ხეობები — ტრამალები.
ორმოცდახუთჯერ მზემ ციდან
ჩამოშალა დალალები.
ცხრა მთა გადაიარეს და
ტბები, ზღვები გადასერეს
და თოვლიან ალა-ტოოს
ხეობაში შეისვენეს.
თქვა მანასმა, ახლა სად ვარ
დაანახა მამას ნეტა,
ნუთუ ღმერთმა ყველა მადლი
ამ მიწაზე ჩამობერტყა.
როგორც ღმერთის ერთი ცრემლი
აციმციმდა ისიქ-ყული
თქვა მანასმა, შევიცანი
მე სამშობლოს სიყვარული.
ბედმა აქ არ გამაჩინა,
მხოლოდ ნახვა მამყოფინა,
ახლა ვხვდები მშობელ მიწით
სნეულება რა ყოფილა.
ვით შეამკოს კაცის ენამ,
ეს მშვენება როგორ აქოს,
ველი არის ყარაკირის
თუ წალკოტი საარაკო.
მთის მწვერვალზე დგას ხარ-ჯიხვი
რქები გაუშეშებია.
ჩეჩ-დობედან ჩანჩქერები
კისრისტეხით ეშვებიან.
თითქოს ოქროს წვიმა იყოს,
წყლის ჩქერები ბრწყინავს მზეზე,
გაუშლია ბანაკები
კატაგანის მოდგმას ველზე.
ერ-მანასმა იცის მათგან
რომ არ ელის ფათერაკი,
თავად მაინც არ ეახლა,
გაუგზავნა მაცნე აკიმს.
ერ-მანასის მობრძანებით
ხან-კოშოიმ გაიხარა,
შეეგება ვით ნანატრ შვილს,
სიხარულის ცრემლი ღვარა.
მომეხჯინა გული ყელში,
ვერ ვერევი კაცი თავსო,
ცოცხალია მამაშენი?
აკბალტ-ბრძენი როგორ მყავსო.
არ ვკითხულობ, მე შენს ამბავს
გამიგია ბევრი კარგი,
შენს თავს მტერს რომ უმალავდნენ,
ვითომ იყავ აკარაკი.
მე ვით გაქო გმირთა-გმირი
ქებას ისეც ჩვეული ხარ,
ვიცი, მხსნელად დაიბადე,
ვიცი, ბედის რჩეული ხარ.
— მადლობთ, ბრძენო კოშოი-ხან,
ასე თბილად შეხვედრისთვის,
ცხრა მთა რატომ გადმოვლახე,
მოგახსენებ, მოველ რისთვის.
ცოცხალია მამაჩემი,
აკბალტ-ბაიც არის კარგად,
მშობელ მიწის მონატრება
გულზე მაინც აწევთ დარდად.
ჩიტი ეძებს თავის ბუდეს,
და ძმას გული უცემს ძმისთვის,
როგორ ცხოვრობთ, როგორა ხართ,
რომ გამეგო, მოველ მისთვის.
— თავს დაგვესხნენ მანჟუები,
გამოგვრეკეს, როგორც ფარა,
დევნილები მთის ხეობამ
მიგვიღო და შეგვიფარა.
მუდამ ომის მოლოდინით
როგორ უნდა ვიყოთ კარგად,
შიშით ვკრთით და ვფიზღლობთ ძილშიც,
მოსვენება დაგვეკარგა.
მაგრამ ახლა, ერ-მანასო,
მეიმედა შენი ნახვა,
დამიბრუნდა მოხუცს რწმენა
გულს იმედი ჩამესახა:
სულს ეწვია რა ნუგეში,
უსასრულო, უნაპირო,
ვიცი, შექმნი შენ ყაგანატს
რჩეულო და გმირთა-გმირო.
წინ გაგვიძეხ, შენს დროშასთან
შეგვკრიბე და გვიმსახურე,
ჩვენი ხალხი ალტაიდან
მშობელ მხარეს დააბრუნე.
რისხვა რომ არ დაატეხონ
უშენობით მოხუც მამას,
იცი, მტერი ვერაგია,
ახლა სახლში წადი, მანას.
კანონია თქვენი სიტყვა
ერ-მანასმა უპასუხა
და კოშოიმ მამაც მხედრებს
საბოძვარი მისცა უხვად.
თვალზე ცრემლი მოიწურა
გმირი ტკბილად გადაკოცნა,
დიდხანს უცქეროდა მხედრებს,
გულით დაადევნა ლოცვა.
მიიჩქარის რაზმი სახლში
მიჭენაობს მწყობრად, ერთად,
სად იყო და სად არ იყო
მხედრიონი შეეფეთათ.
— ვინ ხართ? — ჰკითხეს.
— ყირგიზები! — უპასუხეს მეომრებმა,
ვეძებთ მანასს, უნდა ჩვენი
დავუმტკიცოთ ერთგულება.
გაიცინა ერ-მანასმა,
გიპოვივართ, თუკი მეძებთ
და ბაკაი, ბაის ვაჟი
უცებ გამოეყო მხედრებს.
უთხრა, მანასს: — რადგან გნახე,
გამითენდა ლხენის დღეო,
ერთგულებას შემოგფიცავ,
მეც შენს ერთ ძმად მიმიღეო.
— „გიძღვნი სალამს ბაის ვაჟო,
შენთვის გული გამიღია“,
დაიძახა ერ-მანასმა,
ძმობილს ხელი გადახვია.
გაიხარა ერ-მანასმა,
რას დაგვაკლებს ნეტა მტერი,
ურიცხვია ჩვენი ჯარი,
ვარსკვლავივით დაუთვლელი.
ერ-მანასმა უთხრა მხედრებს,
თქვენ მოგმართავთ, ჩემო ძმებო,
ყაზახებო, ყირგიზებო,
გულმამაცო ყივჩაღებო.
გულს არ გვიხსნის უცხო მიწა,
ცივია და უკარება
გადაგვღალა ჩვენი მტრების
დღენიადაგ მუქარებმა.
მშობელ მიწას მოწყვეტილებს,
გულზე დარდი მოგვდებია
ხიზნობაში ოქრო-ვერცხლიც
მხოლოდ ცივი ლოდებია.
ნეტავ იმას, ვისაც მუდამ
მამულისთვის უცემს გული,
დავუბრუნდეთ მშობელ მხარეს,
არისუფლის სასწაული.
ვის გინახავთ ისიქ-ყული,
უფლის ცრემლი, ტბად ქცეული,
ხეზე ჩიტის ბუდეები
აკვნებივით დარწეული
ვის გინახავთ მთები ასე
ცასთან ახლოს, მზესთან ახლოს,
ჩვენი უხვი მიწა-წყალი
ჩვენი თბილი სამოსახლო.
ჩვენი დიდი წინაპრების
ხსოვნა რომ არ წაიშალოს,
უნდა მამულს ჩვენი თავი
და სიცოცხლე ვანაცვალოთ.
ვერ ვადიდებთ ჩვენს წინაპრებს
მხოლოდ ცრემლით, მხოლოდ ხსოვნით
სიკვდილი ან გამარჯვება,
სიცოცხლეზე დავდეთ ფსონი.
და ძახილზე, ვაშა, მანას!
აკვანივით გადაირწა
საფლავების შავი ხვრელით
დაკონკილი დედამიწა.

ᲚᲐᲨᲥᲠᲝᲑᲐᲨᲘ ᲬᲐᲡᲕᲚᲐ ᲓᲐ ᲒᲐᲛᲐᲠᲯᲕᲔᲑᲐ ᲗᲔᲥᲔᲡ-ᲮᲐᲜᲗᲐᲜ

ორ თვემ განვლო იმ ამბიდან,
რაც ალტაის იყო კრება,
ერ-მანასის ჯარებს ხალხი
სულ დღითი დღე ემატება.
ჯიგიტები მამულისთვის
სიცოცხლეზე ფსონსა დებენ
და მამები ვაჟიშვილებს
საბრძოლველად ამზადებენ.
პირზე ღიმით აცილებენ,
ვის უნახავს ცრემლი კაცთა,
მეომრებით სავსე ველი
სიმძიმისგან დაბარბაცდა.
დაიფარავს მამაც მხედრებს
გულმხურვალე ლოცვა ქალთა
მზის სხივებით შუბების ტყე
კოცონივით აბრიალდა.
ერთ დროშის ქვეშ შეკრებილან
ყირგიზები, ყაზახები,
ელოდებათ წინ გრძელი გზა,
საბრძოლველად უცემთ გული.
წამითაც არ დაისვენონ,
ასეთია განაწესი,
თურქესტანის მმართველია
გოლიათი ხან — თექესი.
ემზადება საბრძოლველად
და ავედრებს მხედრებს უფალს,
არ დალაშქრონ ბურუტებმა
უჩ-ტურფანი, მართლაც ტურფა.
და ჯარები ყარა-სუუს
გალავანთან გააჩერა,
უჩ-ტურფანის დედაქალაქს
უნდა დაცვა, გადარჩენა.
და მოვიდნენ ერ-მანასთან
ყარატოკო, აჯიბაი,
მაჯიკი და ტაზბაიმატ,
ჩალიკი და კუტუბაი.
აიდარკან, არფიცხელი
და მრჩეველი მართლაც კარგი.
ასე უთხრეს, გმირთა-გმირო,
რომ არ იყოს დანაკარგი.
ნუ დავიპყრობთ ყარა-სუუს,
ავუქციოთ გვერდი ქალაქს
— გულში შიში შეგპარვიათ, —
მოერია ბრაზი მანასს.
— რაო, უკან დავიხიოთ?
მტერი ჩვენზე გავახაროთ?
დავიმალოთ მაჩვებივით,
მიწა ცხვირით გადავთხაროთ?
არ გავწირეთ თუკი თავი,
რას გვიშველის მხოლოდ ლოცვა,
ხან — თექესი დაგვეწევა,
ერთიანად ამოგვხოცავს.
შევერკინოთ უნდა მომხვდურს,
მამულს უნდა ვემსახუროთ,
ჩვენი მხარე — თურქესტანი,
ჩვენი მიწა დავიბრუნოთ!
და ბაკაიმ უთხრა მანასს
დაე, იყოს შენი ნება,
მაგრამ ხერხი ღონესა სჯობს,
ჩვენცა გვმართებს მოხერხება.
მე ქალაქის ალაყაფთან
მცირე რაზმით მივალ ნელა
გახელდება თექეს-ხანი
უკან გამოგვედევნება.
გაიფიქრებს, რომ ერ-მანასს
ჰყოლიაო რაზმი მცირე,
თქვენ წინ დახვდით, გზა მოჭერით
და ალყაში მოიქციეთ.
ალასუუს ალაყაფან
უთვალავი რაჯარია?
ყველა მხედარს შვენის ხმალი
ფარ-შუბი და აბჯარია.
და ბაკაი ფიქრობს ახლა
დაიწყება განგაშიო,
ჯარი გამომედევნება
შევიტყუებთ ხაფანგშიო.
ალაყაფის კარებამდე
რაღაც ოცი ნაბიჯია.
დგანან, როგორც ქვის სვეტები,
მეომრები არ იძვრიან.
თითქოს ყველა ქვად ქცეულა,
ან საღათას ძილით სძინავთ,
მიხვდა ხანის ეშმაკობას,
ერ-ბაკაის გაეცინა.

(გაგრძელება შემდეგ ნომერში)

6 № 46 (310) 25 XI - 1 XII

ქართული სიტყვა

ᲚᲘᲢᲔᲠᲐᲢᲣᲠᲐ. ᲖᲔᲚᲝᲕᲜᲔᲑᲐ. ᲰᲝᲚᲘᲢᲘᲙᲐ

ᲧᲝᲕᲔᲚᲙᲕᲘᲠᲔᲣᲚᲘ ᲒᲐᲖᲔᲗᲘ, ᲒᲐᲛᲝᲓᲘᲡ ᲝᲗᲮᲨᲐᲑᲐᲗᲝᲑᲘᲗ

„შენ – უკვდავების ჩამონადენო, მშვენიერებაც ხომ შენით ითქვა;
დიდება შენდა, ჩემო ნათელო – ქართულო სიტყვავ, ქართულო სიტყვავ!“

ᲞᲠᲝᲖᲐ

ᲒᲠᲘᲒᲝᲚ ᲠᲝᲑᲐᲥᲘᲫᲔ

ᲤᲐᲚᲔᲡᲢᲠᲐ

(ᲓᲐᲣᲛᲗᲐᲕᲠᲔᲑᲔᲚᲘ ᲠᲝᲛᲐᲜᲘ)

(გაგრძელება. დასაწყისი იხ. „ქართული სიტყვა“ №41, 42, 43, 44, 45)

მოხდა ერთხელ, რომ ყაზი-ბეიმ ელენა გაიწვია ცეკვაში. ქალი გაჰყვა. ჩრდილო კავკასიონს ძვირად ენახა ასეთი შეწყობილი წყვილი: მოხდენილობით, ელვარებით. კიდევ უფრო იშვიათად ასეთი ცეკვა, ან უფრო უკეთ, ასეთი შებმა ცეკვაში. ვერავინ შეეტყობოდა, რომელის ცეცხლი უფრო გიჟი იყო, მედგარი. ამ ცეკვის შედგომ ქალის გულში ყაზი-ბეი იყო მარტო ჩუმად, უხილავად, მაგრამ ყაზი-ბეის გული კიდევ უფრო ამწვარი კაზაკის ასულით.

როცა ამ ცეკვის ამბავი ქალის მამას მოესმა, მოიღუშა: არ ეამა რაღაც.

მისმა ტანმა მართლაც იგზნო წინასწარ უსიამოვნო, რამოდენიმე, დღის შემდგომ ხუთმა მხედარმა ელენა მოიტაცეს. ერთმა მათგანმა წინ გაშხვართა ქალიშვილი ცხენზე. მხედარმა პირველად ძუძუები იგრძნო მკვრივი, რიყის ქვებივით მაგარი (ეს შემდეგ გაახსენდა მხედარს). ქალიშვილი ბურანში იყო. მხოლოდ ხმით გაიგო, რომ ის მხედარი, რომელიც მას გავარდნილ ცხენით მიაქანებდა, იყო ყაზი-ბეი. პირველი, რამაც გადასერა ქალიშვილის გული, ბრაზი იყო. ხოლო სიბრაზეში რაღაც მწვავი ეწვეთებოდა, უმჩნევი (შესაძლოა ტკბილიც). პირი თუმცა შეკრული ჰქონდა ქალს, მაგრამ რომც არ ჰქონოდა, იგი სიტყვას ვერ დასძვრიდა: ისე იყო გატენილი (მედიდური რისხვით, თუ კიდევ რამეთი, რომელიც მას თვითონ ვერ გაერკვა). გრძნობდა მხოლოდ: ვაჟკაცის მკლავებს, ცხენის თქარათქურს, მხედრების ყიჟინას, გარბენილ ველებს, გარღვეულ მდინარეებს, ღამე იყო, როცა უღრან ტყეში შეიჭრნენ. ჩამოხტნენ. ჩამოსვეს ქალი. გაჰფინეს ნაბალი და მიაწვინეს. სასთუმლად უნაგირის ბალიში დაუდეს, მაგრამ ქალს ბალიშზე თავი არ დაუდვია, იგი იჯდა თავჩაღუნული და მდუმარე. განზე კოცონი გააჩაღეს. ენებ-აწვდილ ალთან ქალის ლოყები კიდევ უფრო უახლოვდებოდა და არც ამხანაგებს – (რცხვენოდა?). შემდეგ მიწვნენ მხედრები. დაწოლის წინ ჰაერი ისუნთქეს: თითქო გამოცნობა სურდა რაიმე ხიფათის. ქალს არ ეძინა. ქალს არ ეძინა. არ ეძინა არც ყაზი-ბეის. განვლო ხანმა: შუაღამე გავიდა. დარცხვენილი ვაჟკაცი ფეხ-აკრეფით მივიდა ქალთან. დაემხო მის წინ და წაიჩურჩულა: „მაპატიე!.. ძძლია შენმა სილამაზემ... გამახელა გრძნობამ“. ქალს თავი არ აუღია. ჩურჩულითვე გასცა პასუხი: „სხვა გზით შეიძლებოდა... ეხლა უფსკრულია... ჩვენს შორის.“.... ყაზი-ბეი მიხვდა წამსავე ქალის ბოღმას. ბოდიში მოიხადა და ალიონზე მამას დაუბრუნა ქალიშვილი. ორი სიტყვაც არ უთქვამს ზედმეტი. გაშორებისას მხოლოდ ნაწნავს მოჰკიდა ხელი ქალისას და კოცნით დააკვდა მას. არც ქალს უთქვამს არაფერი. ყაზი-ბეი ცხენს მოახტა და გავარდა დაჭრილივით.

მამას ლახვარივით მოხვდა ქალიშვილის გატაცება. აულებს მოედო ეს ამბავი. ვინ რას არ ამბობდა? შეიქმნა მითქმა-მოთქმა, კაზაკი აიმღვრა რისხვით. ასეთ შეურაცხებას იგი ვერ აიტანდა, ეს ყველამ იცოდა. მით უმეტეს: ქალიშვილი პატივ-აყრილი ეგონა, ყაზი-ბეი მიუვალ მთებში გადავიდა: ერიდებოდა კაზაკის შეხვედრას. მაგრამ კაზაკი, შეღვინიანებული, თვითონ მიეშურებოდა ხოლმე მთებისაკენ. აუცილებელი მოხდა: შეხვდნენ ერთხელ ერთმანეთს. ყაზი-ბეიმ აუხსნა ყველაფერი. მაგრამ კაზაკის მღვრია თავი არაფერს ისმენდა. სიტყვას სიტყვა მოყვა და რისხვას განრისხება. გაიმართა ნამდვილი ომი ხმალ და ხმალ. ომი თითქმის ნახევარ საათს გაგრძელდა. ყაზი-ბეის არ უნდოდა, სიკვდილი ამართულიყო კაზაკის ასულისა და მის შორის. ამისათვის ხმალ და ხმალ ბრძოლაში იგი უფრო ,,მოთამაშე" იყო: თითქო განგებ აცდენდა თავის მოქნეულს, კაზაკის მოქნეულს კი იგი ნადირის სიმარდით იგერიებდა, მაგრამ მისცა ერთ წამს სისხლმორეულს და მკლავში დასჭრა მოპირდაპირე. მაშინ ყაზი-ბეი ანადირდა თვითონაც და ერთი საშინელი მოქნევით კაზაკის თავი ძირს გააგორა. შემდეგ დაჭრილი მკლავი (მარცხენა) ტუჩებით მოწოვა: მოიწმინდა სისხლი და შეიხვია, გაუდგა დაღუშული გზას. ამ დღიდან მას მხოლოდ განდობილი თუ ნახავდა. გადავარდა აბრეკად. ტოლებიც ბევრი გაჰყვა.

დაბნელდა მზე ახალგაზრდა ქალის. დედა, დიდი ხანია, მოუკვდა. მამა მოუკლეს. მერე ვინ მოჰკლა? ყაზი-ბეიმ, სასურველმა. დარჩა მარტო: არც და, არც ძმა არც ახლო ნათესავი. ეს ის დრო იყო, როცა ბოლშევიკები ჩრდილო-კავკასიონს იღებდნენ. ბევრი საქართველოსაკენ გამოიქცა. ელენას გაახსენდა ტფილისში მას დედის მხრით მრავალი ნათესავი ჰყავდა, (თვითონაც ხომ ქართველად უფრო გრძნობდა თავს!) და გადაწყვიტა, ტფილისს წასულიყო. ერთხელ, ღამით, როცა ხმაური მოესმა და გარეთ გაიხედა, მის წინ კაცის მაგარი ლანდი აიმართა: ეს იყო ყაზი-ბეი. ქალი შედრკა, აღვივდა. ერთი სიტყვა არ წაცდენია. ვაჟმაც მხოლოდ ორიოდე სიტყვით მიმართა: ვერ გაუძლო უნახავობას... მოესურვა მისი ნახვა... მამა?! მამა შემოაკვდა... მისი ბრალი არაა... ქალს არაფერი უთქვამს. მხოლოდ ერთი წამით ვაჟის ხანჯალის ტარს მოავლო ხელი. (ნეტავ, რა იგრძნო ამ წამს ვაჟმა?): ვაჟი არ განძრეულა, ქალმა ხელი მოაცილა. ვაჟი დანელდა. შემდეგ, შემდეგ მოჰკიდა მის მაგარ ნაწნავს ხელი და ტუჩებთან მიიტანა. ქალი სდუმდა თავდაღუნული. სურდა რაღაც ეთქვა (ალერსისათვის საალერსო?), მაგრამ უეცრად მოკლული მამა მოაგონდა და ოდნავ ადგმული თქმა ისევ შეაყენა. (არა, მამის მკვლელს ვერ ეტყვის ასეთ რამეს). თვალებზე ცრემლები მოაწვა. ქალმა თავი დაღუნა, ვაჟი მიუახლოვდა და ტუჩები ოდნავ შეახო ქალის თმას. ქალი აცახცახდა. იყო წამი, როცა ყაზი-ბეი, ეს არის, უნდა გადახვევოდა ქალის აშოტილ ტანს, მაგრამ ამ დროს ვაჟს ღობეზე მიბმული ცხენის ფრუტუნი მოესმა. ყაზი-ბეი შეჩერდა წამსვე: ნადირის ნესტოები გაუგანიერდა, ყური უგდო, შორიდან ხმაური ისმოდა: კიდეც ახლოვდებოდა. ,,ნახვამდის, ჩემო მზეო!" შეჰკივლა და ცხენს მოახტა. ქალს უნდოდა, რაღაც მიეძახნა გავარდნილისათვის, მაგრამ ძახილი ყელშივე ჩაეხრჩო. შევიდა სახლში და ტირილით ლოგინზე დავარდა. მეორე დღეს ტფილისისკენ გამოემგზავრა. მთელი ღამე იმის არჩევანში იყო, დარჩეს თუ წავიდეს. ,,წავიდეს" - გადაწყვიტა მასში ვიღაცამ. ,,ყაზი-ბეის მერეც ნახავს" - ამბობდა ვიღაც.

ტფილისი უცნაური ქალაქია, ხოლო 1919-1920 წლებში კიდევ უფრო აუცნაურდა. გამორეკილი თუ გამოქცეული რუსები თავს აქ აფარებდნენ. სცენიდან კაჩალოვის ხმა - (,,სამხატვრო") დიალოგის ორმაგ შლიდა, ხან პუშკინის ,,მებადური და ოქროს თევზის" ზღაპარს ეპიური დანელებით ხვითოებად ჰყრიდა. ტფილისშივე იყო ნ. ნ. ხოდატოვ. სცენიდან მისი ხმაც ისმოდა: თამაშობდა დოსტოევსკის მიშკინს, ან და ლექსებს კითხულობდა რუსეთზე რუსი პოეტებისას (უყვარდა მაქსიმილიან ვოლოშინის ლექსები და მათ შორის „სტენკა რაზინ“). კომპოზიტორი ნ. ნ. ჩერეპნინ კაფეში შედიოდა მთვრალი (სიმთვრალეს ვერ შეატყობდით) და ნაღვლობდა რუსეთზე. შემდეგ მუსიკაზე გადადიოდა და უეცრად წამოიძახებდა: აცადეთ ჩემს საშას, (საშა ძე იყო მისი სკვითურ-სლავურ აღნაგობით), აბა რა ჰქნას? მხატვარი იური სერგეევიჩ სუდეიკინ რესტორანს ხატავდა, რომელსაც ქართველმა პოეტებმა ,,ქიმერიონი" დაარქვეს, (სუდეიკინმა მართლაც აავსო რესტორანი ქიმერებით). მხატვარ საველი აბრამოვიჩ სორინს ქართველ ყელმოღერებულ თავადის ასულების პროფილები ტილოზე გადმოჰქონდა: „ლამაზი, მეტად ლამაზი“ ხაზებით. დრამატურგი და თეატრალი ნ. ნ. ევრეინოვ, როგორც ყველგან და ყოველთვის, აქაც „თეატრს თავისთვის“ სთხზავდა და შერჩეულ წრეებში „სამოე გლავნოე“- ს კითხულობდა. პოეტი სერგეი მიტროფანოვიჩ გოროდეცკი, კავკასიის ფრონტის დარღვევის შემდეგ, ტფილისში დარჩა და ამრავლებდა „პოეტების ცხენს“, საცა კიდევ უფრო მეტი იყო, ვიდრე ვაჟი და ერთი-მეორის „გაცნობა“ კიდევ უფრო მეტი ვიდრე პოეზია. პოეტი სერგეი ლვოვიჩ რაფაელოვიჩ ჩამოვიდა ბაქოდან და არ შეუწყვეტია საწერ მანქანის რახრახი, რომლითაც იგი უთვალავ ლექსებს სთხზავდა. ვინ არ იყო მაშინ ტფილისში? ფუტურისტებმაც აქ გადადგეს ნაბიჯი დადაიზმისკენ.. მათ შექმნეს ორგანო „41 გრადუსი“ – (ალბათ სიცხის ნიშანი, როცა ბოდვა იწყება). ალექსეი კრუჩონიხს „კაკ“–ისგან გამოჰყავდა მთელი რუსული ლიტერატურა, და, როგორც დამშეული და ნაციები ქათამი ნაგავში ეძებს საკეკნკს, ისე ეძებდა გაძვალტყავებული კრუნჩხონიხ „სდვიგ“-ებს ლიტერატურაში. ან კი რა გასაკვირია: ქვეყანა შექანდა და „აბრუნდი“ აზრი გახდა მისი. უნდა გენახათ, როგორ აკვინტრიშდებოდა ხოლმე, როცა „აბრუნდს“ ნახულობდა. ამ ძებნაში კრუნჩონიხს დიდი დამხმარეც აღმოუჩნდა: იგორ ტერენტიევ, რომელიც არ აკლდა თავისებური ინტუიცია. ტფილისშივე იყო ილია ზდანევიჩ, კაცი ნამლევა, მაგრამ გარდაქეშანის პათოსის. იგი ხმას ავარჯიშებდა მუდამ ,,ზამიმ“-ის წარმოსათქმელად, რომლით დაწერილი სიტყვები ალბათ ასტრალურ სმენას თუ ესმოდა. დიდებული იყო იგი, როცა კაფეებში თავის „სმერტ გაპპო“-ს კითხულობდა. უნდა გენახათ, როგორ იზრდებოდა ეს პატარა კაცი და როგორ იპყრობდა თვალებ-აცეცებულ საზოგადოებას – (ლექსის ბოლოში მართლაც ისმოდა სიკვდილის შრიალი). ვასილი კამნეკიც ეწვია მაშინ ტფილისს. კითხულობდა ესტრადიდან „სტენკა რაზინს“. და მოკვეთილი ხმით „ცარინნ ნა კიჩკუ!“ მოედო ტფილისის ქუჩებს, იყვნენ სხვებიც.

ტფილისი გახდა პოეტების ქალაქი, კაფე „ინტერნაციონალი“. იგი კიდეც გამოაცხადეს პოეტების ქალაქად. კიდევ მეტი, გაიძახოდნენ, პოეზია მარტო ტფილისშიაო. პაულო იაშვილი სწორედ ამ ხანებში თავს დაეცა ტფილისს, როგორც არტურ რემბო პარიზს. მაშინ ჯერ კიდევ არ იცოდა მან, რომ ტფილისის აღება ბოჰემით უფრო ძნელია, ვიდრე პარიზის. ტიციან ტაბიძე ორპირის ჭაობში და მალარიაში ლაფორგის მთვარის სიყვითლეს ხედავდა და ლექსებში მასავით უყეფდა ამ ყბად-აღებულ მნათობს. მას ისიც ეგონა, რომ ორპირის ყანჩი ლოტრეამონის ,,მალდსარორივით" დაიწყებდა დითირამბულ მონოლოგებს, გრიგოლ რობაქიძეს ამ დროს მხოლოდ ორი რამ აწვალებდა, აპოკალიფსი და დიონისო. ამავე დროს ამზადებდა იგი „ორღობის ეშაფოტს“, „პატმოსის რიტმებს“, ქვეყანა მართლაც იქცეოდა და მხოლოდ ტფილისი იყო ერთად ერთი ქალაქი, რომელიც ამ „ქცევას“ პოეტური მღერით ხვდებოდა, (უდარდელობით ხომ არ აიხსნება, აღმოსავლურით თუ ქართულით?)

ტფილისი შეიქნა ფანტასტური. ფანტასტურ ქალაქს ფანტასტური კუთხეც ეჭირვებოდა და იმავ დღეს იმავ პოეტებმა და მხატვრებმა რუსთველის პროსპექტზე, №12, შიგნით ეზოში გახსნეს „ფანტასტიჩესკიი კაბაჩეკ“, პატარა ოთახი, სადაც შეიძლება 10-15 კაცი დატეულიყო, მაგრამ რაღაც განგებით 50 ეტეოდა. აქაც მსმენელი ქალი იყო, ვიდრე კაცი, ოთახის კედლებიდან ფანტასმები იხედებოდნენ, ისე იყო ღია. კითხულობდნენ იგივე პოეტები და მხატვრები, ლექსებს თუ მოხსენებებს. მათ მიემატა სწავლული გიორგი არტემიჩ ხარაზოვ, სპეციალობით მათემატიკოსი და „განხრით“ ფროიდიანელი. დროგამოშვებით მექანიკურ ლექსებსაც ,,აკეთებდა“. იგი ყველაფერს ხსნიდა ფროიდის მეთოდით ერთხელ ამ მეთოდის პუშკინის ტატიანას სიზმარიც ახსნა. უ7ეცრად ,,კაბაჩოკის“ კარებს ვინმე ტფილისელი მოქალაქე მოადგა,, თურმე გაკვირვებოდა სიზმრის ახსნა და ჩუმად აყუდებულიყო იქვე. ხარაზოვმა რომ სიტყვა გაათავა, "მოქალაქემ" უეცრად მსმენელ საზოგადოებას გადასძახა: "ვა, სიზმრის ახსნა თუ გინდათ, ავლაბარელ ვანუას ქვრივს კითხეთ, რაღა“. საზოგადოება სახტად დარჩა. ხმაური, აურზაური. ხარაზოვს ეს შეძახილიც ფროიდის მეთოდით უნდოდა აეხსნა - ("მოქალაქის" წინ ერთი სქელი ქერა ქალი იჯდა დაყურსული და ამ მეთოდისთვის ეს ბევრს ნიშნავდა) – მაგრამ ვინღა აცალა: ყველანი დაიშალნენ. ხმაურში სიცილიც ისმოდა. ხანდახან კისკისიც.

(გაგრძელება შემდეგ ნომერში)

„შენ — უკვდავების ჩამონადენო, მშვენიერებაც ხომ შენით ითქვა;
დიდება შენდა, ჩემო ნათელო — ქართულო სიტყვავ, ქართულო სიტყვავ!“

ᲐᲮᲐᲚᲘ ᲚᲔᲥᲡᲔᲑᲘ

ᲙᲐᲪᲐᲓ ᲘᲥᲔᲪᲘ ᲩᲕᲔᲜᲘ ᲩᲐᲤᲘᲠᲘ

ᲙᲐᲪᲐᲓ ᲘᲥᲔᲪᲘ

ღალატი აწევს ქვეყანას ტვირთად,
დრო სწრაფად მიდის, დარდს დარდზე
აწყობს,
დაღვრილი სისხლი აზვირთდა გმირთა,
ვერ უსაძირკვლა მომავალს აწმყომ.
ზეცა ატირდა ცხარე ცრემლებით,
პასუხს ითხოვენ ჩვენი შვილები,
ახლა სჭირდება მამულს მცველები,
თუ ქართველი ხარ, როგორ მშვიდდები!..
გადააშავეს რიწა ნისლებმა,
ვერ დავანგრიეთ შუღლის გოდოლი,
ბზიფის ხეობა ჯანღით ივსება,
სისხლისფერია დღესაც კოდორი.
აღარ გაისმის ლაღი სიმღერა,
ღრუბელი ფარავს სამურზაყანოს,
ენგური მოჰქუხს, ტალღა იმღვრევა,
ბორკილები სურს მამულს აჰყაროს...
უწვერულვაშო იყავი მაშინ,
როცა გვართმევდა მამულს გაღმელი,
დედისთვის დარჩი პატარა ბავშვი,
ცრემლებს ვერ უშრობს ღამე დამღლელი.
წიოდა ტყვია, ქარი კიოდა,
გზას ვერ იკვლევდა მზის სხივი ნისლში,
მტრის სიძულვილი გულში ღვიოდა,
კაცად იქეცი, დაძლიე შიში.
მოგძებნა მაინც მომხდურის ტყვიამ,
დედამ არ იცის და გიქსოვს წინდებს, —
,,ზამთარი მოდის, ზამთარში ცივა,
ჩემი პატარა არ გამიცივდეს“.
ცრემლი მომადგა, ავტირდი კაცი,
მახსოვხარ, ბიჭო, მოკლე შარვალში,
დღეს აღარა ხარ და გული დამწვი,
რა უპატრონოდ წევხარ შამბნარში...
მართვე იყავი და გხედავ არწივს,
ირაოს რომ კრავს ლაღად ზეცაში,
რა ეშველება დედაშენს აწი,
გადათეთრდება შვილის ძებნაში.
კვლავ გიხსენებენ შენ გოგონები,
თეა, მარი და ანა, ხათუნა,
არ დაგელევა აქ მომგონები,
დედის წინდებმა, ბიჭო, დაგთბუნა!
წვიმა დაიწყო, წვიმის ტბორები,
გულში დარჩენილ სევდას ვერ წაშლის,
შეჭაღარავდნენ შენი ტოლები,
დედა კი ისევ მოგელის სახლში.

ᲒᲐᲛᲝᲕᲤᲮᲘᲖᲚᲓᲔᲗ!

დარაბებს ვხსნი, გარეთ ისევ სიბნელეა,
არ გამოჩნდა, გუთნეულის გამმართავი,
გაიძარცვა, გაიყიდა ივერია,
ვერ ვიპოვე დაკარგული სამართალი.
მოსაგონრად რაც ჩვენ დაგვრჩა
წარსულია,
რას მიშველის ღამე თეთრად გავათენო,
გონს მოვიდეთ, ჩვენი საქმე წასულია,
სახსენებლად არ დაგვრჩება საქართველო.
ზეცა ტირის, ღრუბლები კვლავ ირევიან,
დავემონეთ გაღმელების მოურავებს,
ღვთისმშობელმა რომ გვიკურთხა ივერია,
ქართველებო! ვილაჩრეთ, ვერ მოვუარეთ.
ამ მდელოზე ბავშვობაში მირბენია,
ამოვძირკვეთ სიხარულის საფუძველი,
სადარდო და საწუხარი იმდენია,
ჩემო გულო, გამაგრდი და გაუძელი.
ცრემლის წვიმამ აამღვრია ნაკადული,
შავი ფერი დაეფარა რიწას ნისლის,
დაიბრუნეთ აფხაზეთი დაკარგული,
სამოთხიდან წინაპრების ხმები ისმის.
არ დავუშროთ იმედების წყარო ხიზნებს,
დროს ნუ ვკარგავთ ჩვენი ქვეყნის
გამთელების,
გვაცდუნებენ გაღმელები, -
გამოვფხიზლდეთ,
ერთად ვიყოთ ამერ-იმერ ქართველები.
გულში არ მაქვს არაფერი დამალული,
საქართველო მტრის მახვილით ნასერია,
არ დავკარგოთ ენა, რწმენა და მამული,
ამ მიწაში წინაპარი ასვენია.
მზის სხივებო ოქროსფერად ნაწნავებო,
გაამხნევეთ ალიონი დათალხული,
ჩემო ერო, ნატანჯო და ნაწამებო,
ჩვენს ქვეყანას დაუდგება გაზაფხული.
ყვარლის მთებში სალოცავი ნეკრესია,
განთიადის ნათელი რთავს საოცარი,
კედლები არ დაბზარვია ეკლესიას,
არ მოაკლო ვაზის კვირტებს, ცაო, ცვარი.
ილაჟვარდე, ქართვლის ზეცავ მადლიანო,
ხევსურებმა გამოჭედეს ხალიბური,
წინაპრებო, დავით, ცოტნე დადიანო,
გაბრწყინდება საქართველო დაბინდული.

P.S.
სამებაში შევიკრიბოთ მლოცველები,
მოვინანოთ ცოდვები, ნუ ვიმალებით,
ავასრულოთ წინაპრების ოცნებები,
გავახაროთ სული ჩვენი წმინდანების.

ᲖᲐᲠᲔᲑᲡ ᲨᲔᲛᲝᲕᲙᲠᲐᲗ ᲒᲐᲜᲒᲐᲨᲘᲡ!..

ცაზე ღრუბლების აკვანში,
ვერ გავაღვიძე, იწვა მზე,
ქართველთა სისხლი გაგრაში,
დღესაც ატყვია მიწაზე.
ფიქრით წარსულში ვიჭრები,
ზეცას ცრემლები ღვარად სდის,
უწვერულვაშო ბიჭები,
ბიჭებად დარჩნენ მარადის.
ვერ დაიწმინდა კოდორი,
ამღვრეულია ტალღები,
მესმის მშიერი ობოლის,
ქვითინი გულის წამღები,
მეხმა უგულომ, საშიშმა,
მხარი მოჰკვეთა ბერმუხას,
ცივა, მამული გაშიშვლდა,
აწმყო მომავალს ფესვს უხრავს...
ერის სიმთელეს ვნატრობდი,
ბედი არა მაქვს ნატვრაში,
გაღმელი გახდა ბატონი
და გვაქექინებს ნაგავში.
მწუხრის კოცონი ანთია,
ღამეს დღე ვეღარ ათენებს,
ლხინი და ფქვილი მათია,
ქატოს გვაჭმევენ ქართველებს.
თუ გული შიშით გახევდა,
ხდება სილაჩრის მძევალი,
დაბადებული სახედრად
ვეღარ გახდება მერანი.
ემსახურება ლაქიად,
ქართველი ფეხს ბანს უცხოელს,
ასეთ დაცემას რა ჰქვია!
გამჩენი სულს არ უცხონებს.
ვაჟკაცებს ტყვიას ესვრიან,
როკვა დაიწყეს „ცისფრებმა“.
ვინც გავიხადეთ მესიად,
სიცრუის ლაფში ისვრება.
ვერ აცდუნებდათ სიმდიდრე,
გმირებს დიდგორის, მარაბდის,
ოჯახის ფუძის სიწმინდეს,
დაცვა სჭირდება მარადის...
არ დავუჯერეთ ილიას,
გვთხოვდა, ურთიერთ გატანას...
მომხდურს ძეობა, ლხინი აქვს,
ჩვენ დაგვიმონა სატანამ.
ზეცა ღრუბლებმა დაფარეს,
ცრემლები ვეღარ დამალა,
თავისად თვლიან ამ მხარეს,
ზეობს გაღმელთა ამალა.
გვახვევს სიცრუის ბადეში,
ვუძლებდით გრიგალს, ქარტეხილს,
არ დაგველია სახვნეში,
გულს ვერ ვამთელებთ გატეხილს.
ქვეყანა რჩებათ მძარცველებს,
ელვამ ცას სახრე გადაჰკრა,
უიმედობას ავრცელებს,
მყეფარე ქარი კარდაკარ.
ვერსად ვიპოვე საშველი,
ქართველები რას ელიან!
ბავშვს ვხედავ ხელებგაშვერილს,
ჩამოძონძილს და ცრემლიანს.
ზვავი დაიძრა მთებიდან,
მოჰქრის და ავად გრიალებს,
ოცნებით ვეღარ ვთბებით და
შვილებს ვუტოვებთ იარებს.
თუ არ გვიშველა გამჩენმა,
ერთმანეთს თვალებს დავკორტნით,
უქართველებოდ დარჩება,
ღვთისგან ნაკურთხი წალკოტი.
რა პასუხს ვაძლევთ მინდიას!
სახელს ვივიწყებთ დავითის,
წლები კვლავ სწრაფად მიდიან,
რა გველოდება ხვალისთვის?!
ზარებს შემოვკრათ განგაშის,
იჩაგრებიან მართლები,
გმირთა საფლავებს გაგრაში,
დავუნთოთ წმინდა სანთლები.
ნუ გვაქვს თავები დახრილი,
ჯიში მრავლდება სხვა მოდგმის,
გზას ერთად იგნებს ნახირი,
ქართველებო, ჩვენ რა მოგვდის?!.
შორს დღის ნათელი ციმციმებს,
მაცდურებს აღარ ვენდობით,
ერის რიცხობრივ სიმცირეს
ქართველები ვძლევთ ერთობით.
P. S.
ერს გადაარჩენს მხოლოდ ერთობა,
მაისის დილა მოვა იებით,
ღმერთს ცოდვიანი თუ ვთხოვ შენდობას,
შეგვინდობს ლოცვით, მონანიებით.

ᲣᲨᲣᲠᲘᲡ ᲮᲘᲜᲓᲐᲘᲜᲓᲠᲐᲕᲐᲡ

ᲐᲮᲚᲝ ᲬᲐᲠᲡᲣᲚᲘᲓᲐᲜ

გოგა ხაინდრავას დოკუმენტური ფილმის — „დემოკრატიის შუქურის“ მიხედვით

ის, რაც ვიხილე — გულშემზარავი,
აუტანელი იყო საცქერლად
და როგორც შესძლო ჩემმა გონებამ,
ემოციურად ისე აღწერა.
დაუჯერებლად ჩანდა განცდილი —
ეკრანზე ნანახს ასე ვაფასებ,
ბრძოლის ველს ჰგავდა ჩვენი გამზირი,
სისხლი ეფინა ქვის ფილაქანზე.
ერში არ ჩანდა მწყემსი კეთილი
— ხალხი ქომაგი, რომ ვთქვა მხატვრულად,
სიმართლე იყო მუხლმოდრეკილი,
მას სიძულვილი ედგა მსაჯულად.
სამართალს პური ისევ შიოდა,
ტაძარში კვლავაც ენთო სანთელი,
ღვთისმშობელს თვალთგან ცრემლი სდიოდა,
ქართველებისთვის მწარედ ნადენი.
განფენილიყო სევდის ფარდაგი,
მიწა ძაძებით იყო მოსილი,
ფრაზებს ისროდა ვიღაც „ქადაგი“,
ხალხი კი სისხლით იყო მოსვრილი.
სუსტად ისმოდა სიმართლის ექო,
თასით ასმევდნენ შხამიან შარბათს,
კაცთმოყვარება მიწაზე ეგდო
და სისასტიკე სისხლს ხვრეპდა ხარბად.
მოწყენილ იყო დედა-ბუნება,
ცას გადაჰკვროდა ღრუბლები მკაცრი,
მთაწმინდა სევდით გადმოჰყურებდა
გავერანებულ რუსთველის გამზირს!

8 | № 46 (310) | 25 XI - 1 XII

ᲥᲐᲠᲗᲣᲚᲘ ᲘᲢᲧᲕᲘᲐ

ᲚᲘᲢᲔᲠᲐᲢᲣᲠᲐ. ᲖᲔᲚᲜᲘᲤᲚᲔᲑᲐ. ᲞᲝᲚᲘᲢᲘᲙᲐ

ᲧᲝᲕᲔᲚᲙᲕᲘᲠᲔᲣᲚᲘ ᲒᲐᲖᲔᲗᲘ, ᲒᲐᲛᲝᲓᲘᲡ ᲝᲗᲮᲨᲐᲑᲐᲗᲝᲑᲘᲗ

„შენ – უკვდავების ჩამონადენო, მშვენიერებაც ხომ შენით ითქვა;
დიდება შენდა, ჩემო ნათელო – ქართულო სიტყვავ, ქართულო სიტყვავ!“

გიორგი ლეონიძე

ᲞᲝᲖᲘᲪᲘᲐ

„ნარმანია იყო კარგი მინისტრი მაშინ, როცა ბიძინა ივანიშვილის დავალებებს ასრულებდა... არაა კარგი მერი, მაგრამ იქნებოდა კარგი მოადგილე. უფრო მეტიც, დავით ნარმანია „ქართული ოცნების“ პოლიტსაბჭოს მძევალია და იძულებულია, მისი სურვილები ზედმიწევნით შეასრულოს“, – აცხადებს თბილისის საკრებულოს ყველაზე „პოპულისტი“ დეპუტატი ალეკო ელისაშვილი, რომელსაც იმ დღეს შევხვდი, როცა საკრებულოში მერიის მიერ გამოგზავნილი ბიუჯეტის პროექტის უკან დასაბრუნებლად ემზადებოდნენ. ბუნებრივია, შეკითხვებიც ქალაქის მერსა და ბოლო დროს განვითარებულ მოვლენებზე დავუსვი.

„ივანიშვილმა ეს ლონდრეები დაგვიტოვა!“

ალეკო ელისაშვილი დავით ნარმანიასთან კულუარული შეხვედრის დეტალებს ყვება

„ნარმანიასა და ბევრ სხვასაც ავიწყდება, რომ არჩეული ვარ და აქ დედიკომ არ მომიყვანა. ავიწყდებათ, რომ არჩევნებში დავამარცხე „ქართული ოცნების“ კანდიდატი! თუ ვინმეს ძალიან ვაღიზიანებ, შეუძლია, ნებისმიერ უბანს დაადოს თითი და ხელახლა ვიყარო კენჭი – ასე გავზომავთ ერთმანეთს. ის, რაც მე მაყვირებს, პოპულიზმი მათ ჰგონიათ, ვინც ხელისუფლებაშია, ან „ოცნების“ გულმხურვალე მომხრეა. მაღელვებს ამ ქალაქის პრობლემები, რადგან მათგან განსხვავებით, ჯიპით არ დავდივარ და ქალაქს მაღალი მანქანის დაბურული შუშებიდან არ ვუყურებ.

– საკრებულო მერიას ბიუჯეტის პროექტს უკან უბრუნებს – უმრავლესობა და ოპოზიცია თანხმდება, რომ პროექტი ცუდია. ეს როგორ მოხდა?

– ამ გადაწყვეტილების მიღებისას ერთსულოვანი ვიყავით და სხვა აზრი არც უმრავლესობას გვქონია და არც – დანარჩენ დეპუტატებს. ყველა ერთხმად ვაკრიტიკებდით ბიუჯეტის პროექტს და ვამბობდით, რომ პრიორიტეტები არასწორად იყო გადანაწილებული.

– კონკრეტულად რა არ მოგეწონათ?

– პროექტი ძალიან აბდაუბდაა. ტენდენცია – ყველაფერი ჩინოვნიკებს და ძალიან ცოტა ხალხს – გრძელდება. შარშან ბიუჯეტი 803 მილიონი ლარი იყო და შემდეგ გაიზარდა. ახლა კი, 810 მილიონია. შარშან, 90 მილიონი, საკრებულოსა და მერიაში ადმინისტრაციის შენახვაზე იყო გამოყოფილი, ახლა – 94 მილიონია. ძალიან უცნაური კი ისაა, რომ ხელისუფლება „ნაცმოძრაობის“ რაღაცებს იმეორებს, ამ შემთხვევაში, მუნიციპალურ დონეზე. ჩინოვნიკები ფუფუნებაში უნდა ცხოვრობდნენ, ხალხი კი, მოითმენსო – ასე იყო ადრე, მაგრამ კარგად შეფუთული და ამის შესახებ მერიიდან ინფორმაციის მოპოვება შეუძლებელი გახლდათ. ახლა ინფორმაციის მოპოვება იოლია, მაგრამ სურათი იგივეა. დეკლარირებული რომ გაქვს „ქამრების შემოჭერის“ პოლიტიკა და ადმინისტრაციული ხარჯის გაზრდას 4 მილიონით აპირებ, 8 მილიონით რომ გინდა გაუზარდო ანაზღაურება ჩინოვნიკებს, ესაა „ქამრების შემოჭერა“?

– და ეს იმ დროს, როცა ქვეყანაში ასეთი მდგომარეობაა, არა?

– ქვეყანაში ძალიან ღარიბი მოსახლეობაა. ყველაფერს თავი რომ დავანებოთ, ჩვენი მაცივრები გავიხსენოთ, თუ როგორ გაგვაქვს თავი თვიდან თვემდე. როცა ამას ვამბობ, პოპულისტი ხარ და შალვა ნათელაშვილივით ლაპარაკობო, მეუბნებიან. არადა, თავი მეც ძლივს გამაქვს და სხვებზე რა ვთქვა?! ახლა შვილმა დამირეკა და მითხრა, რომ თუ დღეს სინათლის გადასახადს არ გადავიხდი, ხვალ ჩამიჭრიან. მეც, ასევე, ძალიან ბევრს ვფიქრობ, თუ როგორ გავიტანო თავი ოჯახთან ერთად და ეს მაშინ, როცა სამსახური მაქვს და წარმოიდგინეთ, ის ადამიანები, ვინც უმუშევარია. ამ დროს მერიაში მუშაობენ უშტატო თანამშრომლები, პიარის განყოფილებაში, რომელთაც ხელფასი 6 225 ლარი აქვთ. ეს რა არის? შეამცირებენ პრემიებს, გაზრდიან დანამატებს და ასე გრძელდება!

– დავით ნარმანია კარგი მერია?

– ნარმანია კარგი მინისტრი იყო მაშინ, როცა პრემიერი ივანიშვილი გახლდათ და მის დავალებებს ასრულებდა. ამიტომ ის იქნებოდა კარგი მოადგილე. დღეს ნარმანია, პრაქტიკულად, „ქართული ოცნების“ პოლიტსაბჭოს მძევალია, რომელსაც იმის საშუალებაც კი არ აქვს, რომ საკუთარი გუნდი თავისი ნებით შეარჩიოს: ხან კალაძე უნიშნავს თანამშრომელს, ხან – საგანელიძე და ისინი ანგარიშვალდებულნი არიან არა ნარმანიასთან, არამედ – „ქართული ოცნების“ პოლიტსაბჭოსთან.

ივანიშვილამდეც, ალბათ, ბევრი უარყოფითი ინფორმაცია მიდის. არ ვიცი, არ ვარ სოლოლაკის სასახლეში ატუზული, მაგრამ ბევრჯერ გაუკრიტიკებია ნარმანია და ამას ვხედავ. ყველა ხედავს, რომ ნარმანიას სისუსტის გამო, „ქართული ოცნება“ ძალიან ილანძღება, მაგრამ პირველ რიგში, თავის თავს უნდა მოსთხოვოს პასუხი. სპორტის მინისტრის ძმას რომ მისცეს ჭავჭავაძისა და წერეთლის გამზირები გადასათხრელად, რატომ არ იფიქრეს, რა მოხდებოდა?

– თვითნებურად თხრიანო, – თავი გაიმართლა ნარმანიამ...

– ნარმანია რომ ვიყო, ამ ფრაზის შემდეგ ბოდიშს მოვიხდიდი და გადავდგებოდი, მაგრამ ეს გულით თქვა. წარმოგიდგენიათ, როგორია ქალაქის მერი, რომელიც ამბობს, თბილისის ქუჩების თვითნებური გადათხრის ფაქტები „გახშირდაო“ და ეს სიტყვაა მნიშვნელოვანი. ამას ამბობს ქალაქის მერი, რომელსაც ზედამხედველობის სამსახურის 130-კაციანი შტატი ჰყავს?! ეს ხალხი კარგ ხელფასს იღებს, რომ ქალაქში თვითნებურად რაღაცები არ მოხდეს. იცით, ალბათ, ვაზისუბანში, ვიღაცამ სახლს რაღაც ფიცრებისგან მიაშენა და 10 ათას- ლარიანი ჯარიმა გამოუწერა ზედამხედველობის სამსახურმა. ის დაინახა ამ სამსახურმა და წერეთელი თუ ჭავჭავაძე რომაა გადათხრილი, ვერა? ან ეს რამ ათქმევინა მერს, ან ამის მერე როგორ აგრძელებს სამსახურში სიარულს?

– ნარმანიას გაუშვებენ?

– არ ვიცი... ეს ის ქალაქი არაა, რომელიც ასეთ რაღაცებს დიდხანს მოითმენს. მე და დანარჩენმა ოპოზიციამაც ხმა რომ არ ამოიღოს, ქუჩაში რომ გავალთ, სამოთხე დაგვხვდება? და საერთოდ, რას ჰგავს ეს ქალაქი? თან, არანაირი ხედვა არ არსებობს, რა შეიძლება ეშველოს.

– ზოგი ამბობს, უგულავა მოგვენატრაო...

– უგულავა არასოდეს მომენატრება – ის იქ ზის, სადაც უნდა იჯდეს. ჩემი აზრით, სამართალიც სხვანაირია ამ ქვეყანაში: ჯოკია ბოდოკიას 11 წელი მისცეს, გიგი უგულავას – სამწელიწადნახევარი. ბოდოკიამ 10 ათასი დოლარი ქრთამი აიღო და უგულავამ 50 მილიონი გაფლანგა, ეს, რაც დაუმტკიცეს, თორემ რაც ვერ დაუმტკიცეს, კიდევ ცალკე ისტორიაა, თუმცა უგულავა, ნარმანიასთან შედარებით, ათჯერ უფრო ეფექტური მენეჯერი იყო. რას და როგორ აკეთებდა, ცალკე ამბავია. ის ფეხის წვერებზე არბენინებდა მერიის ყველა თანამშრომელს, როცა რაღაც ინტერესი ჰქონდა და ყველა პროექტში აუცილებლად თავისი ინტერესი ჰქონდა. ამ მხრივ ნარმანიასა და უგულავას შედარება არ შეიძლება. ერთი ისაა, როგორც ინფორმაცია მაქვს, ნარმანია ფულს არ აკეთებს, მაგრამ თვალს ხუჭავს სხვების მიერ ფულის კეთებაზე. უგულავას ვერავინ უბედავდა ფულის კეთებას იმიტომ, რომ ამას თვითონ აკეთებდა.

– ამ სიტუაციაში, ხშირად გიწევთ იმის გამეორება, რომ არჩეული მაჟორიტარი ხართ. ბევრს კი ჰგონია, რომ პოპულისტი ხართ და ამ განცხადებებს ამიტომაც აკეთებთ...

– ნარმანიასა და ბევრს სხვასაც ავიწყდება, რომ არჩეული ვარ და აქ დედიკომ არ მომიყვანა. ავიწყდებათ, რომ არჩევნებში დავამარცხე „ქართული ოცნების“ კანდიდატი! თუ ვინმეს ძალიან ვაღიზიანებ, შეუძლია, ნებისმიერ უბანს დაადოს თითი და ხელახლა ვიყარო კენჭი – ასე გავზომავთ ერთმანეთს. ის, რაც მე მაყვირებს, პოპულიზმი მათ ჰგონიათ, ვინც ხელისუფლებაშია, ან „ოცნების“ გულმხურვალე მომხრეა. მაღელვებს ამ ქალაქის პრობლემები, რადგან მათგან განსხვავებით, ჯიპით არ დავდივარ და ქალაქს მაღალი მანქანის დაბურული შუშებიდან არ ვუყურებ. ფეხით დავდივარ, ხალხი მაჩერებს და რაღაცას შემომჩივის. ამას როგორ აუვიდე, არ ვიცი. ეს რომ მართალია და გულზე ხვდებათ, ამას ეძახიან პოპულიზმს. ხალხმა არ იცის, როდის დაენგრევა თავზე შენობა, ამ დროს ავარიული შენობების ბიუჯეტს ამცირებ და ქალაქგაფორმებით ბიუჯეტს ზრდი. რა, ქალაქს ვაფორმებთ? – იმას, რომელიც ხალხს თავზე ენგრევა?

– რაც ფასადურმა სილამაზემ მოგვიტანა, ვიცით...

– არაფერი მოგვიტანა! ზოგს ჩემი პოპულარობა პოპულიზმი ჰგონია, ტერმინები ერევათ. ხალხზე ჭიპით ვარ მიბმული და რასაც ვლაპარაკობ, თუ ასე არაა, ჩემთან ერთად იარონ და ნახავენ. სიმართლის თქმა ძალიან მწარეა და „ქართულმა ოცნებამაც“ ტკბილად რომ მოირგო თანამდებობები, სავარძლები და ჯიპები, ამას რომ ახსენებ, ღიზიანდებიან, თან „ნაციონალები“ რომ ეტყვიან, პრემიებსა და დანამატებს იღებთო, ეს არ ხვდება მათ ძარღვსა და ნერვს, მაგრამ მე რომ ვეუბნები, რადგან არც იმათი მომწონდა და არც ამათი, ეს აგიჟებთ. ჩემთვის მნიშვნელობა არ აქვს, ვინ გამძარცვავს – კეზერაშვილი, უგულავა თუ სხვა ვინმე. რასაც ვამბობ, ყველაფერზე ნაფიქრი მაქვს – ავარიულ შენობებზეც, ისტორიულ ქალაქზეც და მამაძაღლი „სითიპარკის“ გაგდებაზეც. ვიდრე რამეზე ყვირილს დავიწყებ, ბევრს ვფიქრობ. ყველაფერ ამაზე რომ ვერაფერს მეუბნებიან, პოპულისტი ხარო. კარგი, დიდი ცხვირი მაქვს და გამხდარიც ვარ, მერე?

– რატომ არ ჯდება ეთერში, დებატებზე ნარმანია იმ დეპუტატებთან, რომელთანაც ანგარიშვალდებულია?

– სათქმელი არ აქვს და ამიტომ. რამდენჯერმე მეგობრულად შევხვდი. ერთხელ, თვითონ დამიკავშირდა, პირველ და მეორე ტურს შორის პერიოდში. ხმამაღლა ვიტყვი, რასაც ვეუბნებოდი: შენ თუ პრობლემა შეგიქმნეს, ისევ შენს პოლიტიკურ გუნდში და სათქმელს ვერ მოახერხებ, მე მითხარი და ვიყვირებ-მეთქი. მე პოლიტიკური და პარტიული ვალდებულებები არ მაქვს. კულუარული შეხვედრების დეტალებს არ ვყვები ხოლმე, მაგრამ ამას ახლა ვამბობ და ვერაფერსაც მეტყვის იმიტომ, რომ სათქმელი არ აქვს. ჩემზე მეტი მხარდამჭერი არ ჰყავდა, მაგრამ ჩემგან შექმნა რადიკალურად დაპირისპირებული ადამიანი იმიტომ, რომ არაფერს აკეთებს.

– ისე, რა ამის პასუხია, ალეკო და, საკრებულო უფრო კომფორტულია თუ ჟურნალისტობა?

– ჯურნალისტობა იმიტომ, რომ ნაკლები პასუხისმგებლობა გაქვს. შეგიძლია, დაჯდე სტუდიაში, ყველა გააკრიტიკო და მერე, დაიხურო ქუდი და წახვიდე, მაგრამ ახლა პასუხისმგებლობა მაქვს ჩემი ამომრჩევლის წინაშე. ყველაზე მეტად, რაზეც ნერვები მეშლება, ისაა, რომ დროს და შესაძლებლობებს ვკარგავთ. ამ წელში დავხარჯეთ მილიარდიანი ბიუჯეტი, მოვიხედოთ უკან – რა გავაკეთეთ? და რამდენი ფულია რესტორნებსა და ჩინოვნიკების სეირნობებში გაფლანგული? შესაძლებლობები ხელიდან მიდის და ამ დროს ქალაქის პრობლემები ღრმავდება. ამ წელიწადნახევრის განმავლობაში, არც მერიაში და არც საკრებულოში, ჩემი აზრი არ აინტერესებდათ. ერთი-ორი გაითვალისწინეს და ისიც ნახევრად გააკეთეს. ჟანგიანი ბოძები რომ ჩაარჭეს რუსთაველზე, ხომ ნახეთ? – გეტყვით, რაც მოხდა და ამას ვამბობ: ტურიზმის დეპარტამენტმა შემოგვთავაზა მე და „ამქრელებს“, რომ უნდოდა, ისეთი რამ შეექმნა, თბილისში ერთი დღით ჩამოსულ ტურისტს ადვილად შეძლებოდა ქალაქის ნახვა. ამ მარშრუტის გაკეთება გვინდაო. ორი დღე ვიმუშავეთ, ერთი კაპიკი არც მომითხოვია და არც ამიღია, ალალი და უსაყვედურო იყოს ჩემი ქალაქისთვის. გადავწყვიტეთ და, წესით, აქ უნდა ჩამჯდარიყო მანიშნებელი, რომელსაც ტურისტი გაყვებოდა და რა გააკეთეს, ხომ ნახეთ? სულით და გულით მინდა, იდეებიც შევაწიო და აზრებიც, მაგრამ წელიწადნახევარი ჩაკეტილი იყო ეს სივრცე. თვითონ არ იცოდნენ და სხვას არ უსმენდნენ.

– მძიმე მემკვიდრეობა გვერგოო, – თავს ასე იმართლებენ...

– რამდენი ხანი? წელიწადნახევრის შემდეგ, შეიძლება, კიდევ თბილისის მერი მომავალ დროში ლაპარაკობდეს? მაგალითად, ვაპირებ საცობების მოწესრიგების კვლევასო? ხელისუფლებაში რომ მოვიდნენ, ერთი წლის თავზე, გამოაცხადეს თბილისის გენგეგმის კონკურსი, რომელიც წელიწადნახევრის შემდეგ იქნება მზად. რომ მოხვედი, მეორე დღეს რატომ არ გამოაცხადე ეს კონკურსი? ხომ იცოდი, რომ მთავარი სლოგანი იყო – „თბილისს ექნება გენგეგმა“? რა მემკვიდრეობა დახვდა ისეთი, რომ ამდენი ხანი ვერ გამოასწორა? კოსმიური პრობლემები ხომ არ ჰქონდა? არ გააკეთა დროულად – ხელი ხომ უნდა მოეთბოთ ვიღაცებს?! იქ იმას უნდა „ჩაეწყო“ კორპუსი, აქ – ამას და ყველა მახინჯი კორპუსის

ᲒᲐᲒᲠᲫᲔᲚᲔᲑᲐ ᲛᲔ- 9 ᲒᲕ.

„შენ — უკვდავების ჩამონადენო, მშვენიერებაც ხომ შენით ითქვა;
დიდება შენდა, ჩემო ნათელო — ქართულო სიტყვავ, ქართულო სიტყვავ!“

ᲞᲝᲖᲘᲪᲘᲐ

ᲛᲔ-8 ᲒᲕᲔᲠᲓᲘᲓᲐᲜ

წინააღმდეგ მჭირდება კბილებით ბრძოლა.

— „ქამრების შემოჭერის“ პრობლემა მხოლოდ მერიაში არაა. ხელისუფლების ერთი შტოც არ ამბობს უარს პრემია-დანამატზე და ეს მაშინ, როცა, მაგალითად, მინდია ჯანელიძემ არ იცის, რამდენი აქვს ხელფასი, მიშა გიორგაძე კი სახელმწიფო აუდიტის გამოქვეყნებულ მონაცემებს ტყუილს ეძახის და სასამართლოში ჩივილს აპირებს...

— ჯანელიძე ადრე მინისტრი იყო და ახლაც ძალიან სერიოზულ თანამდებობაზეა. მისი მართული კრიზისი კი მაშინ ვნახეთ, როცა გვითხრა, არაფრის შეგეშინდეთო და მეორე დღეს ადამიანი ვეფხვმა დაგლიჯა. ახლა გამოდის და აღარ ვიცი, ვიცინო თუ ვიტირო. რას ჰქვია, არ იცის, ხელფასი რამდენი აქვს?! ღმერთმა დაგვიფაროს რამე საფრთხისგან, თორემ ორი ბოთე — ჯანელიძე და ჭიკაიძე ერთმანეთს აკიდებული, რომელ კრიზისს მართავენ, ხომ წარმოგიდგენიათ?! ერთი რამ ვიცი დანამდვილებით: ბიძინა ივანიშვილმა ქვეყნის წინაშე ჩაიდინა უპასუხისმგებლობა, როდესაც დაიხურა ქუდი და წავიდა. არადა, მეც და ძალიან ბევრმა ადამიანმაც ქვეყნის ბედი ბიძინა ივანიშვილს ვანდეთ. მის გარეშე სააკაშვილი კიდევ ხუთასი წელი იქნებოდა ოპოზიციის ხელში. მას ვანდე ეს ქვეყანა, მაგრამ ეს ლონდრეები დაგვიტოვა!

ხომ შეიძლებოდა, სხვანაირად დანახვა, ბიოგრაფიების წაკითხვა ხომ მაინც შეიძლებოდა? პარლამენტში რომ შერეკეს ხალხი და დანარჩენ თანამდებობებზე, ეს რა არის? კაცს რომ ოცი წელი აქვს ნამუშევარი ძველ საგადასახადოში, იმას რატომ ნიშნავ საფინანსო-საბიუჯეტო კომიტეტის თავმჯდომარედ? ზოგი თანაკურსელია, ზოგი — მამიდაშვილ-დეიდაშვილი და კიდევ გაოგნებულები არიან, რატომ ეცემა „ოცნების“ რეიტინგიო.

მეოთხე წელი დაიწყო და შეიძლება, ხელისუფლება კიდევ „ნაციონალებითა“ და წამების ფაქტებით იყოს დაკავებული? მანამდეც ვიცოდით, თუ რას აკეთებდნენ ისენი. არ შეიძლება, ოპოზიციურ პარტიასთან დღე და ღამე ქიშპში იყო. ქვეყანას განვითარება სჭირდება. სჭირდება, რომ პატარა ბიუროკრატია ჰყავდეს და ეფექტურად მუშაობდეს. ლიმონივით უნდა იყვნენ დაწურულები და იმ შემთხვევაში თუ აიღებდნენ პრემიებსა და დანამატებს, კაცი არ იტყოდა არაფერს. მათ გაზულუქებას რომ ხედავ, გააკრიტიკებ, აბა, რას იზამ?!

რა უნდა ველაპარაკო? — 5 თვის განმავლობაში საპროტესტო აქცია მიმდინარეობდა პეკინზე, საიდანაც 150 მეტრშია თბილისის მერია. ერთხელ არ გადავიდა და ამ ხალხს არ შეხვდა. ახლა ამბობენ, რა მაგარი საქმე გააკეთა მერიამო, არადა, მერიამ შექმნა პრობლემა — შინაგან საქმეთა მინისტრის მოადგილის ინტერესი იყო, დაენგრიათ საბავშვო ბაღი და აეშენებინათ კორპუსი...

— ჩინოვნიკები ხალხს, რომელმაც ხელისუფლებაში მოიყვანა, რატომ გაურბიან?

— ხალხთან რომ მივიდნენ, რაღაც ხომ უნდა უთხრან? ამ შემთხვევაში, ხომ უნდა ეთქვათ, რომ საბავშვო ბაღს არ დაანგრევინებდნენ? ამის თავი რომ არა აქვთ, ამიტომ, სირაქლემასავით აქვთ თავი მიწაში ჩარგული.

— და ყველაფერი ამის შემდეგ, რა შანსი აქვს არჩევნებზე „ოცნებას“?

— სიმართლე გითხრათ, არ ვიცი. ამ ქვეყანას სულ არჩევანის სერიოზული პრობლემა აქვს. ვინ ავირჩიოთ — ერთი მეორეზე უარესია?! დაახლოებით ასეთი სიტუაციაა დღესაც: აქეთ გაიხედავ და დროში ჩარჩენილი „ნაციონალები“ არიან, რომლებსაც ისევ 2003 წელი ჰგონიათ და დარწმუნებული არიან, რომ ისევ რევოლუციით გადაატრიალებენ ქვეყანას. ყველგან სისხლი ელანდებათ. ესენი გონებადაბნელებული ადამიანები არიან, რომლებსაც ერთადერთი რამ ამოძრავებთ: ნებისმიერ ფასად, როგორმე ხელისუფლებაში დაბრუნდნენ და მხოლოდ იმიტომ, რომ სისხლის კალო მოაწყონ და ყველას დედა უტირონ. მეორე მხარესაა „ქართული ოცნება“, რომელსაც ნებისმიერ ფასად უნდა ხელისუფლებაში დარჩენა და ყველაფერზე მიდის და ეს იმიტომ, რომ კომფორტი შეინარჩუნოს. ვერ ვხედავ პოლიტიკოსს, ან პარტიას, რომელიც ქვეყნის განვითარებაზე ზრუნავს. ამიტომაც ვარ ცოტა უხასიათოდ.

ესაუბრა ნათია ვერძეული

ᲐᲮᲐᲚᲘ ᲡᲐᲮᲔ

„მითხრეს, რომ ძალიან ფრთხილად ვიყო...“

რატომ აპირებს დავით უსუფაშვილთან დარეკვას და ვის ეძახის საქმოსნებს ირაკლი ღლონტი

თავიდან შეხვედრა სხვა დროისათვის დავგეგმეთ, მერე, შემეხმიანა და მითხრა, რომ „ქართული ოცნება“ საარჩევნო კოდექსთან დაკავშირებულ შეხვედრაზე ეპატიჟებოდა და ინტერვიუს ჩაწერის დრო შევცვალეთ. მიუხედავად იმისა, რომ სააფთიაქო ნარკომანიასა და მის მიერ გამოქვეყნებულ სკანდალურ ჩანაწერებზე უნდა გვესაუბრა, საარჩევნო თემა გვერდზე ვერ გადავდეთ და საუბარი ამით დავიწყეთ. რაც შეეხება შეხვედრას, რომელიც წეღან ვახსენე, როგორც დამთავრდა, ყველამ ვნახეთ — უშედეგოდ. „ქართული სიტყვა“ პარტია „რეფორმატორების“ ლიდერ ირაკლი ღლონტს ესაუბრა:

— დღეს „ქართულ ოცნებას“ ინტერპარტიულ რეჟიმში უნდა შეხვედრა, მაგრამ წინასწარ ვერაფერს ვიტყვი, თუმცა არ მგონია, რომ მაინცდამაინც ჩვენი ინიციატივების გასაზიარებლად გვხვდებოდეს. თუ „ქართულ ოცნებას“ თავის გამართლება და საერთაშორისო ორგანიზაციებისათვის იმის ჩვენება უნდა, რომ ამ თემაზე სასაუბროდ ოპოზიციასაც ხვდება, მე პირადად, ლექციაზე სტუდენტივით ჯდომას არ ვაპირებ. არ მინდა, ვნახო, თუ როგორ დასხდებიან სხვადასხვა ორგანიზაციებისთვის „გასაპრავებლად“ და როგორ ჩაატარებენ ამ ლექციას. თუ ასე იქნება და საზოგადოების მოთხოვნას არ გაიზიარებენ, ამ შეხვედრას დავტოვებ.

— „ოცნებამ“ უკან დაიხია, ანუ როგორ ფიქრობთ, დაპირისპირება, რომელიც გუნდის შიგნითაა მოგვარდა? — რამდენადაც ცნობილია, მაჟორიტარული სისტემის გაუქმებას თვით „ოცნების“ მაჟორიტარები ეწინააღმდეგებიან...

— მეც ამის თქმა მინდოდა. რამდენიმე პოლიტიკური ლიდერისაგან ისიც გავიგე, რას გვიშვრებით, თუ ჩვენ ამას გავაკეთებთ, გუნდი დაგვეშლებაო. მაჟორიტარებს ფული აქვთ გადახდილი და ეს პოლიტიკური ბიზნესშეთანხმებაა, არ დაუშვებენ, რომ ჩაიშალოს. ამიტომაც „ქართული ოცნება“ მზადაა, ყველას დაუპირისპირდეს — საზოგადოებას, მედიას, პოლიტიკურ პარტიებს და საერთაშორისო ორგანიზაციებსაც, რათა კოალიცია არ დაეშალოს. ვერ მოვასწრებთო, რომ ამბობენ, აბსურდია, რადგან ცვლილების განსახორციელებლად დრო კიდევ არის.

— ეს არის შეხვედრა შეხვედრისთვის თუ იმისთვის, რომ უარი გათქმევინონ იმ ხელმოწერებზე, რომელიც ოპოზიციურმა პარტიებმა შეაგროვეთ და პარლამენტში შეიტანეთ?

— უარს ვერ ვიტყვით, რადგან ამ ცვლილებების განხორციელებისთვის ყველა კანონიერი ძალა მოსინჯული გვაქვს და თუ დღესაც აღმოჩნდება, რომ ამას მხოლოდ შეხვედრისთვის აწყობენ და ფიქრობენ, რომ ამ პოლიტიკურ ველზე ყველაზე ჭკვიანები არიან, ძალიან შეცდებიან. მნიშვნელოვანი კიდევ ისაა, რომ ერთ-ერთი „ლექტორი“ ზვიად ძიძიგური იქნება, რომელიც თავის დროზე ამ მოთხოვნით კიბეზე შიმშილობდა.

— როგორ გადანაწილდება ძალები წინასაარჩევნოდ? — ამბობენ, რომ ოპოზიცია ერთ დიდ კოალიციას შექმნის...

— დიდი კოალიციის შექმნის პროცესებს ჯერ ვერ ვხედავ. რეალურად, დღეს ქვეყანა, თავის პოლიტიკური პარტიებიანად, პოლარიზებულია. „ნაცმოძრაობამ“ ცადა სხვა პროცესების წამოწყება, მაგრამ ეს პროექტი ვერ შედგა და ვერც შედგება, რადგან ამ პარტიას აშკარად კლებადი რეიტინგი აქვს. ამიტომ, აბსურდია, კოალიციის ლიდერად რომ მოგვევლინოს. საერთოდ, საეჭვოა, როგორ შეძლებს არჩევნებში მონაწილეობის მიღებას.

— მიუხედავად ამისა, ხელისუფლება ყოველთვის ანგარიშს უწევს ამ პარტიას და დანარჩენ ოპოზიციას, პრაქტიკულად, უგულებელყოფს...

— პოლიტიკურ ლიდერებთან, მათ შორის „ოცნების“ ლიდერებთან კომუნიკაცია მაქვს და მათ ყოველთვის ვეუბნები, მიუხედავად იმისა, რომ მუდმივად ამბობენ, „ნაცმოძრაობა“ ბოროტების მანქანაა და პოლიტიკური არენა უნდა დატოვოსო, ამას რეალურად არ აკეთებენ. ბევრჯერ მქონია სურვილი, რომ დავმჯდარიყავი თუნდაც „ოცნების“ საშუალო ლიდერთან ერთად სადებატოდ, მაგრამ ყოველთვის უარია. მათ ისეთ ვინმესთან უნდათ დაჯდომა, ვისაც რამეს წამოაძახებენ. ამიტომ რაც პოლიტიკაში მოვედით, ვამბობთ, რომ საქართველო გადაქცეულია „ნაცმოძრაობისა“ და „ოცნების“ დაპირისპირების პოლიგონად, უფრო სწორი იქნება, თუ ვიტყვი, საჯიჯგნად. ამიტომ აუცილებელია პოლიტიკაში ნელ-ნელა ახალი სახეების შემოსვლა და ამ ოდიოზური ფიგურების ჩანაცვლება.

— რაც შეეხება სააფთიაქო ნარკომანიაზე თქვენს მიერ გამოქვეყნებულ ჩანაწერებს, ამ დროისათვის რისი დადგენა შეძელით?

— პოლიტიკოსობამდეც მქონდა ინფორმაცია, რომ ეს ძალიან მწვავე პრობლემაა. არ დარჩა თბილისში ერთი უბანიც კი, ეს პრობლემა რომ არ აწუხებდეს. სხვათა შორის, მაქვს ინფორმაციები, რომ ორსული გოგონებიც კი არიან აბების მომხმარებლები, რაც გენოფონდზე პირდაპირი დარტყმაა. ამ თემას ბევრი არასამთავრობო ორგანიზაცია შეეხო. ისაუბრეს ექსპერტებმაც, მაგრამ საინტერესოა, რატომ გადავწყვიტეთ ჩვენ, პოლიტიკოსებმა ამის წამოწევა? — ეკონომიკის გარდა, ყველაზე მნიშვნელოვანი პრობლემა მოსახლეობის ჯანმრთელობა და უსაფრთხოებაა და რადგანაც ეს პრობლემა ხელისუფლებას იგნორირებული აქვს, ამიტომ ავიღეთ ჩვენს თავზე ამაზე საუბრის დაწყება. ძალიან ბევრი ინფორმაცია მაქვს, მაგრამ თქმისგან თავს შევიკავებ.

— მაინც, რა ინფორმაცია გაქვთ?

— კარგი, თქვენთან ვიტყვი: გვაქვს ინფორმაცია, რომ დილის 6-7 საათზე ტაქსის მძღოლები აჩერებენ ასეთ აფთიაქებთან მანქანას, იღებენ აბებს და მერე, მთელი დღის განმავლობაში, გადაადგილდებიან ქალაქში. ამიტომაა ქალაქში ამდენი ავტოსაგზაო შემთხვევა და გვაქვს მაგალითები, როცა პატრული ვერ ადგენს, რასთან აქვს საქმე: ალკოტესტი აჩვენებს, რომ მძღოლი ნასვამი არ არის. საქმე გვაქვს ჩვეულებრივ ნარკოთრობასთან. უარესსაც გეტყვით: სკოლის მოსწავლეებიც კი აგროვებენ სადილისთვის შინიდან წაღებულ ფულს და აბებს ყიდულობენ. ჩემთვის ეს ნარკოტიკებით ვაჭრობაა აფთიაქების მხრიდან.

— საქმის კურსში შესაბამისი უწყებები ჩააყენეთ?

— დავუკავშირდით ჯანდაცვის სამინისტროს და შევატყობინეთ, რომ გვაქვს რეალური მტკიცებულებები სააფთიაქო ნარკომანიასთან დაკავშირებით. გვითხრეს, რომ უნდა მივმართოთ განცხადებით. ვიდრე ეს ბიუროკრატია მორჩება, ბევრი დაზარალდება, რადგან ვატყობინებ ფაქტს, რომელიც გრძელდება და დიდი ზიანი მოაქვს. გამოდის, რომ ჯანდაცვის სამინისტროს პრიორიტეტი არაა ადამიანი და მისი უსაფრთხოება, თუმცა არიან საშუალო დონის მენეჯერები, რომლებსაც გულთან ახლოს მიაქვთ ეს პრობლემები და მზადყოფნასაც გამოთქვამენ, დაგვეხმაროონ.

მიუხედავად იმისა, რომ ამდენი ჩანაწერი გავრცელდა და ამდენი ფაქტის შესახებ ვიცით, დღემდე ეს პრობლემა მოუგვარებელია. ამიტომ „რეფორმატორებმა“ გადავწყვიტეთ, ხელისუფლებას მისი გადაჭრის გზები შევთავაზოთ და თუ საჭირო გახდება, კედელთანაც მივაყენოთ. მალე პარლამენტს მივმართავთ მორიგი საკანონმდებლო წინადადებით. შეგვეძლო, როგორც ოპოზიციას, ოპოზიციისათვის — „თავისუფალი დემოკრატებისთვის“, ან „ნაციონალებისთვის“ მიგვემართა, მაგრამ ჩვენთვის ეს თემა იმდენად მნიშვნელოვანია და დივიდენდებზე, ამ შემთხვევაში, ნაკლებად ვართ ორიენტირებულნი, რომ პირდაპირ ხელისუფლებას მივმართავთ. უსუფაშვილს დავურეკავ და ვთხოვ, რაც შეიძლება, მალე მოხდეს მისი განხილვა.

— პრესკონფერენციაზე აჩვენეთ ფირი, თუ როგორ იყიდა თქვენმა თანაგუნდელმა, ყოველგვარი დაბრკოლების გარეშე, აბები, რომელიც ნარკოტიკულ ნივთიერებებს შეიცავს...

— შევატყობინეთ შს სამინისტროს და გადავეცით ეს მედიკამენტები.

— რა სანქციები არსებობს ასეთი შემთხვევების დროს, რას ითვალისწინებს კანონი?

— ადამიანი, ვინც აბები იყიდა, მომხმარებელია და მასზე აღიძვრება საქმე, აფთიაქს კი, 6 ათასი ლარის ჯარიმა დაეკისრება. თუ ადამიანი, რომელმაც ერთი აბი იყიდა, დამნაშავეა, რატომ არ არის აფთიაქი დამნაშავე, სადაც ასობით ასეთი აბი ინახება? ამ აბებს ასხვისებ დახლს ქვემოდან, თან — ჩეკის გარეშე და ამით ფინანსური პოლიციაც უნდა დაინტერესდეს. ეს შეუსაბამო სასჯელია და ზუსტად ამას ვამბობთ, რომ გამოსასწორებელია.

— ხშირად უთქვამთ, რომ ეს მაფიოზური კლანის ინტერესია. ხომ არ გაგირკვევიათ, ვინ „კრიშავს“ სააფთიაქო ნარკომანიას?

— ძალიან ბევრი ვეცადე, გამერკვია, თუ ვინ დგას ამის უკან, მაგრამ ვერაფერი გავარკვიე, იმდენად გასაიდუმლოებულია. გავარკვიე მხოლოდ ის, რომ ნამდვილად დგას დიდი მაფია. ვიდრე ამ განცხადებებს გავაკეთებდი, მქონდა საუბარი საზოგადოებისთვის ცნობად სახეებთან და მითხრეს, რომ თემას უნდა შევეხო, მაგრამ ძალიან ფრთხილად ვიყო. ერთ-ერთმა მათგანმა მიამბო, რომ ააფთიაქს, რომელიც ასეთ მედიკამენტებს ყიდდა, თითი დაუქნია და გააფრთხილა, მეორე დღეს კი, შინ მიადგა ქალბატონი, რომელმაც გააფრთხილა, რომ ამ თემას შეშვებოდა, თორემ პრობლემები შეექმნებოდა. ეს იყო პირდაპირი მუქარა.

— თქვენც ხომ არ დაგემუქრნენ?

— მეტი საქმე არ მაქვს! უარესი საქმეებიც მქონია და მაშინაც არ დამიხევია უკან, არც ახლა დავიხევ. ნარკომაფიის თემას კონსტრუქციულად გავაგრძელებთ, მაგრამ თუ დაგვჭირდა, არც რადიკალიზმს გამოვრიცხავთ. სხვა გზა არ გვაქვს, თუ ხელისუფლება დაგვიჭერს მხარს, ხომ კარგი, თუ არადა, ბარიკადების მეორე მხარეს აღმოჩნდება!

გულწრფელად გეტყვით: როცა პოლიტიკაში შემოვედი, მეგონა, ახალი პოლიტიკური ძალის მოლოდინი იმდენად დიდი იყო, რომ ადვილად გამიგებდნენ. ეს არ იყო საქმოსანი პოლიტიკოსობის სურვილი, ფონდებით რომ შემოდიან. არ ვარ საქმოსანი. მეგონა, რომ ადვილად მიგვიღებდა საზოგადოება, მაგრამ პირიქით მოხდა — მეორე დღესვე დაიწყეს საუბარი, ამ ბიჭს სამი-ოთხი წელი „ნაცმოძრაობასთან“ აქვს ნამუშევარიო. ჩემი გადადგმული ნაბიჯებით დავარწმუნე ყველა, რომ ჩემი საქმიანობა არ უკავშირდება „ნაცმოძრაობას“. პირიქით, დიდი ზეწოლა მქონდა მაშინაც, „ნაცმოძრაობაში“, როცა ჯერ საკრებულოში და მერე ეკონომიკის სამინისტროში ვმუშაობდი. მე ვიყავი მათ შორის, რომლებიც თითის დაქნევით არ ასრულებდნენ პარტიულ დავალებებს. ბიძინა ივანიშვილის გუნდის გამოჩენამდე დავტოვე ეკონომიკის სამინისტრო. ვაღიარებ: ბევრი შეცდომაც დავუშვი იგივე პოლიტიკურ განცხადებებში, მაგრამ ეს გამოუცდელობის ბრალია და მირჩევნია, შეცდომებზე ვისწავლო. ასე რომ, ჩვენი განცხადებები რომ ვიღაცას აღიზიანებდა, ადრე პრობლემას მიქმნიდა, მაგრამ ახლა ხელს არ მიშლის, რადგან ვხედები, რომ არავის უნდა ჩამოსცილდეს ათწლეულების გამთბარ ოთახებს. ესენი იყვნენ არა პოლიტიკოსები და არა ბიზნესმენები, არამედ, საქმოსნები, რომლებიც თავის ინტერესებს ემსახურებოდნენ.

— ირაკლი, 2016 წლის არჩევნებში რა შანსი გაქვთ?

— რეალობას არ მოვწყდები და ისე შევაფასებ: ჩემს გვერდზე ვხედავ მოფიქრალ ადამიანებს, რომლებიც მუშაობენ. ჩვენ ერთმანეთს არ ვპატიობთ დემაგოგიას და პოპულიზმს. შეიძლება, სახის გამომეტყველება, ან ჩაცმის სტილი გვქონდეს პოპულისტური, ყველაფრის რეგულირება ძალიან რთულია, მით უმეტეს, მაშინ, როცა მილიონებს არ ვხარჯავთ ჩვენი პიარისთვის. ჩვენ საზოგადოებას უნდა შევთავაზოთ ნაფიქრი, ჩამოყალიბებული პროდუქტი. დანარჩენი თვითონ გადაწყვიტოს. მაგალითისთვის გეტყვით: დღეს რუსეთუმე და რუსეთის ბინძურ წყალში დაბრუნების მსურველი მოქალაქეების რაოდენობის ზრდა ვითომ პროდასავლური ძალის, „ნაცმოძრაობის“ ბრალია. ძალა, რომელიც საზოგადოებას არწმუნებდა, რომ დასავლეთი კარგია და ამბობდა, მე ვარ ერთადერთი ევროპული ძალაო, ამ დროს კი რასაც აკეთებდა, ყველამ კარგად ვიცით.

მთავარი მესიჯი, რაც მას ჰქონდა: ვინც ჩემიანი არაა, ჩემი მტერია. სინამდვილეში, ეს იყო დასავლური ღირებულებების მტერი პარტია. საქართველოში დასავლური ძალა არაა და ვცდილობ, მე შევქმნა. ის, რომ ლურჯ დროშას ხშირად დააფრიალებ, არაფერს ნიშნავს. ეს დროშები 55 ლარი ღირს ბაზარზე. რა განსხვავებაა ლურჯ და წითელ დროშაში, ესაა საინტერესო.

ესაუბრა ნათია ვერძეული

10 № 46 (310) 25 XI - 1 XII

ეროვნული იდეა

ეროვნული. ლიბერალური. ნელსიჭნეული. ჰოლიტიკა

ყოველკვირეული გაზეთი, გამოდის ოთხშაბათობით

„შენ – უკვდავების ჩამონადენო, მშვენიერებაც ხომ შენით ითქვა;
დიდება შენდა, ჩემო ნათელო – ქართულო სიტყვავ, ქართულო სიტყვავ!“

გიორგი ლეონიძე

აქტუალური თემა

ქართველ პოლიტიკოსთა ნარკოინტერესები

კრიმინალური ბიზნესით ნაშოვნი მილიონები და ავღანური ჰეროინის გზა ფოთიდან ოდესამდე

საქართველოს „მწვანეთა პარტიის“ გენერალური მდივანი გიორგი გაჩეჩილაძე ამბობს, რომ „ნაციონალური” მმართველობის წლებში ჰეროინი საქართველოსთვის რეალურ კატასტროფად იქცა – სამედიცინო დაწესებულებებში აღრიცხულ ე.წ. პრობლემურ ნარკომანთა 78% სწორედ ჰეროინის მომხმარებელია. ნარკომანების რაოდენობის ზრდასთან ერთად, იზრდება მასთან დაკავშირებული უმძიმესი დაავადებებიც – შიდსი და ც ჰეპატიტი, ასევე, ნარკოტიკებით გამოწვეული ფსიქიური და ქცევითი აშლილობები, რომელიც წელიწადში 2500-3000 აღწევს... საგანგაშოა, რომ ნარკოტიკების მოხმარება ხშირია საზოგადოების ყველაზე შრომისუნარიან ნაწილში – 21-დან 40 წლამდე ასაკობრივ ჯგუფში. 2006 წელს, „ნაციონალებმა“ ე.წ. ავღანური ნარკოტიკის ტრანსნაციონალური ტრასა გახსნეს, რომელიც აზერბაიჯანიდან საქართველოში შემოსული სამ ტონამდე თხევადი ჰეროინის დაკავების მერე, პრაქტიკულად, ჩაიკეტა... რა გზებით შედიოდა საქართველოდან ნარკოტიკები ევროკავშირის ქვეყნებში და უკავშირდება თუ არა მიხეილ სააკაშვილის ოდესის გუბერნატორობა ნარკოტიკებით ვაჭრობას? – „ქართული სიტყვა“ „მწვანეთა პარტიის“ გენერალურ მდივანს, დეპუტატ გიორგი გაჩეჩილაძეს ესაუბრა.

– ბატონო გიორგი, „მწვანეთა პარტიამ“, 2009 წელს, ტრანსნაციონალური დანაშაულების შესახებ საინტერესო კონფერენცია ჩაატარა, რასაც „ნაციონალური“ მმართველობის დროს, საქართველოც შეუერთდა. საერთაშორისო ორგანიზაციებისადმი კონფერენციის მიმართვას რა რეზონანსი მოჰყვა?

– რეზონანსი ნამდვილად იყო: 2010 წელს, საქართველოს გაერო-ს ნარკოტიკებთან ბრძოლის დეპარტამენტი ეწვია, რომელმაც ხელისუფლებისგან მოითხოვა, ქვეყანაში სპეციალური ფილიალი შექმნილიყო, რომელიც ამ საკითხს გააკონტროლებდა. ვიზიტს ფარული აუდიტაუი მოჰყვა, რომელიც ხელისუფლების მეცადინეობით არ გახმაურებულა, მაგრამ „სპექტაკლები“ ნარკოტიკების თემაზე მრავლად იყო: საზოგადოებას ახსოვს, როგორ აღმოაჩინეს სამართალდამცავებმა დასავლეთ საქართველოში სამალავი, სადაც ვითომ ნარკოტიკების დიდი პარტია ინახებოდა. საბოლოოდ, იქ არა ნარკოტიკები, არამედ, ფული აღმოჩნდა, რომლის პატრონის ვინაობაც დღემდე ბურუსითაა მოცული.

– ასეთი სპეცოპერაციების მერე, ადგილობრივი წარმოების ნარკოტიკზეც საუბრობდნენ...

– ადგილობრივი წარმოების ნარკოტიკი არ არსებობს. ლაპარაკია ავღანურ ჰეროინზე.

– საქართველოში ნარკოტიკი, ძირითადად, საიდან შემოდიოდა?

– გაერო-ს მონაცემებით, ამიერკავკასიაში, წელიწადში, 11 ტონა ავღანური ჰეროინი ორი ძირითადი მარშრუტით შემოდიოდა: პირველი – ავღანეთი-ირანი-აზერბაიჯანი (9 ტონა) და მეორე – ავღანეთი-შუა აზია-კასპიის ზღვა-აზერბაიჯანი (2 ტონა). აქედან, 7 ტონა საქართველოს საზღვაო პორტებიდან, ძირითადად, ფოთის პორტიდან ევროპაში გადიოდა. რეგიონში კი, 4 ტონა ჰეროინი რჩებოდა. ვინაიდან რეგიონის ქვეყნებში ყველაზე მეტი მომხმარებელი საქართველოზე მოდიოდა – 1000 მოსახლეზე 17 მომხმარებელი, ნარკოტიკების დიდი რაოდენობაც ადგილზე რჩებოდა. შედეგად, საქართველო ჰეროინის მოხმარებით მსოფლიოში პირველ ადგილზე იყო და უსწრებდა რუსეთს, ესტონეთს, დიდ ბრიტანეთს, იტალიას, უკრაინას, საფრანგეთს, გერმანიას, თურქეთს და ა.შ.

– რა გზებით შედიოდა ჰეროინი ევროკავშირში და ვინ იყვნენ მიმწოდებლები?

– ევროკავშირში ნარკოტიკებით სიკვდილიანობისა და დაავადებულთა უდიდესი წილი (55%) სწორედ ჰეროინზე მოდის. გაერო-ს ნარკოტიკებისა და კრიმინალის ოფისის მონაცემებით, ევროკავშირში ჰეროინი თურქეთიდან, საქართველოდან, პაკისტანიდან, რუსეთიდან, აფრიკიდან, ინდოეთიდან, ასევე, სხვა ქვეყნებიდან შედიოდა.

საქართველოდან ევროპაში ჰეროინი, როგორც აღვნიშნე, შავი ზღვის პორტების, ძირითადად, ფოთის პორტის საშუალებით, ორი გზით ხვდებოდა: საქართველო-ბულგარეთი და საქართველო-უკრაინა. ნიშანდობლივია, რომ ფოთის პორტს პირდაპირი საბორნე მიმოსვლა აქვს ილიჩევსკის (უკრაინა) და ვარნის (ბულგარეთი) პორტებთან.

– ნარკოტიკების შედინების გაკონტროლებაზე რომელი საერთაშორისო სტრუქტურები მუშაობენ?

– ნარკოტიკების შედინებაზე ქვეყნების შიგნით არსებული სამართალდამცავი ორგანოები მუშაობენ, ევროკავშირის ქვეყნებში კი, ინტერპოლი მოქმედებს, რომელიც კარტელების წინააღმდეგ იბრძვის. საქართველოდან გასული ნარკოტიკები ბულგარეთსა და რუმინეთში რამდენიმეჯერ დააკავეს, ამ გამოძიებას და დაკავების ოპერაციას სწორედ ინტერპოლი აწარმოებდა. გაერო ყოველწლიურად ანგარიშს აქვეყნებს, სადაც დეტალურადაა აღწერილი ნარკოდანაშაულის საერთაშორისო მაფიის „საქმიანობა“.

– გაერო-ს ყოველწლიურ ანგარიშებში ჩვენც ვართ, როგორც ერთ-ერთი ქვეყანა, სადაც ნარკოტრასა გადის?

– ვიყავით. „ნაციონალების“ ხელისუფლების დროს, ჩვენი ქვეყნის ტერიტორიის გავლით, ნარკოტიკები ტრაილერებით გადიოდა. ახალმა ხელისუფლებამ მკაფიოდ განაცხადა, რომ ამ ტრანზიტს არ დაუშვებს და ეს მაშინ გადაწყდა, როცა აზერბაიჯანიდან შემოსული 116 კილოგრამი სუფთა ჰეროინი დააკავეს, ამით ჩაიკეტა საქართველოს გავლითი ტრანზიტული ხაზი, რითიც ნარკოტიკები ევროპის ქვეყნებში გადიოდა. სატრანზიტო ხაზი ტრანსნაციონალურ მაფიასთან კავშირში იყო, ავღანეთიდან წამოსული უზარმაზარი ტვირთი, ვიდრე ევროკავშირის ქვეყნებში მოხვდებოდა, რამდენიმე ქვეყანას გაივლიდა...

– როგორ ამტკიცებთ, რომ ტრასა ჩაიკეტა?

– ეს გაერო-სა და აშშ დეპარტამენტის მოხსენებებში ჩანს, რომელიც 2014 წელს გამოქვეყნდა, სადაც საქართველო აღარაა ნარკოტრასების ქვეყნების სიაში. მეტსაც გეტყვით, აშშ-ს ადმინისტრაციის ბოლო მოხსენებებში ნათქვამია, რომ საქართველოს ხელისუფლებამ ეფექტურად დაძლია ეს პრობლემა და ყველა საბაჟო-გამტარ პუნქტზე სათანადო აპარატურით აღჭურვილი მომსახურე პერსონალი დგას. ყველაფერ ამით ნარკოტიკების შემოდინებისა და გავლის პროცესი მინიმუმამდე დავიდა, თუმცა ცალკეული პიროვნებების მიერ ნარკოტიკების შემოტანის შემთხვევები მაინც ფიქსირდება.

– ისე, ნარკოდანაშაულის გამომზეურება წინა ხელისუფლების დროსაც ხდებოდა...

– „ნაციონალური“ მმართველობისას, ნარკოტიკების წინააღმდეგ ბრძოლა ფორმალურ ხასიათს ატარებდა – ცხრა წლის განმავლობაში, 1-2 კილოგრამი ჰეროინის ამოღება თუ მოხერხდა. მათ აკავებდნენ, ვინც „ნაციონალების“ მოთხოვნებს არ ემორჩილებოდნენ.

– გამოდის, რომ ნარკოტიკული დანაშაული და მასთან ბრძოლა ფიქცია იყო?

– საქართველოში ნარკოტიკებთან ბრძოლის ექსკლუზიური უფლება შინაგან საქმეთა სამინისტროს, კერძოდ, მის ორ დეპარტამენტს – სპეციალური ოპერატიული დეპარტამენტის (სოდ) ნარკოტიკების უკანონო ბრუნვის წინააღმდეგ ბრძოლის სამმართველოს და სასაზღვრო პოლიციის სანაპირო და სახმელეთო საზღვრის დაცვის დეპარტამენტს აქვს მინიჭებული. მიუხედავად იმისა, რომ გაერო-ს 1961 წლის „ერთიანი კონვენცია ნარკოტიკულ საშუალებათა შესახებ“, რომელსაც საქართველო 2000 წელს შეუერთდა, მოითხოვს, რომ ნარკოტიკის მომხმარებელი თავისუფლების აღკვეთით არ უნდა ისჯებოდეს, საქართველოში ძირითადად ისჯებოდნენ სწორედ ნარკოტიკების მომხმარებლები.

– ავღანური ჰეროინიდან ნარკოკარტელის ქართველ წარმომადგენლებს რა შემოსავალი ჰქონდათ?

– ქართული „ნარკოკარტელის“ შემოსავალის შეფასება რთული, მაგრამ შესაძლებელია. გაერო-ს მონაცემებით, საქართველოში 1 გრამი სუფთა ჰეროინის ე.წ. ქუჩის საშუალო ფასი 350 აშშ დოლარია, ანუ რეალიზებული 2,4 ტონის ღირებულება 840 მილიონ დოლარს შეადგენს. თუ გავითვალისწინებთ, რომ ევროპაში ჰეროინის რეალიზაცა 240%-იან მოგებას იძლევა, მაშინ საქართველოს ნარკოკარტელის წლიური მოგება 0, 5 მილიარდი აშშ დოლარი მაინც იყო. ისიც ნიშანდობლივია, რომ ჰეროინის „ქუჩის ფასით“ საქართველო მსოფლიოში პირველ ადგილზეა, რაც პირდაპირ მიანიშნებს ამ კრიმინალური ბიზნესის მონოპოლიურობაზე. ჰეროინის ტრანზიტიდან, რაც შვიდ ტონას შეადგენდა, შემოსავალის ანგარიში შეუძლებელია, თუმცა ეჭვს არ იწვევს, რომ ასეთი რაოდენობის საზღვარზე გადატანა კორუფციული გარიგების გარეშე ვერ მოხდება და სავარაუდოა, რომ ტრანზიტის განხორციელების ფასი ქვეყანაში დატოვებული ჰეროინია. ასე რომ, ქართული ნარკოკარტელის შემოსავალი შეიძლება, არ მარტო ჰეროინის გაყიდვით მიღებული მოგება ყოფილიყო, არამედ, – მისი მთლიანი ღირებულება – წელიწადში 840 მილიონი აშშ დოლარი.

– ასეთი ტიპის ტრანსნაციონალური კარტელები ხელისუფლების მხარდაჭერის გარეშე ვერ იარსებებდა, რაში იყენებდა ამ უზარმაზარ სახსრებს საქართველოს ხელისუფლება? იყო თუ არა „ბინძური ფული“ პოლიტიკური მიზნებისთვის გამოყენებული?

– ნარკომანები მხოლოდ დიდი შემოსავლის წყაროს კი არა, როგორც 2008 წლის არჩევნებმა აჩვენა, ხელისუფლების მნიშვნელოვან პოლიტიკურ დასაყრდენსაც წარმოადგენდნენ. როგორც ადამიანის უფლებათა დამცველი ორგანიზაციები აცხადებდნენ, 2008 წლის საპრეზიდენტო და საპარლამენტო არჩევნებში, მაშინდელი მმართველი პარტიის მიერ მიღებული ხმების მნიშვნელოვანი ნაწილი სწორედ კრიმინალური წარმოშობის იყო. ამ არჩევნებზე „ნაცმოძრაობის“ დამხმარე მეორე კატეგორიას კრიმინალური ელემენტები წარმოადგენდნენ, რომლებისგანაც პოლიცია ამომრჩევლებზე მათი ავტორიტეტისა და გავლენის გამოყენებას მოითხოვდა. სამაგიეროდ, მათ სთავაზობდნენ სხვადასხვა შეღავათს ნარკოტიკების მოხმარებაზე, ან სხვა დანაშაულზე თვალის დახუჭვის, ან მათი მეგობარი ავტორიტეტის ციხიდან განთავისუფლების სახით. მათ „მუშაობას“ აკონტროლებდნენ სოდ-ის, ანუ შს სამინისტროს სპეციალური ოპერატიული დეპარტამენტის თანამშრომლები. განსაკუთრებით, ნარკომანების „საქმიანობას“ აკონტროლებდნენ, რომლებსაც ამ სამსახურის სანაცვლოდ, ნარკოტიკებსაც ურიგებდნენ.

2008 წლის მაისის საპარლამენტო არჩე-

გაგრძელება მე- 11 გვ.



ᲙᲘᲠᲘᲚᲚᲘᲪᲐ

ᲧᲝᲕᲔᲚᲙᲕᲘᲠᲔᲣᲚᲘ ᲒᲐᲖᲔᲗᲘ, ᲒᲐᲛᲝᲓᲘᲡ ᲝᲗᲮᲨᲐᲑᲐᲗᲝᲑᲘᲗ

25 XI - 1 XII | № 46 (310) | 11

ᲛᲬᲕᲐᲜᲔᲗᲐ ᲞᲐᲠᲢᲘᲐ. ᲖᲔᲚᲘᲬᲜᲔᲣᲚᲘ. ᲰᲝᲚᲘᲢᲘᲙᲐ

„შენ – უკვდავების ჩამონადენო, მშვენიერებაც ხომ შენით ითქვა;
დიდება შენდა, ჩემო ნათელო – ქართულო სიტყვავ, ქართულო სიტყვავ!“

ᲐᲥᲢᲣᲐᲚᲣᲠᲘ ᲗᲔᲛᲐ

ᲛᲔ-10 ᲒᲕᲔᲠᲓᲘᲓᲐᲜ

ვნებამდე, ციხეებიდან ასობით პატიმარი გამოუშვეს. საპროცესო შეთანხმებისა და შეწყალების საფუძველზე კრიმინალები პატიმრობიდან სწორედ იმ პირობით გაათავისუფლეს, რომ მმართველი პარტიის საარჩევნო კამპანიაში აქტიური და გადამწყვეტი მონაწილეობა მიეღოთ. გათავისუფლებულთა შორის აღმოჩნდნენ მძიმე დანაშაულებისთვის, დიდი ოდენობით ნარკოტიკული ნივთიერების შეძენა, შენახვა, რეალიზაციისათვის, გამოძალვისათვის, ყაჩაღობისათვის, მკვლელობის მცდელობისთვის ნასამართლევი პირები და კრიმინალური სამყაროს ავტორიტეტებიც.

2008 წლის 5 იანვრის რიგგარეშე საპრეზიდენტო არჩევნების დანიშვნის საფუძველი 2007 წლის 7 ნოემბრის მრავალათასიანი მიტინგის ბარბაროსული დარბევა გახდა. სააკაშვილის ხელახალი გაპრეზიდენტების მერე, უმუალოდ პრეზიდენტის განკარგულებებით, ერთი თვის განმავლობაში, 2007 წლის 20 ნოემბრიდან, ციხეებიდან 984 პატიმარი გამოუშვეს. იმ დროს, როცა ამავე წლის ნოემბრამდე შეწყალებული სულ 28 პატიმარი იყო, მთელი 2006 წლის განმავლობაში კი, – მხოლოდ 116.

„წინასაარჩევნო შეწყალების“ პროცესი კვლავ გააქტიურდა 2008 წლის მაისის საპარლამენტო არჩევნების წინ და 4 თვის განმავლობაში, ციხეებიდან 575 პატიმარი გამოუშვეს.

საპრეზიდენტო არჩევნებში მიხეილ საკაშვილმა 1 060 042 ხმა (53,5%) მიიღო, ხუთი თვის შემდეგ, საპარლამენტო არჩევნებში კი, მისივე „ნაციონალურმა მოძრაობამ“ ზუსტად იმდენივე – 1 050 267 ხმა (59,2%). თუ გავითვალისწინებთ, რომ შეწყალების პირობად არჩევნებისთვის პატიმრის ოჯახს 400-500 გარანტირებული ხმის ორგანიზება უნდა მოეხდინა, ადვილი საანგარიშოა, რომ 1000 შეწყალებულის შემთხვევაში, არჩევნებზე ხელისუფლებას, მინიმუმ 400 000-500 000 ხმა (25-30%) გარანტირებული ჰქონდა.

ამას ადასტურებს ის ფაქტიც, რომ დღემდე გასაიდუმლოებულია პრეზიდენტის შეწყალების ყველა განკარგულება. ამონარიდები საქართველოს სახალხო დამცველის 2008 წლის მოხსენებიდან: „მიუხედავად სახალხო დამცველის აპარატის არაერთი მოთხოვნისა, საქართველოს პრეზიდენტის ადმინისტრაციის მიერ არ იქნა ჩვენთვის მოწოდებული შეწყალების საკითხებთან დაკავშირებული მასალა“. „შეწყალების სფეროში შეიქმნა სრული განუკითხაობა და ქაოსი. არსებული შეწყალების კომისია გადაიქცა სრულ ფიქციად... ხშირია შემთხვევები, როცა შეწყალებაზე უარი ეთქმევათ მსუბუქ დანაშაულში მსჯავრდებულთ და გარეთ გამოდიან მძიმე დანაშაულში (ნარკოტიკების გასაღება, წამება და განზრახ მკვლელობა, გაუპატიურება) მსჯავრდებულები. სწორედ ასეთი განუკითხაობისა და ქაოსის გამო, ამ სფეროში ფეხი მოიკიდა როგორც ჩვეულებრივმა, ასევე, პოლიტიკურმა კორუფციამ“ და ა.შ.

– ბატონო გიორგი, ამბობთ, რომ საერთაშორისო ნარკოტრასა ჩაიკეტა, მაგრამ საქმე ასე მარტივი ხომ არაა? – ვინც ტრასებს აკონტროლებს, ანუ ტრანსნაციონალური დანაშაულების ორგანიზატორები ყოვლისშემძლენი არიან...

– სწორედ მაგაშია საქმე, მაგრამ ეს ყოფილმა პრემიერმა ბიძინა ივანიშვილმა და შს მაშინდელმა მინისტრმა, ირაკლი ღარიბაშვილმა შეძლეს – დაუპირისპირდნენ ყოვლისშემძლე მაფიას. 2009 წელს, როცა „მწვანეთა მოძრაობა“ პრესკონფერენციას ამზადებდა, „ნაცმოძრაობამ“ ყველაფერი გააკეთა, რომ ჩვენი კონფერენციის შესახებ ინფორმაცია მედიაში არ გასულიყო. საფრთხეებს ვგრძნობდით, ამიტომ კონფერენციის მასალები წინასწარ, ინგლისურად ვთარგმნეთ, საელჩოებს, ევროპელ მეგობრებს გავუგზავნეთ, თან მივაწერეთ, რომ თუ რამე მოგვივიდოდა, ეს ხელისუფლების მხრიდან იქნებოდა.

– საშიშროებას ვისგან ელოდით – საქართველოს ხელისუფლებისგან თუ საერთაშორისო მაფიისგან?

– რა თქმა უნდა, საქართველოს ხელისუფლებისგან, როგორც კარტელის წარმომადგენლისგან. დიდი რისკის ფასად ჩავატარეთ კონფერენცია, მიზნად გვქონდა, გადაგვერჩინა ათასობით ოჯახი იმ უბედურებისგან, რაც ნარკოტიკებს მოსდევს. ეს ოჯახების ეკონომიური, ფსიქოლოგიური განადგურებაა, რადგან ნარკომანი დაავადებული ადამიანია, რომელიც არა მარტო საკუთარ თავს, არამედ, ოჯახსაც ანადგურებს.

საქართველოში, ოფიციალური მონაცემებით, 250 ათასი ნარკომანიდან 80 ათასი ინტრავენურია, მათ ვეღარაფერს ვუშველით, მაგრამ მომავალ თაობას ხომ უნდა მივხედოთ?! ქვეყნის გარეთ 7 ტონა ნარკოტიკი გადიოდა, აქედან ორი ტონის დაფასოება საქართველოში ხდებოდა, 1 გრამისგან 4-5 კაცის დოზა კეთდებოდა, წარმოიდგინეთ, მომსახურეთა რამხელა ქსელი იყო?!

– ხომ ვერ მეტყვით, რომელი სახელმწიფო მოხელეები მოიაზრებოდნენ საერთაშორისო ნარკოკარტელის წევრებად,?

– ძნელი სათქმელია, ეს გამოძიებამ უნდა თქვას. ჩვენ ვამბობთ, რომ საქართველოდან ევროკავშირის მიმართულებით 7 ტონა ჰეროინი გადიოდა, აქედან, ერთი ტონა ფოთი-ილიჩევსკის საბორნე ხაზით უკრაინაში, ოდესის ოლქით შედიოდა. შესაძლოა, უცნაური დამთხვევაა, მაგრამ დღეს ოდესის ოლქს საქართველოს ექსპრეზიდენტი მიხეილ სააკაშვილი მართავს.

– ფოთის პორტის გარშემო სკანდალები უხვად იყო – ხელიდან ხელში გადადიოდა, მოდიოდნენ და მიდიოდნენ ინვესტორები, აქციების მფლობელები. რომელიმე სკანდალი, თქვენი აზრით, ნარკოტიკებთან ხომ არ იყო დაკავშირებული?

– არ მაქვს კონკრეტული ინფორმაცია, თუმცა არაა გამორიცხული, რომ ამ თემაზე კლანებს შორის დაპირისპირებები არსებობდა. ვერც გვარებს დავასახელებ, მაგრამ ფაქტია, რომ ძალოვანი სტრუქტურებიდან უსაფრთხოების სამსახურები იქნებოდნენ ჩართულები. საქართველოს პარლამენტის წინაშე გამოძიების აუცილებლობის შესახებ არა ერთხელ დავსვი საკითხი, მაგრამ ჩემს გამოსვლებს რატომღაც არ აშუქებენ – აშკარაა, ტელევიზიების უმეტეს ნაწილს აკრძალული აქვს. ნარკოტიკების გადაზიდვა საერთაშორისო თემაა, რომელშიც რუმინეთის, ბულგარეთის, უკრაინის, აზერბაიჯანის, ირანისა და ევროკავშირის ქვეყნების სამართალდამცველები უნდა ჩაერთონ.

მინდა, ვკითხო საერთაშორისო ორგანოებს და ამ ქვეყნების სამართალდამცავებს:

შესაძლებელია თუ არა ხელისუფლების უშუალო მონაწილეობის გარეშე ასეთი რაოდენობის ნარკოტიკების უკონტროლო ბრუნვა პატარა ქვეყნის ტერიტორიაზე და განსაკუთრებით, ისეთი მძიმე ნარკოტიკის, როგორიც ჰეროინია?

შესაძლებელია თუ არა, არსებობდეს ნარკომანების ასეთი რაოდენობა ქვეყანაში, კარგად ორგანიზებული ნარკოტიკების გასაღების ქსელისა და დამაფასოებელი ცენტრების გარეშე?

შესაძლებელია თუ არა, ტონობით ჰეროინის ქვეყნიდან შეუმჩნევლად გატანა, როცა საყოველთაოდ ცნობილია გატანის ერთადერთი ადგილი?

შესაძლებელია თუ არა ასეთი რაოდენობის ჰეროინის იმპორტ-ექსპორტი ქვეყანაში ავღანურ, ან სხვა საერთაშორისო ნარკოკარტელებთან ურთიერთობის გარეშე?

ექვემდებარება თუ არა ეს „საქმიანობა“ „ტრანსნაციონალური ორგანიზებული დანაშაულის წინააღმდეგ“ კონვენციას, რომლის მიხედვითაც, გამოძიებას და სისხლის სამართლებრივ დევნას ექვემდებარება დანაშაული, რომელიც ჩადენილია ერთ სახელმწიფოში იმ დამნაშავეთა ორგანიზებული ჯგუფის მონაწილეობით, რომელიც დანაშაულებრივ საქმიანობას ეწევა ერთზე მეტ სახელმწიფოში, ან ჩადენილია ერთ სახელმწიფოში, მაგრამ მისი არსებითი შედეგები ვლინდება მეორე სახელმწიფოში?

– თქვენს მიერ ჩამოთვლილი ქვეყნებიდან რომელიმეს აინტერესებს ამის გამოძიება?

– არ ვიცი, წესით, უნდა აინტერესებდეს, ტრანსნაციონალური დანაშაულების გამოძიებაში ყველა ის ქვეყანა უნდა ჩაერთოს, სადაც ნარკოტრასა გადიოდა.

– ეს ტრასა როდის გაიხსნა?

– „ვარდების რევოლუციამდე“ ნარკოტიკების პრობლემები პანკისის თემას უკავშირდებოდა. 90-იან წლებში, მოპარული მანქანები იქ ჩაჰყავდათ და ნარკოტიკებზე ცვლიდნენ, პანკისში ნარკოტიკები სხვადასხვა გზით შედიოდა, მაგრამ ნარკოტიკების ავღანური ტრასა „ნაციონალების“ დროს, 2006 წელს გაიხსნა, დაახლოებით, ჟვანიას გარდაცვალების მერე. ზურა ჟვანია ისეთი პიროვნება იყო, ზუსტად ვიცი, არ დაუშვებდა სახელმწიფო დონეზე აყვანილი დანაშაულებრივი ნარკოკარტელების არსებობას. მას მერე, რაც აზერბაიჯანიდან საქართველოსკენ მომავალი სატვირთო ავტომანქანა დააკავეს, სადაც სამ ტონამდე ჰეროინი იდო, ტრასამ, პრაქტიკულად, არსებობა შეწყვიტა.

– არსებობს მოსაზრება, რომ საქართველო თითქოს ამ ტრასის გაუქმების გამო ისჯება, რაც ვალუტის კურსზე აისახა.

– ვისგან ისჯება?

– მსოფლიო მაფიისგან, ვინც ამ ტრასებს აკონტროლებს.

– არ მგონია... ლარის კურსის ცვლილება გლობალურ ინფლაციურ პროცესებთანაა მიბმული.

– მარიხუანას დეკრიმინალიზაციის მოთხოვნით აქციები იმართებოდა. რამდენად საშიშია მარიხუანა?

– „მწვანეთა პარტიის“ წარმომადგენლებს ამ საკითხზე საკუთარი პოზიცია გვაქვს. ბევრს მარიხუანა მსუბუქ ნარკოტიკად მიაჩნია, სინამდვილეში, ასე არაა, ამ ნარკოტიკის მომხმარებლები უფრო მძიმე ნარკოტიკულ საშუალებებზე გადადიან. რომც არ გადავიდნენ, სტატისტიკურად, მარიხუანას მოხმარების გამო ბევრ ადამიანს ემართება ფსიქოზი, მიმდინარეობს მათი რესოციალიზაცია და ეს ხდება ქვეყანაში, რომელსაც დემოგრაფიული პრობლემები აქვს, აწუხებს დაუსაქმებელი ახალგაზრდების ბედი. მხარს ვერასოდეს დავუჭერ მარიხუანას დეკრიმინალიზაციას.

– ბატონო გიორგი, საპარლამენტო უმრავლესობის წევრი იყავით, რომელიც ხმაურიანი განცხადებით დატოვეთ. როგორი ურთიერთობა გაქვთ „ოცნებასთან“?

– უმრავლესობასთან გარკვეული შეუთანხმებლობის გამო, საკანონმდებლო ორგანო დავტოვე, მაგრამ ეს იმას არ ნიშნავს, რომ სახელმწიფო საკითხებს საბოლოოდ დავშორდი. ყოველთვის მზად ვარ სათანამშრომლოდ.

– კოალიციის წევრები ხშირად ერთმანეთისგან რადიკალურად განსხვავებულ განცხადებებს აკეთებენ. ზოგჯერ ეს ქვეყნის საგარეო ვექტორსაც კი ეხება, რის გამოც მმართველი გუნდი უხერხულობას ვერც მალავს და ვერც ასწორებს.

– საქმე ისაა, რომ 2012 წლის არჩევნები ფორსმაჟორულ სიტუაციაში ჩატარდა. კოალიცია დაკომპლექტდა იმ სანდო პოლიტიკოსებისა და პიროვნებებისგან, რომლებიც „ნაცმოძრაობას“ წლების განმავლობაში სხვადასხვა ხერხით ებრძოდნენ. ეს საზოგადოების გაბედული ნაწილი იყო, რადგან ბევრი ვერ ბედავდა, „ნაციონალებს“ წინ აღდგომოდა, სატელიტი პარტიებიც იყვნენ. საკმაოდ პრობლემატური იყო მათგან კოალიციის შეკვრა, ამიტომაც კოალიციაში თანდათან თავი იჩინა აზრთა სხვადასხვაობამ, თუმცა ყველას მადლობა უნდა ვუთხრათ, რომ „ნაციონალური“ უბედურებისგან გადაგვარჩინეს. „მწვანეებმა“ თავის დროზე იწვნიეს მათგან წამოსული უსამართლობა და ძალადობა. ჩვენი პარტია, ჯერ კიდევ კომუნისტური მმართველობის დროს, 1988 წელს შეიქმნა და 2007 წლამდე, ანუ დარბევამდე, ოფისი მუშტაიდის ბაღში გვქონდა – დილის 7 საათზე, პოლიციის ფორმაში გადაცმული 200 ადამიანი ჩვენი სამუშაო ოთახებიდან გარეთ ყრიდა კომპიუტერებს, ავეჯს, წიგნებს, მოკლედ, ყველაფერს, რაც ხელში მოხვდებოდათ. გარდა ამისა, „ნაციონალური“ მმართველობისას, ჩვენი პარტია მთლიანად ბლოკირებული იყო, არჩევნებში მონაწილეობა რომ არ მიგვეღო.

– რატომ?

– „მწვანეთა პარტია“ საქართველოში ერთადერთია, ვინც ევროსტრუქტურებთან მჭიდროდაა დაკავშირებული – ევროპარლამენტში ფრაქციაც გვაქვს. „ნაციონალები“ დაინტერესებულნი იყვნენ, რაც შეიძლება ნაკლები კრიტიკული ინფორმაცია გასულიყო ქვეყნის გარეთ, საკუთარი ინფორმატორების მეშვეობით გაებრიყვებინათ ევროსტრუქტურები. ოფისის გარეშე დარჩენილი პარტია კი, მათთვის საშიში არ იქნებოდა. ამასაც გავუძელით, მაგრამ წინ კიდევ სხვა ბოროტება გველოდა: 2012 წელს, როცა გაიგეს, რომ პარტია „ქართულ ოცნებას“ დაუკავშირდა, პიროვნულ შურისძიებაზე გადავიდნენ – აგვისტოში, საბურთალოზე, ჩემი სიძის ოჯახში, „კალაშნიკოვის“ ავტომატი ჯერ ჩადეს, მერე „ამოიღეს“ და მცირეწლოვანი ბავშვების თვალწინ ოჯახის უფროსი დააპატიმრეს. ასე იძიეს შური პარტიაზე, რომელსაც „ნაციონალების“ დამხობაში გარკვეული წვლილი მიუძღვის.

– რას გულისხმობთ?

– როცა „მწვანეთა“ ოფისი დაარბიეს, მიხეილ სააკაშვილმა ოფიციალური წერილი მიიღო ევროკომისიიდან, სადაც პირდაპირ ეწერა, რომ ამ „მწვანეთა პარტიის“ ოფისის დარბევისთვის სერიოზული პრობლემები შეექმნება და პასუხი მოეთხოვება, თუმცა მინდა, გულისტკივილით გითხრათ, რომ უკეთეს დღეში არც დღესაა „მწვანეთა პარტია“: 2013 წელს, „ნაცმოძრაობას“ ორჯერ გაუზარდეს პარტიის ბიუჯეტი, დააფინანსეს პარლამენტს გარეთ მყოფი სხვა პარტიებიც, პარლამენტში მყოფ „მწვანეთა პარტიას“ კი, ფული არ მისცეს. მეტიც, როცა პარლამენტმა დელეგაციების დაკომპლექტება დაიწყო, ეჭვიც არ მეპარებოდა, რომ ევროსტრუქტურებთან დაკავშირებულ ერთადერთი პარტიის წამომადგენელს „ევრონესტის“ ჯგუფში, დელეგაციის წევრად ჩამსვამდნენ, მაგრამ ასე არ მოხდა, ვკითხულობ მიზეზს, პასუხი არ არის. ლატვიის პრეზიდენტად ჩემი მეგობარი, ლატვიის „მწვანეთა პარტიის“ თავმჯდომარე აირჩიეს. ამ შემთხვევაში, დელეგაციის ხელმძღვანელობიდანაც ამომიღეს. კოალიციის შიგნით ხუთი-ექვსი პარტიაა და შიდა ინტრიგებით არიან დაკავებულნი, მე ეს არ მაწუხებს, ჩემს გასაკეთებელს მაინც ვაკეთებ.

ცოტა ხნის წინ, საპარლამენტო უმრავლესობის ლიდერმა, ზვიად კვაჭანტირაძემ პარლამენტის სხდომაზე მადლობა გადამიხადა ევროპარლამენტის „მწვანეთა ფრაქციის“ მხრიდან მხარდაჭერის გამო. საქმე ისაა, რომ ევროპის სახალხო პარტიამ საქართველოს სახელმწიფოს საწინააღმდეგოდ საჩივარი შეიტანა, რისი განხილვაც „მწვანეებმა“ ჩაუგდეს.

– ბატონო გიორგი, თბილისის მერს, დავით ნარმანიას წინასაარჩევნო დაპირებებში ერთი უცნაურად გამორჩეული დაპირება ჰქონდა – „დავრგავ მილიონ ხეს!“ თქვენ, როგორც ამ საქმის პროფესიონალი, ამ დაპირებას როგორ აფასებთ?

– (იცინის) თბილისის მერის წინასაარჩევნო პერიოდში „ენ-დი-აი“-მ კვლევები გააკეთა, რომლის მიხედვით ნარმანია პირველ ადგილზე გადიოდა, მე კი, – მეორე. მედიასაშუალებების დიდი მეცადინეობით, ჩემი კანდიდატურა ჩრდილში დარჩა, ნიკა მელიამ კი, მეოთხე ადგილიდან მეორეზე გადაინაცვლა. მილიონი ხის თემა ერთგვარი პიარსვლა, „მწვანეთა“ ალტერნატივისგან მესიჯის წართმევა იყო. პროფესიონალი ვარ და მილიონი ხის თბილისში დარგვა რომ შეუძლებელია, კარგად ვიცი. ამიტომაც გაიჭედა ნარმანია ამ თემაში.

– თბილისის ინფრასტრუქტურაზე რას იტყვით? ამბობენ, რომ რეკრიაციული ზონები ისევ იჩეხება.

– დღეს ეს პროცესი ნაკლებად შესამჩნევია. მიშას დროს მწვანე საფარი საერთოდ არ სჭირდებოდათ, ეტყობა, მშენებლობაში უზარმაზარი ფული კეთდებოდა. ამიტომაც თბილისი გაივსო მახინჯი ნაგებობებით და ქალაქი დაუძლეველი პრობლემების წინაშე დადგა. შაგრენის ტყავივით დავიწროვდა ქალაქის მშვენება – ვაკის პარკი, ტროტუარებზე მანქანები დადიან... „ნაციონალებმა“ ქალაქში სრული ქაოსი შექმნეს, რისი გამოძახილიც, გარკვეულწილად, 13 ივნისის ტრაგედია იყო. ეს ჩვენი, „მწვანეთა“ თემა გახლდათ, მაგრამ არავინ გამოგვხმაურებია, რადგან ობიექტური აზრი არავის აინტერესებს. დღეს სახელმწიფო მოხელეები დაკავებულები არიან „ნაციონალების“ მიერ საკამათოდ გადმოგდებული თემებით და მასზე მსჯელობით. ალბათ, ორივე მხარეს აწყობს, რომ საქართველოს პოლიტიკურ ასპარეზზე ორი პოლიტიკური ძალა ტრიალებდეს. მომავალ არჩევნებში ჩვენ მხოლოდ იმას დავჯერდებით, რომ ევროპის „მწვანეთა პარტია“ დამკვირვებლებს გამოგზავნის, რომლებიც მოვლენებს ობიექტურად და მიუკერძოებლად გააშუქებენ.

ესაუბრა ᲜᲐᲗᲘᲐ ᲒᲝᲒᲘᲢᲘᲫᲔ

12 № 46 (310) 25 XI - 1 XII

ᲥᲐᲠᲗᲣᲚᲘ ᲬᲘᲗᲔᲚᲘ

ᲚᲘᲢᲔᲠᲐᲢᲣᲠᲐ. ᲖᲔᲚᲝᲕᲜᲔᲑᲐ. ᲰᲝᲚᲘᲢᲘᲙᲐ

ᲧᲝᲕᲔᲚᲙᲕᲘᲠᲔᲣᲚᲘ ᲒᲐᲖᲔᲗᲘ, ᲒᲐᲛᲝᲓᲘᲡ ᲝᲗᲮᲨᲐᲑᲐᲗᲝᲑᲘᲗ

„შენ – უკვდავების ჩამონადენო, მშვენიერებაც ხომ შენით ითქვა;
დიდება შენდა, ჩემო ნათელო – ქართულო სიტყვავ, ქართულო სიტყვავ!“

ᲡᲐᲘᲜᲤᲝᲠᲛᲐᲪᲘᲝ ᲛᲮᲐᲠᲓᲐᲭᲔᲠᲐ

ᲛᲔᲓᲘᲐ ᲰᲝᲚᲓᲘᲜᲒᲘ „ᲯᲝᲠᲯᲘᲐᲜ ᲗᲐᲘᲛᲡᲘ“ ᲓᲐ „ᲒᲝᲠᲑᲘ“ ᲬᲐᲠᲛᲝᲒᲘᲓᲒᲔᲜᲗ ᲛᲔ-16 ᲢᲠᲐᲓᲘᲪᲘᲣᲚ ᲑᲘᲖᲜᲔᲡᲠᲔᲘᲢᲘᲜᲒᲘᲡ ᲓᲐᲯᲘᲚᲓᲝᲔᲑᲘᲡ ᲡᲐᲖᲔᲘᲛᲝ ᲪᲔᲠᲔᲛᲝᲜᲘᲐᲚᲡ

26 ნოემბერს 20:00 საათზე, „ფუნიკულიორის კომპლექსის წვეულებათა დარბაზში“, მედიაჰოლდინგ „ჯორჯიან თაიმსისა“ და საქართველოს საზოგადოებრივი აზრისა და მარკეტინგული კვლევების კომპანია „გორბის“ მე-16 ტრადიციულ ბიზნეს-რეიტინგში გამარჯვებული კომპანია/ბიზნესმენთა დაჯილდოების ცერემონიალი და საზეიმო ვახშამი გაიმართება.

სპონსორები:

• პლატინის სპონსორი - კომპანია „ბლექსიგრუპი“;
• ოქროს სპონსორი - „სოკარ ენერჯი ჯორჯია“;
• გენერალური სპონსორები: კომპანია „ვისოლ პეტროლიუმ ჯორჯია“ და სუპერმარკეტების ქსელი „სმარტი“.

მხარდამჭერები:

1. თბილისის მერია;
2. ეკონომიკის სამინისტრო;
3. ფინანსთა სამინისტრო;
4. ენერგეტიკის სამინისტრო;
5. სოფლის მეურნეობის სამინისტრო;
6. რეგიონური განვითარებისა ინფრასტრუქტურის სამინისტრო;
7. საპარტნიორო ფონდი;
8. საერთაშორისო სავაჭრო პალატა;
9. საქართველოს სავაჭრო სამრეწველო პალატა.

მედია პარტნიორები:

1. საზოგადოებრივი მაუწყებელი;
2. ტელეკომპანია „იმედი“;
3. ტელეკომპანია „დრო“;
4. ტელეკომპანია TV3;
5. ტელეკომპანია TV8;
6. საფერავი TV;
7. TV პირველი;
8. ტელეკომპანია „ობიექტივი“;
9. ტელეკომპანია „მიუზიკბოქსი“;
10. რადიო „ფორტუნა“;
11. ავტორადიო;
12. ონლაინ გაზეთი www.geotimes.ge;
13. ბიზნეს პორტალი www.award.com.ge;
14. ვიდეო პორტალი www.baidu.ge;
15. www.georgianpress.ge;
16. პორტალი „კვირა“.
17. www.epn.ge;
18. www.for.ge;
19. www.newsday.ge;
20. ინგლისურენოვანი გაზეთი Georgian Times;
21. ინგლისურენოვანი გაზეთი Georgia Today;
22. Caucasian Business Week;
23. გაზეთი „სვობოდნაია გრუზია“;
24. გაზეთი „პრაიმტაიმი“;
25. გაზეთი „ვერსია“;
26. გაზეთი „ქართული სიტყვა“;
27. ჟურნალი „თბილისელები“;
28. ჟურნალი „რეიტინგი“.

პირველი ბიზნეს რეიტინგი 1995 წელს გაიმართა, პროექტის მიზანია: ეროვნულ ბიზნესში ყველაზე წარმატებული დარგების განსაზღვრა, დიალოგის მხარდაჭერა ბიზნესს, ხელისუფლებასა და საზოგადოებას შორის, ქართული ბიზნესის ახალი იმიჯის ჩამოყალიბება, ახალი პერსპექტიული კომპანიების წარმოჩენა, საქართველოში მოღვაწე ბიზნესმენების ურთიერთ დაახლოება და, რაც მთავარია, ქართული ბიზნესის მიმართ საერთაშორისო ბიზნეს-საზოგადოების ყურადღების მიპყრობაა, ქართული ბიზნესის წარმოჩენასა და პოპულარიზაციაში კი ბიზნესრეიტინგის წვლილს არა მხოლოდ საქმიანი, არამედ პოლიტიკური სამყაროც აღიარებს.

1995 წლიდან დღემდე ბიზნეს-რეიტინგში გამარჯვებული კომპანიები და ბიზნესმენები არიან:

1. TBC ჯგუფი - მამუკა ხაზარაძე;
2. „კოკა-კოლა ბოთლერს ჯორჯია“ – თემურ ჭყონია;
3. „ყაზბეგი“ – გოგი თოფაძე;
4. „ყაზბეგი კასტელი“ – გოგი თოფაძე;
5. GWS – ლევან გაჩეჩილაძე;
6. შპს „სამგორი“ 94 – ავთო წერეთელი;
7. შპს „თბილავიამშენი“ – პანტიკო თორდია;
8. TBC ბანკი – ვახტანგ ბუცხრიკიძე;
9. „გაერთიანებული ქართული ბანკი“ – ვანო ჩხარტიშვილი;
10. შპს „სამგორი 94“ – ავთო წერეთელი;
11. „ჯეოსელი“ – ოსმან თურანი;
12. „ჯეოსელი“ – ოსმან თურანი;
13. „ჯეოსელი“ – ოსმან თურანი და „საქართველოს ბანკი“ – ირაკლი გილაური;
14. სოკარი – მაირ მამედოვი;
15. „საქართველოს ბანკი“;

საქართველოს ფინანსთა სამინისტროს შემოსავლების სამსახურმა „Georgian Times“-ს და „გორბი“-ს მიაწოდა იმ კომპანიების სია, რომელთაც საქართველოს ბიუჯეტში 1 000 000 000 ლარი და მეტი შეაქვთ. ექსპერტებმა, ეკონომიკური პროფილის ჟურნალისტებმა, არასამთავრობო ორგანიზაციების, ფონდების, მრეწველთა და გადამხდელთა კავშირების წარმომადგენლებმა, სოციოლოგიური კვლევების სამსახურებმა გამოავლინეს საუკეთესო და წარმატებული კომპანიების ტოპ-60, რომელთა შორის გამოვლინდა 30 საუკეთესო კომპანია, რომელიც თავის რიგებს შორის გალა საღამოზე ერთ გამარჯვებულს, ანუ ლიდერს ლიდერთა შორის გამოავლენს, რჩეულს რჩეულთა შორის კი ერთი წლით გარდამავალი გრან-პრი გადაეცემა, ბიზნესის ეროვნული ჯილდო-ხელნაკეთი და ექსკლუზიური კომპოზიცია „ბოლნური ჯვარი“, დამზადებული ძვირფასი ლითონებისგან: ოქროსა (31,5 გრ) და ვერცხლისგან (12 გრამი), ბუნებრივი ქვებისგან-ბრილიანტი (1 ცალი), ლურჯი საფირონი (1 ცალი), ფირუზი (4 ცალი), ცირკონი (2 ცალი), მწვანე ძოწი (2 ცალი). დანარჩენი კომპანიები კი სხვადასხვა ნომინაციებით და ტოპ-30 საუკეთესო კომპანიის დამადასტურებელი დიპლომებით დაჯილდოვდებიან.

პროფესიონალურმა ჟიურიმ, რომელიც საზოგადოებისთვის კარგად ცნობილი და პატივსაცემი პიროვნებებით არის დაკომპლექტებული, საუკეთესო კომპანიები შემდეგი კრიტერიუმებით შეაფასა:

მეწარმეთა ინტერესების დაცვა; საზოგადოებრივი იმიჯი; ეფექტური მენეჯმენტი; ქველმოქმედება/მეცენატობა; სარეკლამო კამპანიის ეფექტურობა; ახალი ტექნოლოგიები; ახალი სამუშაო ადგილები; საქმიანობის სტაბილურობა; კომპანიის ზრდა-წარმატებულობა; აღიარება საზღვარგარეთ; საზოგადოებასთან ურთიერთობა (PR); ეფექტური მარკეტინგი; ფინანსური გამჭვირვალობა; გუნდის პროფესიონალიზმის დონე; პოტენციური საინვესტიციო მიმზიდველობა.

ტრადიციულ მე-16 ბიზნესრეიტინგის საზეიმო გალა ღონისძიებას საკანონმდებლო, აღმასრულებელი, ხელისუფლების წევრები, სასულიერო პირები, ბიზნესმენები, არასამთავრობო ორგანიზაციების, ინტელიგენციის, საქართველოში აკრედიტირებული მისიების და ფონდების წარმომადგენლები, ადგილობრივი და უცხოური მასმედია დაესწრება.

ᲕᲝᲕᲐ ᲥᲐᲠᲡᲔᲚᲐᲫᲘᲡ ᲒᲐᲛᲝᲡᲐᲗᲮᲝᲕᲐᲠᲘ

წავიდა წუთისოფლიდან იქ, მარადიულში ბრწყინვალე ქართველი, მამულიშვილი, რჩეული თბილისელი და სიყვარულით სავსე მეგობარი ვოვა ქარსელაძე.

დიახ, ბავშვობიდან ვოვას ვეძახდით...

მარად საქმით დატვირთული, ხელისგამწვდომი კაცი გახლდათ და საწყალ ხალხს ეხმარებოდა.

20 წლის წინათ, ერთად ვისხედით პარლამენტში, ერთად ვეფერებოდით ჩვენს ბედკრულ საქართველოს...

პარლამენტში თუ კამათი ატყდებოდა, ვოვა მეტყოდა, წავიდეთ, ჯანსუღ, ლუდი და ხინკალი მივირთვათ, თორემ ესენი დაჭამენ ერთმანეთსო.

მისი არაერთგზის ნათქვამი სიტყვებია, სადღეგრძელოშიც ამბობდა: „ჩემო ჯანსუღ, შენ რომ საქართველო გიყვარს, ის საქართველო ჩემი საქართველოა!“

ღმერთმა უმრავლოს საქართველოს ვოვა ქარსელაძისნაირი ქართველები!

გემშვიდობები, ჩემო ვოვა!

ᲯᲐᲜᲡᲣᲦ ᲩᲐᲠᲙᲕᲘᲐᲜᲘ

„შენ — უკვდავების ჩამონადენო, მშვენიერებაც ხომ შენით ითქვა;
დიდება შენდა, ჩემო ნათელო — ქართულო სიტყვავ, ქართულო სიტყვავ!“

ᲡᲐᲘᲜᲤᲝᲠᲛᲐᲪᲘᲝ ᲛᲘᲮᲐᲠᲓᲐᲭᲔᲠᲐ



1) სამართლის მიმართულებით კრიმინალისტიკის (ფოტოდაქტილოსკოპია) სპეციალობაზე მესამე საფეხური (წინაპირობა: საბაზო განათლების (9 კლასი) ატესტატი), მეოთხე საფეხური (წინაპირობა: აღნიშნული პროგრამის მესამე საფეხურის დიპლომი), მეხუთე საფეხური (წინაპირობა: აღნიშნული პროგრამის მეოთხე საფეხურის დიპლომი ან დიპლომის არქონის შემთხვევაში სტუდენტის პირადი ბარათი).

ᲞᲠᲝᲒᲠᲐᲛᲘᲡ ᲮᲐᲜ�გᲠᲫᲚᲘᲕᲝᲑᲐ ᲛᲔᲡᲐᲛᲔ ᲡᲐᲤᲔᲮᲣᲠᲖᲔ — 60 ᲙᲠᲔᲓᲘᲢᲘ (ᲝᲠᲘ ᲡᲔᲛᲔᲡᲢᲠᲘ), ᲡᲐᲡᲬᲐᲕᲚᲝ ᲓᲐ ᲡᲐᲬᲐᲠᲛᲝᲝ ᲞᲠᲐᲥᲢᲘᲙᲔᲑᲘᲗ;

სწავლის საფასური **1200** ლარი.

ᲞᲠᲝᲒᲠᲐᲛᲘᲡ ᲮᲐᲜ�გᲠᲫᲚᲘᲕᲝᲑᲐ ᲛᲔᲝᲗᲮᲔ ᲡᲐᲤᲔᲮᲣᲠᲖᲔ — 60 ᲙᲠᲔᲓᲘᲢᲘ (ᲝᲠᲘ ᲡᲔᲛᲔᲡᲢᲠᲘ), ᲡᲐᲡᲬᲐᲕᲚᲝ ᲓᲐ ᲡᲐᲬᲐᲠᲛᲝᲝ ᲞᲠᲐᲥᲢᲘᲙᲔᲑᲘᲗ;

სწავლის საფასური **1500** ლარი.

ᲞᲠᲝᲒᲠᲐᲛᲘᲡ ᲮᲐᲜ�გᲠᲫᲚᲘᲕᲝᲑᲐ ᲛᲔᲮᲣᲗᲔ ᲡᲐᲤᲔᲮᲣᲠᲖᲔ — 60 ᲙᲠᲔᲓᲘᲢᲘ (ᲝᲠᲘ ᲡᲔᲛᲔᲡᲢᲠᲘ), ᲡᲐᲡᲬᲐᲕᲚᲝ ᲓᲐ ᲡᲐᲬᲐᲠᲛᲝᲝ ᲞᲠᲐᲥᲢᲘᲙᲔᲑᲘᲗ;

სწავლის საფასური **1500** ლარი.

კურსდამთავრებულს ენიჭება კრიმინალისტის შესაბამისად მესამე, მეოთხე და მეხუთე საფეხურის პროფესიული კვალიფიკაცია.

2) მცირე ბიზნესის მწარმოებლის სპეციალობის მეოთხე (წინაპირობა: საშუალო განათლების დამადასტურებელი ატესტატი) და მეხუთე საფეხურზე (წინაპირობა: აღნიშნული პროგრამის მეოთხე საფეხურის დიპლომი ან დიპლომის არქონის შემთხვევაში სტუდენტის პირადი ბარათი).

ᲞᲠᲝᲒᲠᲐᲛᲘᲡ ᲮᲐᲜ�გᲠᲫᲚᲘᲕᲝᲑᲐ ᲛᲔᲝᲗᲮᲔ ᲡᲐᲤᲔᲮᲣᲠᲖᲔ 60 ᲙᲠᲔᲓᲘᲢᲘ (ᲝᲠᲘ ᲡᲔᲛᲔᲡᲢᲠᲘ);

სწავლის საფასური **1500** ლარი.

ᲞᲠᲝᲒᲠᲐᲛᲘᲡ ᲮᲐᲜ�გᲠᲫᲚᲘᲕᲝᲑᲐ ᲛᲔᲮᲣᲗᲔ ᲡᲐᲤᲔᲮᲣᲠᲖᲔ — 120 ᲙᲠᲔᲓᲘᲢᲘ (ᲝᲗᲮᲘ ᲡᲔᲛᲔᲡᲢᲠᲘ);

სწავლის საფასური **1500** ლარი (წლიური).

„ᲗᲑᲘᲚᲘᲡᲘᲡ ᲡᲐᲡᲬᲐᲕᲚᲝ ᲣᲜᲘᲕᲔᲠᲡᲘᲢᲔᲢᲘ“ ᲐᲪᲮᲐᲓᲔᲑᲡ ᲡᲢᲣᲓᲔᲜᲢᲗᲐ ᲛᲘᲦᲔᲑᲐᲡ ᲞᲠᲝᲤᲔᲡᲘᲣᲚᲘ ᲞᲠᲝᲒᲠᲐᲛᲔᲑᲘᲡ ᲤᲐᲙᲣᲚᲢᲔᲢᲖᲔ:

ᲙᲣᲠᲡᲓᲐᲛᲗᲐᲕᲠᲔᲑᲣᲚᲡ ᲔᲜᲘᲭᲔᲑᲐ ᲛᲪᲘᲠᲔ ᲑᲘᲖᲜᲔᲡᲘᲡ ᲛᲬᲐᲠᲛᲝᲔᲑᲚᲘᲡ ᲨᲔᲡᲐᲑᲐᲛᲘᲡᲐᲓ ᲛᲔᲝᲗᲮᲔ ᲓᲐ ᲛᲔᲮᲣᲗᲔ ᲡᲐᲤᲔᲮᲣᲠᲘᲡ ᲞᲠᲝᲤᲔᲡᲘᲣᲚᲘ ᲙᲕᲐᲚᲘᲤᲘᲙᲐᲪᲘᲐ.

ᲡᲐᲑᲣᲗᲔᲑᲘ ᲛᲘᲘᲦᲔᲑᲐ 1 ᲐᲒᲕᲘᲡᲢᲝᲓᲐᲜ 25 ᲡᲔᲥᲢᲔᲛᲑᲠᲐᲛᲓᲔ.
ᲡᲬᲐᲕᲚᲐ ᲓᲐᲘᲬᲧᲔᲑᲐ 28 ᲡᲔᲥᲢᲔᲛᲑᲔᲠᲡ.

ᲡᲐᲑᲣᲗᲔᲑᲘᲡ ᲜᲣᲡᲮᲐ: ᲡᲙᲝᲚᲘᲡ ᲐᲢᲔᲡᲢᲐᲢᲘ, ᲕᲐᲟᲣᲑᲘᲡᲐᲗᲕᲘᲡ ᲡᲐᲛᲮᲔᲓᲠᲝ ᲐᲦᲠᲘᲪᲮᲕᲘᲡ ᲑᲐᲠᲐᲗᲘ,

2 ᲤᲝᲢᲝ ᲡᲣᲠᲐᲗᲘ (3X4), ᲓᲐᲑᲐᲓᲔᲑᲘᲡ ᲛᲝᲬᲛᲝᲑᲐ, ᲒᲐᲜᲪᲮᲐᲓᲔᲑᲐ.

ᲡᲣᲠᲕᲘᲚᲘᲡ ᲨᲔᲛᲗᲮᲕᲔᲕᲐᲨᲘ ᲒᲐᲓᲐᲮᲓᲘᲡ ᲒᲠᲐᲤᲘᲙᲘ ᲨᲔᲓᲒᲔᲑᲐ ᲘᲜᲓᲘᲕᲘᲓᲣᲐᲚᲣᲠᲐᲓ ᲡᲢᲣᲓᲔᲜᲢᲘᲡ ᲘᲜᲢᲔᲠᲔᲡᲔᲑᲘᲓᲐᲜ ᲒᲐᲛᲝᲛᲓᲘᲜᲐᲠᲔ.

ᲛᲘᲡᲐᲛᲐᲠᲗᲘ: ᲗᲑᲘᲚᲘᲡᲘ, ᲜᲘᲜᲝᲨᲕᲘᲚᲘᲡ Ქ. 55
ᲢᲔᲚ.: 2960104
tbuniver.edu@gmail.com

14 | № 46 (310) | 25 XI - 1 XII

ᲥᲐᲠᲗᲣᲚᲘ ᲬᲔᲠᲘᲚᲘ

ᲚᲘᲢᲔᲠᲐᲢᲣᲠᲐ. ᲖᲔᲚᲝᲜᲔᲑᲘ. ᲞᲝᲚᲘᲢᲘᲙᲐ

ᲧᲝᲕᲔᲚᲙᲕᲘᲠᲔᲣᲚᲘ ᲒᲐᲖᲔᲗᲘ, ᲒᲐᲛᲝᲓᲘᲡ ᲝᲗᲮᲨᲐᲑᲐᲗᲝᲑᲘᲗ

„შენ – უკვდავების ჩამონადენო, მშვენიერებაც ხომ შენით ითქვა;
დიდება შენდა, ჩემო ნათელო – ქართულო სიტყვავ, ქართულო სიტყვავ!“

13 ᲜᲝᲔᲛᲑᲠᲘᲡ ᲔᲥᲝ

ᲧᲕᲔᲚᲐᲤᲔᲠᲘ „ᲘᲡᲚᲐᲛᲣᲠ ᲡᲐᲮᲔᲚᲛᲬᲘᲤᲝᲖᲔ“

ᲠᲐ ᲙᲐᲕᲨᲘᲠᲘ ᲐᲥᲕᲗ ᲞᲝᲠᲜᲝᲘᲜᲓᲣᲡᲢᲠᲘᲐᲡᲗᲐᲜ ᲓᲐ ᲕᲘᲜ ᲐᲤᲘᲜᲐᲜᲡᲔᲑᲡ ᲢᲔᲠᲝᲠᲘᲡᲢᲔᲑᲡ

საგამოძიებო სატელევიზიო პროექტ Frontline-ის რეპორტიორი ნაჯიბულა ქურაიში 8 თვე ცდილობდა, აღმოსავლეთ ავღანეთში, ISIS-ის კონტროლირებად ტერიტორიაზე შეეღწია და ის, რაც იქ ნახა, დოკუმენტურ ფილმში ასახა. რეპორტიორმა ფილმს ISIS in Afghanistan დაარქვა, რომელიც ტელეკომპანია PBS-მ ეთერში რამდენიმე კვირის წინ გაუშვა... რეპორტიორი იშვიათი სიზუსტით, პირველწყაროებზე დაყრდნობით აჩვენებს, თუ როგორ ავრცელებს ქვეყნის მასშტაბით თავის ძალაუფლებას თვითგამოცხადებული „ისლამური სახელმწიფო“. ყველაფერ ამის ერთ-ერთი შემადგენელი ნაწილი კი „ბოევიკების“ „აღმზრდელობითი სამუშაოები, ანუ ბავშვებისა და თინეიჯერების ჯიჰადისტებად გაზრდაა.

„ᲘᲡᲚᲐᲛᲣᲠᲘ ᲡᲐᲮᲔᲚᲛᲬᲘᲤᲝᲡ“ ᲤᲡᲝᲜᲘ ᲡᲝᲪᲘᲐᲚᲘᲖᲛᲡᲐ ᲓᲐ ᲐᲮᲐᲚᲒᲐᲖᲠᲓᲝᲑᲐᲖᲔ

„ისლამური სახელმწიფოს“ „ბოევიკები“ პრიმიტიული ტერორიდან ე.წ. ისლამური სოციალიზმის პროპაგანდაზე გადავიდნენ. პარალელურად, სრულყოფილი სახელმწიფო შექმნეს და ახალგაზრდების „დაერბოვკებას“ მსოფლიოს მასშტაბით ცდილობენ...

არცთუ დიდი ხნის წინ, „ისლამურმა სახელმწიფომ“ მორიგი პროპაგანდისტული ფილმი გადაიღო, რომელიც სრულიად საპირისპიროა მედიით რეკლამირებული ვიდეოებისგან, სადაც ჯიჰადისტები მსხვერპლს თავებს აჭრიან, ან აწამებენ. მოკლედ, „ისლამური სახელმწიფოს“ პროპაგანდისტული მანქანა მხოლოდ წამების ვიდეოებს აღარ ავრცელებს და „განმანათლებლურ ფილმებსაც“ ქმნის, სადაც მოთხრობილია დაპყრობილ ტერიტორიებზე, ასევე, ჯიჰადის არსსა და გზაზე.

„ბანკები არის მოტყუება, ფული კეთდება ფულზე და არა – კონკრეტულ პროდუქტებზე... ქაღალდის ფული არაფრითაა გამყარებული, ის არის ფიქცია! აშშ-ს, თავისი ქაღალდების სანაცვლოდ, რესურსები მიაქვს, სად არის აქ სამართლიანობა? თავისი დოლარები რომ გაასაღოს, აშშ ომებს აჩაღებს მთელს მსოფლიოში“, – ნათქვამია „ისლამური სახელმწიფოს“ მიერ შექმნილ პროპაგანდისტულ ფილმებში.

„ისლამური სახელმწიფო“ მსოფლიოში არსებულ სისტემას „კაპიტალისტურ მონათმფლობელობას“ ეძახის და საზოგადოებას თავის ალტერნატივას სთავაზობს. „ისლამური ხალიფატის სახით არსებობდა ალტერნატივა, რომელიც წარმოიშვა არაბეთის უდაბნოში და შემდგომ გავრცელდა ინდოეთიდან ესპანეთსა და მაროკომდე“, – ამბობენ „ბოევიკები“, რომლებიც ძვირფასი ლითონების უპირატესობას ცნობენ და ყველას მოუწოდებენ, ქაღალდის დოლარებიდან ოქროს დინარებზე გადავიდნენ.

„ძვირფას ლითონს აქვს კონკრეტული ფასი, ერთი ოქროს დინარი იწონის 4,25 გრ, ხუთი ცალი კი, – ზუსტად 5-ჯერ მეტს. ასეთი ეკონომიკა ყველასათვის გასაგებია. აქ არ არის საჭირო ფასიან ქაღალდებთან დაკავშირებული რთული მანიპულაციები. ამიტომ ეს გამჭვირვალე და სამართლიანი ეკონომიური სისტემაა“, – ნათქვამია „ბოევიკების“ მიერ გავრცელებულ ერთ-ერთ ვიდეოში, სადაც „ბოევიკები“ და ბავშვები ხელში ოქროს დინარებს ათამაშებენ.

არსებული ინფორმაციით, „ისლამური სახელმწიფოს“ შექმნის სათავეებთან, ბოლო დრომდე, ოფიცერ-სუნიტების მთავარი ფიგურები იდგნენ, რომლებიც თავის დროზე სადამ ჰუსეინის სპეცსამსახურებში მსახურობდნენ. აშშ-ის მიერ ერაყის ოკუპაციის შემდეგ, ისინი სამსახურიდან გაათავისუფლეს, მაგრამ არ გაანადგურეს. შესაბამისად, მათ თავიანთი სტრუქტურების მშენებლობა დაიწყეს. სხვათა შორის, მათ ნაწილს განათლება საბჭოთა კავშირში აქვს მიღებული. ყველანი პარტია „ბაასის“ წევრები იყვნენ. ეს პარტია ყოველთვის არაბული სოციალიზმის მომხრედ და „მტაცებლური იმპერიალისტური კაპიტალიზმის“ მოწინააღმდეგედ ითვლებოდა.

ალბათ, ნაწილობრივ ამით აიხსნება, რომ „ბოევიკებმა“ გასული წლის ზაფხულში ასე სწრაფად და იოლად დაიპყრეს მოსული, მოსახლეობის რაოდენობის მხრივ, მეორე ქალაქი ერაყში. მათ, ასევე, ბევრჯერ გაიმარჯვეს სირიის არმიაზე. მათ ყველაფერი ისევე კარგად იციან, როგორც ერაყისა და სირიის სახელმწიფო ჯარების უფროსმა ოფიცრებმა.

2012-2-13 წლებში, დამასკოში, ბაშარ ასადის წინააღმდეგ გამართული აქციების ერთ-ერთი ორგანიზატორის, სირიის საერო ოპოზიციის აქტივისტის, მურად ქამელის აზრით, „ისლამური სახელმწიფოსთვის“ არსებობს გარკვეული წითელი ხაზები, ანუ თურქეთი და ისრაელი. მისივე თქმით, აშშ და მისი მოკავშირეები დაინტერესებულები არიან სირიის ჩრდილოეთ ნაწილში, ქვეყნის გაყოფის მიზნით, „ისლამური სახელმწიფოს“ გაძლიერებით.

ქამელის სიტყვებით, სირიელების უმრავლესობას არ სურს, იცხოვროს არც ასადის რეჟიმის, არც „ისლამური სახელმწიფოს“ პირობებში. სირიელებისთვის „ისლამური სახელმწიფო“ „ტერორისტული ორგანიზაცია და ისეთივე დიქტატურაა, როგორც ასადის რეჟიმი, ოღონდ ბევრად უარესიც“. ამიტომ, „ისლამური სახელმწიფოს“ წინააღმდეგ ბევრი სირიელი იბრძვის ადლიბში, ალეპოში, დერაააში, დამასკოში.

„სირიელებს აღიზიანებს საერთაშორისო თანამეგობრობის სუსტი რეაქცია „ისლამური სახელმწიფოს“ მოქმედებებზე ჩვენი ქვეყნის ტერიტორიაზე, – ამბობს ქამელი, – „სირიის თავისუფლების არმია“ ებრძვის „ისლამურ სახელმწიფოს“ ასჯერ უფრო მეტად, ვიდრე – ასადის სამთავრობო არმია, ამიტომ სირიელებს „ისლამური სახელმწიფო“ ქვეყნის შიგნით ნამდვილი რევოლუციის ჩახშობის საშუალებად მიაჩნიათ“.

„ᲘᲡᲚᲐᲛᲣᲠᲘ ᲡᲐᲮᲔᲚᲛᲬᲘᲤᲝᲡ“ ᲘᲓᲔᲝᲚᲝ�გᲘᲐ

პირველ ვიდეოებში, რომლებიც „ისლამური სახელმწიფოს“ სახელით გამოჩნდა, ნაჩვენები იყო, თუ როგორ აწამებდნენ ათეულობით და ასეულობით ერაყელ, სირიელ ჯარისკაცებს, იეზიდ ქურთებს, საზღვარგარეთელ ჟურნალისტებს, ანუ თავიანთ მტრებს... ამ დაჯგუფების წარმატებები შესაძლოა, ამდენად შესაჩნევი არ ყოფილიყო, რომ არა სისასტიკით გამორჩეული მასობრივი წამების ვიდეოები.

2014 წლის შემოდგომიდან სხვა შინაარსის ვიდეოებიც გამოჩნდა, სადაც ნაჩვენები იყო, თუ როგორც ეწევიან კომუნალურ მეურნეობას მათ მიერ კონტროლირებად ტერიტორიებზე, ხსნიან სკოლებს (მაშინ გამოჩნდა პირველი რუსულენოვანი რადიკალური ისლამისტების ვიდეოც რუსულ სკოლაზე, ქალაქ რაკაში), როგორ ასწავლიან ბანაკებში მოხალისეებს. ისინი სახელმწიფოებრივი პოზიციებიდან უდგებოდნენ თავიანთი ტერიტორიების მმართველობას და არა ისე, აი, ავიღებთ ხორცს, ფქვილს, ტყვია-წამალს და ისევ წავალთ თოაში, ან უდაბნოშიო. ამით კარდინალურად გამოირჩევა „ისლამური სახელმწიფო“ სხვა ტერორისტული დაჯგუფებებისგან.

მოკლედ, „ისლამური სახელმწიფო“ თავის სახელმწიფოს აშენებს.

„ისლამური სახელმწიფოს“ ტერიტორიაზე მკაცრი კონტროლია დაწესებული: იქ ცხოვრება შეიძლება მხოლოდ მათივე, რადიკალური წესების დაცვით, რისი წყალობითაც, შეძლო ეფექტური მმართველობის დამყარება დაპყრობილი სირიისა და ერაყის ტერიტორიებზე. იქ ფუნქციონირებს სასამართლოები, პოლიცია, სხვა ცენტრალიზებული ორგანოები. მან მიაღწია მმართველობის სისტემის უნიფიცირებას, რისი წყალო-

ᲒᲐᲒᲠᲫᲔᲚᲔᲑᲐ ᲛᲔ-15 ᲒᲕ.

ᲮᲘᲠᲘᲮᲘ

ᲧᲝᲕᲔᲚᲙᲕᲘᲠᲔᲣᲚᲘ ᲒᲐᲖᲔᲗᲘ, ᲒᲐᲛᲝᲓᲘᲡ ᲝᲗᲮᲨᲐᲑᲐᲗᲝᲑᲘᲗ

25 XI - 1 XII | № 46 (310) | 15

ᲛᲘᲡᲘ ᲥᲐᲠᲗᲣᲚᲘ ᲘᲢᲧᲕᲐ

ᲚᲘᲢᲔᲠᲐᲢᲣᲠᲐ. ᲖᲔᲚᲝᲕᲜᲔᲑᲐ. ᲞᲝᲚᲘᲢᲘᲙᲐ

„შენ – უკვდავების ჩამონადენო, მშვენიერებაც ხომ შენით ითქვა;
დიდება შენდა, ჩემო ნათელო – ქართულო სიტყვავ, ქართულო სიტყვავ!“

13 ᲜᲝᲔᲛᲑᲠᲘᲡ ᲔᲥᲝ

ᲛᲔ-14 ᲒᲕᲔᲠᲓᲘᲓᲐᲜ

ბითაც გახდა სირიის ყველაზე ძლიერი ანტისახელმწიფოებრივი დაჯგუფება.

„ისლამური სახელმწიფო“ ხალიფატია, მას შეგნებული აქვს, რომ იდეოლოგია გეოგრაფიასა და თანამედროვე ცხოვრებაში მიღებულ პირობითობაზე მაღლა დგას“, – ამბობს „ომის ხელოვნების“ მთავარი რედაქტორი ილია პლეხანოვი, – „ისლამური სახელმწიფო“ ბევრად მეტია, ვიდრე – სახელმწიფო და ტერორისტული ორგანიზაცია. უპირველეს ყოვლისა, ეს არის იდეოლოგია“.

„ხალიფატი არის იქ, სადაც შენ ხარ!“ – ეს „ისლამური სახელმწიფოს“ ერთ-ერთი მიზანდასახულობაა.

„ხალიფატი არ ცნობს გაეროს და ჩამოყალიბებულ დიპლომატიურ წესს. ტყუილად კი არ ადარებენ ხალიფატს ბოლშევიკებს და საფრანგეთის დიდი რევოლუციის რევოლუციონრებს. მათი იდეოლოგია არ ცნობს საზღვრებს და ზეეროვნულია“, – დასძენს პლეხანოვი.

გაზაფხულზე, „გაზეტა.რუ“-ს კორესპონდენტი იმყოფებოდა სირიის ჩრდილოეთ ფრონტზე, სადაც ადგილობრივი ქურთები „ისლამური სახელმწიფოს“ წინააღმდეგ იბრძოდნენ და თავად დარწმუნდა, რომ „ბოევიკები“ დაპყრობილ ტერიტორიებზე არ ანადგურებდნენ შენობებს, არამედ, ცდილობდნენ, მოწინააღმდეგის გამოდევნას ინფრასტრუქტურისა და შენობების შენარჩუნებით. შემდეგ კი, მშვიდობიანი ცხოვრების ორგანიზებას იწყებდნენ.

„ისლამურმა სახელმწიფომ“ სერიოზულად და დიდი ხნით დაიწყო სამყაროს გარდაქმნა. თუ ტენდენციების მიხედვით ვიმსჯელებთ, სოციალური ბაზა მხოლოდ გაიზრდება. მათი აზრით, ლიბერალური ქვეყნების ჩინოვნიკები კორუფციულ სკანდალებში ეხვევიან, შემდეგ, აწყობენ ყალბ სასამართლოებს და მათ უშვებენ. უმუშევართა, ღარიბთა და უსახლკაროთა რიცხვი იზრდება. „ისლამური სახელმწიფოს“ „ბოევიკი“ კი დგას სადღაც უდაბნოში, დანით ხელში და ჰპირდება სამართლიანობას დაჩაგრულებს, მექრთამეებს კი, – ყელის გამოჭრას“, – ამბობს პლეხანოვი.

მისივე აზრით, ცივი ომის დროს ისლამი მეორე როლით კმაყოფილდებოდა და ზოგჯერ ხურდის როლსაც თამაშობდა: „სოცბლოკის კრახის შემდეგ, ისლამმა თავისი როლი გააცნობიერა. იმატა 30 წლის და მეტი ხნის ახალგაზრდობამ, ისინი უფრო განათლებულები, გლობალურები, მაგრამ უფრო ღარიბები გახდნენ, სოციალისტები გაქრნენ, დასავლეთმა კი, უამრავი ეკონომიური პრობლემით, დაკარგა მიმზიდველობა ახალგაზრდებისთვის. ბოლო 30 წლის განმავლობაში, დასავლეთი ახლო აღმოსავლეთის მრავალ კონფლიქტში ჩაება... დასავლეთის მიმზიდველობის დაკარგვის ფონზე, „ამოსვლას“ იწყებს ისლამური ვარსკვლავი. რას ამოირჩევს მილიარდი ახალგაზრდა – ისლამს თუ დემოკრატიას, ან ლიბერალიზმს? – ამ კითხვას სვამს „ისლამური სახელმწიფო“.

„ისლამური სახელმწიფო“ ფსონს დებს ახალგაზრდებზე, ბავშვებზე, როგორც ამას ბოლშევიკები და ნაცისტები აკეთებდნენ. „ბოევიკები“ უფრო მეტ რესურსს ხარჯავენ ახალგაზრდების მომზადებასა და ბავშვების აღზრდაზე, ვიდრე – ასადთან ომზე. იდეოლოგიური თვალსაზრისით, ამ წლების განმავლობაში, მთელი თაობა დაიკარგა. გაერო-ს სტრუქტურების მონაცემებით, ახლო აღმოსავლეთში 13 მილიონი ბავშვი იმყოფება „ისლამური სახელმწიფოს“ პროპაგანდის გავლენის ქვეშ. აი, ეს არის საფრთხე. როცა ეს ბავშვები გაიზრდებიან, პარიზი ყველას საბავშვო ბაღად მოგვეჩვენება“, – ამბობს პლეხანოვი.

ᲕᲘᲜ ᲘᲧᲝ ᲞᲐᲠᲘᲖᲘᲡ ᲢᲔᲠᲐᲥᲢᲔᲑᲘᲡ ᲝᲠ�გᲐᲜᲘᲖᲐᲢᲝᲠᲘ

აბდელჰადიმ აბაუდი მაროკელი წარმოშობის ბელგიელი იყო. ის სენ-დენის სპეცოპერაციისას მოკლეს.

პარიზის პროკურორის, ფრანსუა მოლენის თქმით, აბაუდის იდენტიფიცირება თითის ანაბეჭდებით მოხდა, რადგანაც აფეთქების შედეგად სხეული საკმაოდ დაზიანდა.

ის ბრიუსელის ახლოს მდებარე ქალაქ მოლენბეკში გაიზარდა, სადაც არაბული ქვეყნებიდან ბევრი ადამიანი ცხოვრობს. ეს რაიონი ცნობილია ტერორისტებით, რომლებმაც სხვადასხვა დროს ტერორისტული აქტები ჩაიდინეს, მათ შორის, 2004 წლის მადრინში მატარებლების აფეთქება, გასული წლის პარიზის სუპერმარკეტზე თავდასხმა და სხვა.

ამავე დროს, რაიონი თითქმის უმუშევრებითაა დასახლებული.

ოპერატიული ინფორმაციის თანახმად, აბაუდი პარიზის ტერაქტებში ეჭვმიტანილ სალახან აბდელსლამმს იცნობდა.

სალახის ძმამ ვოლტერის ბულვარზე თავი აიფეთქა, თვითონ სალახი კი მიიმალა.

2010 წელს, აბდელჰამიდ აბაუდი და სალახ აბდელსლამი ბელგიის ციხეზე შეიარაღებული თავდასხმის გამო პატიმრობაში

ერთად იმყოფებოდნენ.

2013 წელს, აბაუდი „ისლამური სახელმწიფოს“ რიგებში გაწევრიანდა.

რთულია იმის თქმა, აბაუდი როდის გახდა რადიკალი. „ასოშეიეთედ პრესის“ თანახმად, ახალგაზრდობაში ბელგიის ერთ-ერთ საუკეთესო სკოლაში სწავლობდა, თუმცა რაიონში, სადაც ცხოვრობდა, ბელგიის მთავრობის აღიარებით, ახალგაზრდა მუსლიმები ხშირად ექცეოდნენ რადიკალური ისლამის გავლენის ქვეშ.

ამასთან, მოლენბეკში აბაუდი მეჰდი ნემმუშემს შეხვდა, რომელმაც მოგვიანებით, ბრიუსელის ებრაულ მუზეუმში დამთვალიერებლები დახოცა.

პროცენტულად, ევროპის ქვეყნებიდან „ისლამური სახელმწიფოს“ რიგებს ყველაზე მეტი ბელგიელი შეუერთდა. ბელგიის მთავრობა თვლის, რომ სწორედ აბდელჰამიდ აბაუდმა შექმნა და დააფინანსა ტერორისტული ჯგუფი ბელგიის აღმოსავლეთით, რომელიც ბელგიის პოლიციამ მიმდინარე წლის იანვარში აღმოაჩინა.

დადგენილია, რომ ამ რეიდის დროს მოკლული ჯიჰადისტებიც „ისლამურ სახელმწიფოს“ მიეკუთვნებოდნენ.

„დაბიკში“, რომელიც ჯიჰადისტების ინგლისურენოვანი ჟურნალია, აბაუდმა დაიტრაბახა, რომ ისიც მონაწილეობდა ზემოაღნიშნული ტერორისტების საქმიანობაში. მისივე თქმით, ის და კიდევ ორნი ჩუმად დაბრუნდნენ ბელგიაში და იპოვეს უსაფრთხო თავშესაფარი, სადაც დაიგეგმა კიდეც ქრისტიანებზე თავდასხმა.

„სპეცსამსახურები მიცნობდნენ, რადგანაც ერთხელ უკვე ვიჯექი ციხეში. ერთხელ, პოლიციამ გამაჩერა და ჩემი სახე ჩემსავე ფოტოს შეადარა, მაგრამ გამიშვა, რადგანაც მსგავსება ვერ იპოვა. ეს ალაჰის საჩუქარი იყო“, – ამბობდა აბაუდი.

აბაუდის კვალი ჩანს, ასევე, საფრანგეთის მატარებელში ვერშემდგარ ტერაქტში, რომელიც ქვეყნის ჩრდილოეთით მოხდა. მაშინ მგზავრებმა გააუვნებელყვეს ტერორისტი.

ისლამური სახელმწიფოს 2014 წლის პროპაგანდისტულ ვიდეოში აბაუდი ავტომანქანაშია დაფიქსირებული, რომელსაც დამახინჯებული გვამები გადააქვს.

აბდელჰამიდ აბაუდი ისე იყო ჯიჰადის იდეით შეპყრობილი, რომ საკუთარი 13 წლის ძმაც სირიაში საბრძოლველად გააგზავნა.

სხვათა შორის, „ისლამური სახელმწიფო“ მსოფლიოში ყველაზე მდიდარი არასახელმწიფოებრივი სამხედრო დაჯგუფებაა.

ᲕᲘᲜ ᲐᲤᲘᲜᲐᲜᲡᲔᲑᲡ ᲢᲔᲠᲝᲠᲘᲡᲢᲔᲑᲡ

თავდაპირველად, „ისლამური სახელმწიფოს“ მსხვერპლი საუდის არაბეთისა და კატარის მკვიდრი მდიდარი ადამიანები იყვნენ. ჯიჰადისტები ისლამის სუნიტურ მიმდინარეობას მიეკუთვნებიან და სირიის პრეზიდენტის ბაშარ ასადის წინააღმდეგ კერძო შემოწირულობებს იყენებდნენ, რომელიც ალავიტური მიმდინარეობის წარმომადგენელია. დღეს კი, „ისლამური სახელმწიფო“ საკუთარ თავს თვითონ აფინანსებს.

ამერიკელი ექსპერტების შეფასებით, 2014 წელს, „ისლამური სახელმწიფო“ კვიარაში რამდენიმე მილიონ დოლარს გამოიმუშავებდა ნავთობით (წლის განმავლობაში, დაახლოებით, 100 მილიონი დოლარი). კონტრაბანდული ნავთობის მომხმარებელი ძირითადად თურქეთი, ირანი და სირიის მთავრობაა. ახლა კი, ფინანსების ეს წყარო, საჰაერო თავდასხმების გამო გარკვეულწილად შემცირდა.

2014 წელს გატაცებული ადამიანების გამოსასყიდმა „ისლამურ სახელმწიფოს“, დაახლოებით, 20 მილიონი დოლარი მოუტანა.

„ისლამური სახელმწიფოდან“ ერთ-ერთმა გაქცეულმა ტყვემ თქვა, რომ დაჯგუფებას აქვს „სადაზვერვო აპარატი“, რომლის მიზანია სირიაში მყოფი ჟურნალისტები. მათზე ნადირობა სირიაში ჩასვლისთანავე იწყება.

გარდა ამისა, ადამიანების გატაცება დაჯგუფების ძლიერი პროპაგანდისტული იარაღია.

ᲫᲐᲠᲪᲕᲐ ᲓᲐ ᲒᲐᲛᲝᲫᲐᲚᲕᲐ

„ისლამური სახელმწიფო“ თვეში მილიონობით დოლარს გამომძალველობით შოულობს – მილიონობით ადამიანს, რომელიც „ხალიფატის“ ტერიტორიაზე სხვადასხვა მიზეზით აღმოჩნდება, ართმევენ ფულს. „მეომრები“ ფულს ითხოვენ „ხალიფატის“ ტერიტორიაზე ცხოვრებისთვის, ბიზნესის გახსნისთვის, ან სხვა მიზეზებით.

დაჯგუფებას შემოსავლები შესდის ბანკების გაქურდვით, ასევე, ანტიკვარიატის მოპარვა-გაყიდვით. ისინი იპარავენ და ყიდიან ცხვრის ფარებს და სოფლის მეურნეობის პროდუქტებს.

„ისლამური სახელმწიფოს“ ტერიტორიაზე მცხოვრები რელიგიური უმცირესობები იხდიან სპეციალურ გადასახადს.

მიმართვაში, რომელიც ქალაქ მოსულის მეჩეთში იქნა წაკითხული ისლამისტების მიერ, დაჯგუფებამ ქრისტიანებს მოუწოდა, მიიღონ ისლამი და გადაიხადონ გადასახადები, ან მოკვდნენ, თუკი ისინი არ დატოვებენ ქალაქს.

„ჩვენ მათ სამ შესაძლებლობას ვთავაზობთ: ისლამი, შეთანხმება და გადასახადი. უარის თქმის შემთხვევაში, ჩვენ გვაქვს ხმალი!“ – ნათქვამია „ისლამური სახელმწიფოს“ განცხადებაში.

ისლამისტები შემოსავალს იღებენ, ასევე, გატაცებული ქალებისა და გოგონებისგან, რომელთაც სექს-მონებად იყენებენ.

„ისლამური სახელმწიფოს“ მიერ ერაყის ჩრდილოეთით, სინჯარის აღების შემდეგ, რელიგიური უმცირესობების წარმომადგენლები აცხადებდნენ, რომ „ბოევიკებმა“ ათასობით ქალი აიყვანეს ტყვედ, რომლებიც სექსუალურ მონებად აქციეს.

იეზიდმა ჰანნამ, რომელმაც შეძლო ჯიჰადისტების ტყვეობიდან გამოქცევა, „ბი-ბისი“-სთან საუბრისას თქვა, რომ დანარჩენ 200 ქალთან ერთად იქნა გატაცებული. ისინი მონათა ბაზარზე გაიყვანეს, სადაც „ისლამური სახელმწიფოს“ „ბოევიკები“ თავისთვის ირჩევენ ქალებს.

„ᲘᲡᲚᲐᲛᲣᲠᲘ ᲡᲐᲮᲔᲚᲛᲬᲘᲤᲝᲡ“ ᲧᲕᲔᲚᲐᲖᲔ ᲡᲘᲡᲮᲚᲘᲐᲜᲘ ᲝᲞᲔᲠᲐᲪᲘᲔᲑᲘ:

13 ნოემბერი, პარიზი, საფრანგეთი – ტერაქტი ქალაქის სხვადასხვა წერტილში. დაიღუპა 129 ადამიანი.

12 ნოემბერი, ბეირუთი. ლიბანი – თვითმკვლელმა ტერორისტებმა 43 ადამიანი მოკლეს.

31 ოქტომბერი, შარმ-ელ-შეიხი, ეგვიპტე – რუსული ავიალაინერ A321-ის აფეთქების შედეგად ბორტზე მყოფი ყველა მგზავრი (224) დაიღუპა. პასუხისმგებლობა „ისლამურმა სახელმწიფომ“ აიღო.

10 ოქტომბერი, ანკარა, თურქეთი – თვითმკვლელმა ტერორისტებმა აფეთქების შედეგად მშვიდობიანი დემონსტრაციის მონაწილე 102 ადამიანი მოკლეს. თურქეთმა მომხდარში „ისლამური სახელმწიფო“ დაადანაშაულა, თუმცა ისლამისტებს ამ აფეთქებაზე პასუხისმგებლობა არ აუღიათ.

18 ივლისი, ბანი-საადი, ერაყი – ბაზარში, მანქანაში ჩამონტაჟებული ბომბის აფეთქებას 120 ადამიანის სიცოცხლე ემსხვერპლა.

26 ივნისი, ტუნიზი – ტერორისტმა პლაჟზე 38 ადამიანი მოკლა.

22 მაისი, ელ-კატიფი, საუდის არაბეთი – თვითმკვლელმა ტერორისტებმა 21 ადამიანი მოკლეს.

21 მარტი, სანა, იემენი – თვითმკვლელმა ტერორისტებმა აფეთქების შედეგად 137 ადამიანი მოკლეს.

18 მარტი, ტუნიზი – შეიარაღებულმა ბოროტმოქმედებმა 19 ადამიანი მოკლეს, ძირითადად, უცხოელი ტურისტები.

მომზადებულია „თაიმერ.გე“-ს მიხედვით

16 № 46 (310) 25 XI - 1 XII

ქართული იტყუჰა

ᲚᲘᲢᲔᲠᲐᲢᲣᲠᲐ. ᲖᲔᲚᲛᲬᲘᲤᲔᲑᲐ. ᲰᲝᲚᲘᲢᲘᲙᲐ

ᲧᲝᲕᲔᲚᲙᲕᲘᲠᲔᲣᲚᲘ ᲒᲐᲖᲔᲗᲘ, ᲒᲐᲛᲝᲓᲘᲡ ᲝᲗᲮᲨᲐᲑᲐᲗᲝᲑᲘᲗ

„შენ – უკვდავების ჩამონადენო, მშვენიერებაც ხომ შენით ითქვა;
დიდება შენდა, ჩემო ნათელო – ქართულო სიტყვავ, ქართულო სიტყვავ!“

ᲯᲐᲜᲛᲠᲗᲔᲚᲝᲑᲘᲡ ᲐᲜᲐ-ᲑᲐᲜᲐ

დაავადებათა ანატომია

ეს გვერდი თქვენი ჯანმრთელობის, თქვენი დღეგრძელობის, თქვენი გარეგნული მომხიბვლელობისა და ხალისიანი ცხოვრების ხელშეწყობისთვისაა. ჩვენი მიზანია შეძლებისდაგვარად გავცეთ პასუხი ყველა იმ შეკითხვას, რაც ადამიანს საკუთარი თავის მოვლისთვის ყოველდღე და ყოველ საათს სჭირდება. ვეცდებით, მეცნიერების უკანასკნელ მიღწევებზე დაყრდნობით, პოპულარულად გადმოგცეთ სპეციალისტთა რჩევა-დარიგებები ჯანმრთელობის შესანარჩუნებლად, ან მის აღსადგენად და ისეთი ხერხები შემოგთავაზოთ, რაც იოლად, იაფად მასაღწევია. თითოეული თქვენგანი აუცილებლად ნახავს მისთვის საინტერესო მასალებს ჩვენს ახალ რუბრიკაში, მათ შორის, მამაკაცის, ქალის და ბავშვის ჯანმრთელობაზე, დღეგრძელობის საიდუმლოზე კოსმეტიკაზე, დაავადებათა ანატომიაზე, ხალხურ მედიცინაზე, ჯანსაღ კვებასა და ცხოვრებაზე, კულინარიაზე. დაველოდებით თქვენს შენიშვნებს, სურვილებს, გამოხმაურებებს სხვადასხვა საკითხზე. გმადლობთ, რომ ჩვენი მეგობარი გახდებით.



ᲞᲠᲝᲡᲢᲐᲢᲘᲢᲘᲡ, ᲐᲜᲣ ᲬᲘᲜᲐᲛᲓᲔᲑᲐᲠᲔ ᲯᲘᲠᲙᲕᲚᲘᲡ ᲐᲜᲗᲔᲑᲐ

ᲡᲘᲛᲞᲢᲝᲛᲔᲑᲘ – წინამდებარე ჯირკვლის მწვავე ანთებას ტკივილი სასქესო ორგანოსა და წელის ქვედა არეში ახლავს, ასევე, შემცივნება და ტემპერატურის აწევა. ამის გამო იწყება გახშირებული შარდვა. შარდში კი შეიძლება, სისხლიც გამოჩნდეს. ბაქტერიული ინფექცია შეიძლება, სათესლე პარკშიც გავრცელდეს და გამოიწვიოს ინტენსიური დისკომფორტი, შესიება, შეწითლება, გამოხატული ტკივილი შეხების დროს. ტკივილის გამო, ზოგჯერ იმპოტენცია ვითარდება.

ᲛᲘᲖᲔᲖᲔᲑᲘ – პროსტატიტის გამომწვევი მიზეზების განსაზღვრა, ჩვეულებრივ ვერ ხერხდება, მაგრამ ზოგჯერ ბაქტერიული ინფექცია წინამდებარე ჯირკვალში საშარდე გზით აღწევს. პროსტატიტი შეიძლება, სოკოვანმა და ვირუსულმა ინფექციებმაც გამოიწვიოს.

ᲓᲘᲐ�გᲜᲝᲡᲢᲘᲙᲐ – პროსტატიტის დიაგნოსტიკა სიმპტომების საფუძველზე და პალპაციის შედეგებით ხდება. რექტალური გამოკვლევით, ექიმი აღმოაჩენს, რომ წინამდებარე ჯირკვალი გადიდებულია და მტკივნეული. ზოგჯერ შარდის, ან წინამდებარე ჯირკვლის გასინჯვისას გამოყოფილი სითხის დათესვაც ხდება.

ᲛᲙᲣᲠᲜᲐᲚᲝᲑᲐ – არაინფექციური პროსტატიტის დროს რეკომენდებულია თბილი მჯდომარე აბაზანები, ჯირკვლის პერიოდული მასაჟი და მიკროკლიზმები. ტკივილების შესამსუბუქებლად შეიძლება, ანალგეტიკური (ტკივილგამაყუჩებელი) საშუალებების მიღება.

ᲠᲝᲚᲘᲡ ᲣᲜᲓᲐ ᲛᲘᲛᲐᲠᲗᲝᲗ ᲔᲥᲘᲛᲡ

- საზარდულში, წელის ქვედა არეში ტკივილების დროს, ტემპერატურის აწევისას.
- ხშირი და შეუკავებელი შარდვის მოთხოვნებისას.
- შარდში სისხლის შემჩნევისას.
- დისკომფორტის შეგრძნებისას, შესიებისას, შეწითლებისა და სათესლე პარკზე შეხებით ტკივილების დროს.

ᲯᲐᲜᲡᲐᲦᲘ ᲙᲕᲔᲑᲐ

ჯანსაღი, გნებავთ, სწორი კვება ნებისმიერი ადამიანის ჯანმრთელობის საწინდარია და მისი დაცვა დაავადებათა თავიდან აცილების, ანუ პრევენციის საუკეთესო და ყველაზე მარტივი პირობაა. ჯანსაღ კვებაზეა დამოკიდებული ჩვენი გარეგნობაც – სილამაზე, ტანადობა და თვით დღეგრძელობაც კი. დღეს მსოფლიოს ყველაზე საუკეთესო ლაბორატორიებში იკვლევენ ცნობილი მეცნიერები კვების რეჟიმებისა და კვების პროდუქტების გავლენას უჯრედულ დონეზე, მაგრამ ის, რაც დღემდეა მიღწეული, საკმარისია საიმისოდ, რომ ადამიანმა დაიცვას საკუთარი თავი მავნე ზემოქმედებებისგან და ხალისიანი ცხოვრება მოიწყოს.

ᲡᲘᲛᲐᲠᲗᲚᲔ ᲛᲐᲠᲘᲚᲖᲔ

ეს ყველაზე უძველესი საკმაზი არაერთმნიშვნელოვანია. იყო დრო, როცა მარილი ოქროზე ძვირად ფასობდა, მაგრამ ამჟამად მისი „დიდება“ საკმაოდ დაკნინებულია. ერთნი მარილს ცოცხალი არსებების უმეტესობის ნორმალური ცხოველმყოფელობისთვის აუცილებელ ელემენტად თვლიან. მეორენი, პირიქით, მისი ზომიერი მოხმარებისკენ მოგვიწოდებენ, ზოგჯერ კი – მის მიღებაზე სრული უარის თქმისკენაც, რასაც მრავალ გამოკვლევებზე დაყრდნობით გვიმტკიცებენ და მიგვითითებენ მაღალ არტერიულ წნევასა და სხეულის შეშუპებებზე, რომელსაც მნიშვნელოვანი ოდენობით მიღებული მარილი იწვევს. მეცნიერები ამტკიცებენ, რომ მარილის 30-გრამიანი დოზა მომაკვდინებელია ადამიანის ორგანიზმისათვის, რადგან ასეთი რაოდენობის ერთჯერადად მიღება ქსოვილებისა და ტვინის შეშუპებას იწვევს. მაინც, რა არის მარილი, სჭირდება თუ არა ორგანიზმს და თუ სჭირდება, რა რაოდენობით?

ᲛᲐᲠᲘᲚᲘᲡ ᲤᲣᲜᲥᲪᲘᲐ – ადამიანის ორგანიზმისთვის მარილი უკიდურესად აუცილებელია. ამის გასაგებად საკმარისია სკოლის ბიოქიმიის კურსში პატარა ექსკურსის ჩატარება. მარილის ძირითადი ელემენტები – ნატრიუმი და ქლორი – ჩვენს ორგანიზმში გარკვეულ ფუნქციებს ასრულებენ. ნატრიუმი მჟავა-ტუტოვანი და წყლის ბალანსის შემანარჩუნებელი ერთ-ერთი მონაწილეა. გარდა ამისა, ის ნერვული იმპულსების გადაცემასა და კუნთების შეკუმშვას უზრუნველყოფს. ქლორი აუცილებელია კუჭის წვენის გამომუშავების პროცესში. ის სხვა რიგ მნიშვნელოვან ფუნქციებსაც ასრულებს, რომელთა შორისაა – ამილაზას ფერმენტების გამომუშავება, რომლებიც აუცილებელია ნახშირწყლების შემცველი საკვების ასათვისებლად. სხვაგვარად რომ ვთქვათ, მარილი ფერმენტების ბუნებრივი მასტიმულირებელია და თუ რაციონიდან მთლიანად გამოვრიცხავთ, მაშინ საჭმლის მომნელებელი სისტემის მუშაობა დაირღვევა, რაც გემოს შეგრძნებას, სისუსტეს, სწრაფ დაღლას, ქოშინს, კრუნჩხვას და გულის მუშაობის დარღვევას გამოიწვევს.

მარილის სარგებლობაზე ასეთი მნიშვნელოვანი არგუმენტების მიუხედავად, მაინც ვერ გამოვრიცხავთ მისი მავნებლობის საკითხს. მართლაც, მარილის უზომოდ გამოყენებამ შეიძლება, გაზარდოს გულის დაავადებების, ღვიძლისა და თირკმლების პათოლოგიების განვითარების რისკი. მარილის მოხმარების შემცირება კი შეიძლება, შეშუპების, პროტეინურიის – შარდში ცილების მაღალი შემცველობის (თირკმლების დაავადება) და მხედველობის გაუარესების საბაბადაც იქცეს.

უმარილო დიეტა ძალიან ეფექტურია ზედმეტად ცხიმიანი კანისა და ფერიმჭამლების თავიდან ასაცილებლად. მარილის ჭარბმა გამოყენებამ კი შეიძლება, კალიუმის დეფიციტი და ოსტეოპოროზი გამოიწვიოს.

„ექსტრა“ კლასის მარილი (რომელიც დახლებიდან კარგა ხანია, გაქრა), ჩვეულებრივი რაფინირების პროდუქტია. ქიმიური და თერმული დამუშავებით ის არა მარტო კარგავს თავის ყველა სარგებლიანობას, არამედ, კანცეროგენულ თვისებებსაც იძენს და იმ მავნე პროდუქტად იქცევა, რომელიც ამაღლებს არტერიულ წნევას. ასეთი მარილი, ვიდრე დახლზე მოხვდება, 650 გრადუსზე მეტზე შრება. მარილის მოლეკულები ვერ უძლებენ ასეთ ტემპერატურას და სკდებიან, მთლიანად იცვლიან სტრუქტურას.

წარმოების შემდეგი ეტაპია სინესტის ქიმიური ამაორთქლებლის დამატება, რომელიც „აშრობს“ მარილს. იოდის ბუნებრივი მარილები გადამუშავების პროცესში იკარგება და მათ ნაცვლად ემატება საკმაოდ ტოქსიკური ელემენტები. ბუნებრივია, ყოველივე ამის შემდეგ ასეთი სახის მარილის სასარგებლო თვისებებზე ლაპარაკი, სრულიად ზედმეტია.

ორგანიზმს მარილი სჭირდება, მაგრამ ნამდვილი, ბუნებრივი და არა – ცივილიზაციისგან „სრულყოფილი“. ზღვის მარილი ბუნებრივად შრება მზეზე, შეიცავს ზღვის ფლორისა და ფაუნის მიკროელემენტებს. მის შემადგენლობაში 85-95% ნატრიუმის ქლორიდია. დანარჩენი 5-15% ქიმიური ელემენტების (ზღვის მარილში ისინი დაახლოებით 84-ია) ყველა შესაძლო ნაერთს უკავია. თვით ასეთი ორგანული მარილიც კი მოზრდილმა ადამიანმა დღეში 2 გრამზე მეტი არ უნდა მიიღოს. ბავშვებისთვის დოზა უფრო ნაკლებია.

და კიდევ ერთი მნიშვნელოვანი დეტალი: დარწმუნებული უნდა იყოთ, რომ შეიძინეთ ნამდვილად ზღვის მარილი და არა ფალსიფიცირებული.

ᲪᲘᲪᲘᲜᲝ ᲛᲭᲔᲓᲚᲘᲨᲕᲘᲚᲘ

როგორ მოვუაროთ კანს

დერმატო-ვენეროლოგის პრაქტიკული რჩევები

თანამედროვე მედიცინა კანის დაავადების 20 ათასამდე სახესა და ფორმას იცნობს, რომლებიც ერთმანეთისგან სირთულითა და ხასიათით განსხვავდება. ზამთარში ხშირია კანის გამოშრობა. როგორ უნდა გავუმკლავდეთ ამ პრობლემას? – „ქართული სიტყვა“ დერმატო-ვენეროლოგ მარეხ ერაძეს ესაუბრა.

– ქალბატონო მარეხ, კანს რა ფუნქცია აქვს?

– კანი მფარველი ორგანოა, რომელსაც მხოლოდ ბარიერული კი არა, თერმორეგულაციის, დამცველობითი და აორთქლების ფუნქციაც აქვს.

– რა იწვევს კანის დაზიანებას?

– კანზე გარეგანი და შინაგანი ფაქტორები მოქმედებს. გარეგანი ფაქტორები მაშინაა ძლიერი, როცა მას შინაგანი დაზიანებებიც ემთხვევა. კანზე, ასევე, მოქმედებს ნერვული სისტემა, კუჭის მოქმედება, სისხლის მიმოქცევა...

– კანის ყველაზე გავრცელებული დაავადებები რომელია?

– ინფექციური დაავადებები – ქავანა, დერმატოზები. არსებობს პარაზიტული დაავადებებიც, რომლებიც ცალკე ჯგუფად გამოიყოფა და გადამდებია. პარაზიტულ დაავადებებს მიეკუთვნება მუნი, დერმიდეკოზი, პედიკულოზი...

– რა იწვევს კანის სიმშრალეს?

– კანის სიმშრალე ბევრ ფაქტორზეა დამოკიდებული, მათ შორის, ნივთიერებათა ცვლაზე, სისხლის მიმოქცევის დარღვევაზე, ჭარბ ტემპერატურაზე, ქიმიურად დაზიანებულ გარემოზე, სითბოზე...

– როგორ ავიცილოთ თავიდან კანის სიმშრალე?

– სიმშრალის შემცირებისათვის საჭიროა, შემცირდეს შინაგანი დარღვევები, განსაკუთრებით, კარგი შედეგი აქვს დერმატულ კოსმეტიკურ კრემებს.

– საზოგადოებრივი ტრანსპორტით ბევრი ადამიანი სარგებლობს. არსებობს თუ არა ალბათობა, რომ კანის ესა თუ ის დაავადება იმ ადგილის ხელის მოკიდებით გადაგვედოს, სადაც დაავადებულმა მოკიდა?

– ამის ნაკლები შანსია, თუმცა რისკი არსებობს.

– რას გვირჩევთ?

– ყურადღება მიაქციეთ ჯანსაღ კვებას, სწორ რეჟიმს, ნორმალურ ძილს...

ᲔᲡᲐᲣᲑᲠᲐ ᲥᲠᲘᲡᲢᲘᲜᲔ ᲭᲝᲠᲭᲝᲚᲘᲐᲜᲘ



„შენ – უკვდავების ჩამონადენო, მშვენიერებაც ხომ შენით ითქვა;
დიდება შენდა, ჩემო ნათელო – ქართულო სიტყვავ, ქართულო სიტყვავ!“

ᲡᲐᲘᲜᲤᲝᲠᲛᲐᲪᲘᲝ ᲛᲮᲐᲠᲓᲐᲭᲔᲠᲐ

ᲡᲐᲥᲐᲠᲗᲕᲔᲚᲝᲨᲘ, ᲞᲠᲔᲛᲘᲐ „ᲘᲕᲔᲠᲘᲘᲡ“ ᲡᲐᲮᲔᲚᲘᲗ, ᲛᲐᲚᲔ ᲘᲚᲘᲐ ᲛᲐᲠᲗᲚᲘᲡ (ᲭᲐᲕᲭᲐᲕᲐᲫᲘᲡ) ᲑᲖᲔᲑᲘᲡ ᲑᲐᲚᲔᲑᲘ ᲒᲐᲨᲕᲔᲜᲓᲔᲑᲐ

„წმინდა ილია მართლის (ჭავჭავაძის) გაზეთ „ივერიის“ სახელობის პროზა-პოეზიის პრემია – „ივერიის“ წელიწადი მეორე ამჯერად გარდაბანს ეწვია. პროექტი მისი უწმინდესობისა და უნეტარესობის, ილია მეორის ლოცვა-კურთხევითაა შექმნილი. წლევანდელი წელი გამორჩეულია ახალგაზრდა შემოქმედებით და მსმენელით, რაც ხაზს კულტურისადმი მოთხოვნას უსვამს. „საგამომცემლო სახლ „ქართული ელიტის“ პროექტს – პრემია „ივერიას“ გარდაბნის მუნიციპალიტეტის საკრებულომ და გამგეობის კულტურის სამსახურმა, ასევე, გარდაბნისა და მარტყოფის ეპისკოპოსის მეუფე იოანემ უმასპინძლა.

„წელიწადი მეორეს მეშვიდე ტურის მონაწილეებმა პროექტის ფარგლებში, სტუმრებთან ერთად, მარტყოფის ანტონ მარტყოფელის სახელობის მამათა მონასტერი მოილოცეს, შემდეგ სოფელ სართიჭალაში მშენებარე წმინდა სამების სახელობის ეკლესია და სამონასტრო კომპლექსი მოინახულეს, რომლის ეზოშიც ბზა დარგეს და ამით კიდევ ერთხელ შეუერთდნენ ქართველი პოეტები მისი უწმინდესობის ლოცვა-კურთხევას – „დარგე ხე“. ბზის პატარა ბაღებს ილია მართლის (ჭავჭავაძის) ბაღებს ვუწოდებთ, რომლებიც მალე მთელი საქართველოს ტერიტორიაზე იქნება. ტაძარს და სამონასტრო კომპლექსს ლაშა გენგაშვილი აშენებს, ეს უდიდესი საქმე გარდაბნის ეპისკოპოსის ლოცვა-კურთხევით ხორციელდება.

პროექტში, როგორც წესი, მწერალ-პოეტების გარდა, ხატმწერი, მხატვარი და ფოტოხელოვანიც იყო ჩართული. მათ, რომლებმაც საკუთარი შემოქმედებით მნიშვნელოვანი წვლილი შეიტანეს ამ ღონისძიებაში. მათ შორის, ერთი შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირი მონაწილეობდა, რომელიც მართლა განსაკუთრებული შესაძლებლობების მქონე ადამიანია.

დასკვნითი, ანუ პოეზიის ღონისძიება გარდაბნის კულტურის სახლში გაიმართა, სადაც თინათინ მღვდლიაშვილმა, ლევან ფანჩვიძემ, გურამ თოდაძემ, მაკა ბლიაძემ, ოთო ფალიანმა, გუჯა ბურდულმა, მაკა ბლიაძემ, თენგო ხუციშვილმა საუკეთესო ლექსები წაიკითხეს“, – ამბობს პრემიის დამფუძნებელი **ნუგზარ ჭიაბერაშვილი.**

პროექტი მრავალწახნაგოვანია და ბევრ საინტერესოს აერთიანებს, მათ შორის იმასაც, რომ მასში რეგიონის შემოქმედები არიან ჩართულნი: ნანა სამხარაძე, წიკლაური, გიორგი არევაძე, ქეთევან მარტიაშვილი, ნანი გულბანი, ნაზი მაღალდაძე, ლუკა ბლიაძე, ლაშა აკოფაშვილი და გიორგი ქეთელაური, ასევე მხატვარი გიორგი გრატიაშვილი, ხატმწერები ლია თავაძე, დიანა გვიდიანი, მედავითნე ხატია ჩიბურდანიძე და შშმ პირი თამარ გურჩიანი.

მონაწილეები უწმინდესისა და უნეტარესის ილია მეორის მიერ დაწესებული სიგელით და წმინდა ილია მართლის ხატით დააჯილდოვეს. ღონისძიებას აფორმებდა ვაჟთა ფოლკლორული ანსამბლი „ბეთანია“ და ქორეოგრაფიული ანსამბლი „ერისეული“.

პროექტის ფარგლებში, 2015 წლის დეკემბრის ბოლოს, გამოვლინდებიან „წმინდა ილია მართლის (ჭავჭავაძე) გაზეთ „ივერიის“ სახელობის პროზა-პოეზიის ლიტერატურული პრემია „ივერიის“ ახალი ლაურეატები.

ქართული იერუსალიმი

18 | № 46 (310) | 25 XI - 1 XII

ყოველკვირეული გაზეთი, გამოდის ოთხშაბათობით

„შენ — უკვდავების ჩამონადენო, მშვენიერებაც ხომ შენით ითქვა;
დიდება შენდა, ჩემო ნათელო — ქართულო სიტყვავ, ქართულო სიტყვავ!“

ARA-ჩვეულებრივი გვერდი



ჩარლი შინს მეგობრები აშანტაჟებენ

„მე აივ ინფიცირებული ვარ! — ამის შესახებ ამერიკულ ტელეარხ „ენ-ბი-სი“-ზე, მეტ ლაუერის გადაცემაში მსახიობმა ჩარლი შინმა განაცხადა და დასძინა, — ამას იმიტომ ვაღიარებ, რომ ბოლო მოვუღო სიცრუეს და ჩემზე თავდასხმებს, ეს ჩემს ჯანმრთელობაზე ცუდად მოქმედებს. ამ დიაგნოზის შესახებ ოთხი წლის წინ გავიგე, რაც ჩემს ცხოვრებაში გარდამტეხი მომენტი იყო... დაავადება საშინელი თავის ტკივილით დაიწყო. დარწმუნებული ვიყავი, რომ თავის ტვინის სიმსივნე მქონდა და ვფიქრობდი, რომ ყველაფერი დასრულებული იყო“. მსახიობის თქმითვე, არიან ადამიანები, რომლებიც ფულს სძალავენ, რათა მისი დაავადების შესახებ საჯაროდ არ მოყვნენ. „ეს ის ადამიანები არიან, ვისაც ვენდობოდი. ისინი ჩემს ახლო სამეგობრო წრეში იყვნენ, ამიტომ იცოდნენ ამ პრობლემის შესახებ. მათ მალევე გამიცრუეს იმედი, როდესაც მილიონები მომთხოვეს, რომ ჩემი დიაგნოზი არ გაეთქვათ“, — განაცხადა ჰოლივუდელმა.

ჟურნალმა „მაქსიმმა“ რუსეთის ყველაზე სექსუალური დიაცი გამოავლინა

ჟურნალმა „მაქსიმმა“ 2015 წლის რუსეთის ყველაზე სექსუალური ქალის ტიტული „ვია გრას“ ყოფილ სოლისტს, 33 წლის ვერა ბრეჟნევას მიანიჭა, რომელიც ახლახან ცოლად რუსეთში მოღვაწე ქართველ კომპოზიტორსა და მუსიკალურ პროდიუსერ კონსტანტინე მელაძეს გაჰყვა. აღსანიშნავია, რომ მსახიობი და ტელეწამყვანი ბრეჟნევა ყველაზე მიმზიდველი ქალების ტოპ-ასეულის სათავეში უკვე მესამედ მოხვდა.

ჯერჯერობით უცნობია, ბრეჟნევას გარდა, თუ კიდევ ვინ მოხვდა რეიტინგის ოცეულში. „მაქსიმის“ ამ „საიდუმლოს“ დეკემბერში გაახმაურებს.

პოლ უოკერის გარდაცვალების სკანდალური დასკვნა

კომპანია „პორშე“ მსახიობ პოლ უოკერს საკუთარ სიკვდილში ადანაშაულებს და განმარტავს, რომ მანქანა, რომელშიც უოკერი იჯდა, გადაკეთებული და ნაწილებშეცვლილი იყო.

„მსახიობის გარდაცვალება და სხვა ზიანი, რაც ამ ავტოავარიამ გამოიწვია, თავად პოლის ბრალია“, — ნათქვამია „პორშე“-ს მიერ სასამართლოში წარდგენილ განცხადებაში.

შეგახსენებთ: სექტემბერში, უოკერის 16 წლის ქალიშვილმა „პორშე“-ს სასამართლოში უჩივლა და საზოგადოებას ამცნო, რომ კომპანიის მიერ წარმოებულ სპორტულ მანქანას, რომელშიც მამამისი იჯდა, მრავალი საწარმოო წუნი ჰქონდა. „პორშე კარერა ჯითი“ სახიფათო მანქანაა, მისი ადგილი ქუჩაში არაა. ასე რომ არ იყოს, დღეს პოლ უოკერი ცოცხალი იქნებოდა“, — ამბობს უოკერის ადვოკატი ჯეფ მაილამი, თუმცა „პორშე“ პასუხისმგებლობას სრულად იხსნის და მანქანასთან დაუდევარ მოპყრობაში ბრალს გარდაცვლილ მსახიობს დებს.

73 წლის ბრიტანელ „ნაშაზე“ კაცები ჭკუას კარგავენ

ჯეინ პეში გაცნობის საიტების 73 წლის ბრიტანელი ვარსკვლავია — მის თაყვანისმცემლებს შორის მრავლად არიან 30-40 წლის მამაკაცები, თუმცა ჯეინი აცხადებს, რომ ახალგაზრდებს მასთან შანსი არ აქვთ.

„თავს მოხუცად საერთოდ არ ვგრძნობ, მაგრამ უპირატესობას მაინც ასაკოვან კაცებს ვანიჭებ“, — ამბობს ქალი, რომლის სექსუალობის საიდუმლო დიეტებსა და პლასტიკურ ოპერაციებშია. სხვათა შორის, „ბებერმა ნაშამ“ პლასტიკურ ოპერაციებში 16 ათასი დოლარი დახარჯა. გარდა ამისა, ყოველთვიურად, 500 დოლარს ბოტოქსის პროცედურაში იხდის. ამას წინათ კი, კისერიც გადაიჭიმა, რაც 6400 დოლარი დაუჯდა.პროცედურაში იხდის. ამას წინათ კი, კისერიც გადაიჭიმა, რაც 6400 დოლარი დაუჯდა.

ᲧᲝᲕᲔᲚᲙᲕᲘᲠᲔᲣᲚᲘ ᲒᲐᲖᲔᲗᲘ, ᲒᲐᲛᲝᲓᲘᲡ ᲝᲗᲮᲨᲐᲑᲐᲗᲝᲑᲘᲗ

25 XI - 1 XII | № 46 (310) | 19

ᲥᲐᲠᲗᲣᲚᲘ ᲚᲘᲢᲧᲕᲐ

ᲚᲘᲢᲔᲠᲐᲢᲣᲠᲐ. ᲪᲮᲝᲚᲘᲡᲬᲐᲜᲔᲑᲐ. ᲞᲝᲚᲘᲢᲘᲙᲐ

„შენ — უკვდავების ჩამონადენო, მშვენიერებაც ხომ შენით ითქვა;
დიდება შენდა, ჩემო ნათელო — ქართულო სიტყვავ, ქართულო სიტყვავ!“

ᲐᲠᲐ-ᲩᲕᲔᲣᲚᲔᲑᲠᲘᲕᲘ ᲒᲕᲔᲠᲓᲘ

ᲔᲕᲠᲝ�პᲔᲚᲔᲑᲡ ᲓᲐᲡᲐᲑᲐᲛᲘ ᲣᲫᲕᲔᲚᲔᲡᲛᲐ ᲙᲐᲕᲙᲐᲡᲘᲔᲚᲔᲑᲛᲐ ᲛᲘᲡᲪᲔᲡ?!

მეცნიერებმა საწურბლიას გამოქვაბულში (გვიანი პალეოლითი, დაახლოებით, 13 ათასი წლის წინანდელი) ადამიანის ნეშთის ნარჩენები შეისწავლეს და, როგორც ქართული საინფორმაციო სააგენტო „თაიმერი“ წერს“, ევროპის თანამედროვე მოსახლეობის მეოთხე, აქამდე უცნობი კომპონენტი აღმოაჩინეს. „ეს რასა კავკასიიდანაა, რომელიც მთებში აფრიკიდან თანამედროვე ადამიანების წამოსვლის შემდეგ, 45 ათასი წლის წინ დამკვიდრდა. ამ ადამიანებმა მრავალი ათასი წელი გაატარეს იზოლაციაში. გამყინვარების პერიოდის დასრულების შემდეგ კი, ევროპაში დასახლდნენ“, — ნათქვამია Jurnal Nature Communications-ში გამოქვეყნებულ კვლევაში... „ადრე, მეცნიერებმა სამი უძველესი პოპულაცია დაადგინეს, რომელიც საფუძვლად დაედო თანამედროვე ევროპელებს. კრომანიონელების აფრიკიდან გადმოსვლის შემდეგ (45 ათასი წლის წინ), მონადირე-შემგროვებლების ნაწილი ჩრდილო-დასავლეთისკენ წავიდა და ევროპის დიდი ნაწილი შეავსო (ესპანეთიდან უნგრეთამდე), დანარჩები კი, აღმოსავლეთ ხმელთაშუა ზღვის არეალში დასახლდნენ. სწორედ მათ დაიწყეს პირველებმა სოფლის მეურნეობა, შემდეგ (10-12 ათასი წლის წინ) კი, ევროპისკენ წავიდნენ, საიდანაც უძველესი მონადირე-შემგროვებლები გააძევეს.

ბოლოს, ბრინჯაოს ხანის დასაწყისში (დაახლოებით, 5 ათასი წლის წინ), აზიიდან ევროპას მომთაბარეები „შეესივნენ“, რომლებიც კავკასიაში დარჩნენ და იმავე აფრიკელი მონადირე-შემგროვებლების შთამომავლები არიან.

ერთხანობას მათ თავიანთ მეზობლებთან კონტაქტი ჰქონდათ, მაგრამ ბოლო გამყინვარებამ (25 ათასი წლის წინ) ისინი გარე სამყაროს მოსწყვიტა. ამიტომ, მათ კავკასიაში ცხოვრება, დაახლოებით, 15 ათასი წელი მოუწიათ, რამაც გამოიწვია მათი პოპულაციის შემცირება. ბოლოს, როცა გამყინვარება დამთავრდა, ამნა ცულტურე-ს სხვა წარმომადგენლებთან ერთად, დასავლეთისკენ წავიდნენ.

როგორც აღმოჩნდა, კავკასიელების ნაწილი წავიდა აღმოსავლეთისკენ და საბოლოოდ მიაღწია ინდოეთს. მათი გენები წარმოადგენენ თანამედროვე სუბკონტინენტის ევროპული კომპონენტის საფუძველს. სავარაუდოდ, ეს შეიძლება იყოს ინდოეთის დაპყრობა ინდო-არიულ ენებზე მოლაპარაკე ტომებით. კავკასიელების მასშტაბური მიგრაცია, ათასეული წლების იზოლაციის შემდეგ, დამაჯერებლად გამოიყურება — კავკასია ევრაზიის ცენტრში მდებარეობს, საიდანაც მიდის გზები, როგორც აღმოსავლეთისკენ, ასევე, დასავლეთისკენ“, — ნათქვამია „თაიმერის“ მიერ გამოქვეყნებულ ზემოხსენებულ სტატიაში.

40 ᲬᲚᲘᲡ ᲑᲔᲥᲰᲔᲛᲘ ᲘᲡᲔᲕ ᲞᲚᲐᲜᲔᲢᲘᲡ ᲥᲐᲚᲔᲑᲘᲡ ᲒᲣᲚᲗᲐᲛᲞᲧᲠᲝᲑᲔᲚᲘᲐ

მსოფლიოში გავლენიანმა ჟურნალმა People-მა მსოფლიოს ყველაზე სექსუალური მამაკაცი დაასახელა და ეს ტიტული ინგლისის საფეხბურთო ნაკრების ყოფილ კაპიტანს, დევიდ ბექჰემს მიაკუთვნა.

შეგახსენებთ: ფეხბურთის 40 წლის ვარსკვლავი ოთხი შვილის მამაა.

შარშან, ანუ 2014 წელს კი, ჟურნალმა ეს ტიტული კრის ჰემსვორტს მიანიჭა.

ᲡᲔᲠᲕᲘᲖᲘ „ᲛᲐᲓᲝᲜᲐ“ — ᲡᲐᲑᲭᲝᲗᲐ ᲜᲝᲡᲢᲐᲚᲒᲘᲐ

საბჭოთა კავშირში ბავშვმაც კი იცოდა, თუ რა იყო სერვიზი „მადონა“ — მოოქროვილი ჭურჭელი, რომელზეც ნახევრად შიშველი ლამაზმანები იყვნენ გამოსახულნი, ოჯახის პრესტიჟისა და კეთილდღეობის ერთგვარ სიმბოლოდ ითვლებოდა. შესაბამისად „მადონაზე“ ყველა საბჭოთა დიასახლისი ოცნებობდა. მაღალხარისხიანმა გერმანულმა ჭურჭელმა მთელ მსოფლიოში სახელი მე-18 საუკუნეში გაითქვა — გერმანელმა ოსტატებმა ისეთივე საუკეთესო ხარისხის ფაიფურის დამზადება ისწავლეს, როგორიც ჩინელმა ოსტატებმა იცოდნენ. შესაბამისად, გერმანული ფაიფურის ექსპორტს მრავალწლიანი ისტორია აქვს.

გერმანული ფაიფურის მიმართ ინტერესი საბჭოთა ჯარების გერმანიაში შესვლის შემდეგ გაჩნდა. მეორე ომის შემდეგ, პირველი, რაც გერმანელებმა აღადგინეს, Kahla-ს ფაბრიკა იყო, სადაც საქვეყნოდ ცნობილი სერვიზი მზადდებოდა.

გერმანიაში წარმოებული „მადონას“ სამი მეოთხედი საბჭოთა კავშირის ქვეყნებში იყიდებოდა.

„მადონას“ სერვიზი ძველებურ, დეკორის სტილში იხატებოდა: კერამიკაზე გამოსახულება ქაღალდიდან გადაჰქონდათ და მაღალ ტემპერატურაზე გამოწვით აფიქსირებდნენ. მზა ჭურჭელი კი, დამახასიათებელი მოოქროვილი ტექნიკით იხატებოდა. თავისთავად, ფაიფურიც უმაღლესი ხარისხის იყო. მზადდებოდა ჩაის, ყავისა და სასადილო სერვიზები.

„მადონას“ სერვიზი საბჭოთა კავშირში პირველად სამხედრო ოფიცრებმა შემოიტანეს. გერმანული ფაიფური განსაკუთრებით გენერლების ცოლებმა შეიყვარეს. სწორედ მათ დაამკვიდრეს „მადონას მოდა“, რითიც ხაზს თავიანთ შესაძლებლობას უსვამდნენ.

„მადონას“ პოპულარობის პიკმა მე-20 საუკუნის 70-80-იან წლებში მიაღწია.

გადამყიდველების გარდა, „მადონას“ შეძენა საკომისიო მაღაზიებშიც შეიძლებოდა. მიზერული რაოდენობის საქონელი კოლოსალურ თანხად იყიდებოდა. მაგალითად, ჩაის სერვიზი 6 პერსონაზე 180 მანეთი ღირდა; ჩაის, ყავის ან სასადილო სერვიზს 12 პერსონაზე კი 300-600 მანეთის ფარგლებში შეიძენდით.

გერმანიაში „მადონას“ წარმოება 1995 წელს შეწყდა. სამაგიეროდ, „მადონას“ პოლონეთი და ჩეხეთი „უშვებს“, თუმცა ახლანდელი სერვიზი ძველებურს ხარისხით საკმაოდ ჩამოუვარდება.

მიუხედავად ამისა, „მადონაზე“ მოთხოვნა დღესაც დიდია, განსაკუთრებით, პოსტსაბჭოთა ქვეყნებში.

ᲞᲠᲘᲜᲪᲘ ᲰᲐᲠᲘ 19 ᲬᲚᲘᲡ ᲒᲝᲒᲝᲡᲒᲐᲜ ᲨᲕᲘᲚᲡ ᲔᲚᲝᲓᲔᲑᲐ

ბრიტანეთის გვირგვინის მეხუთე მემკვიდრე, 31 წლის პრინცი ჰარი, 19 წლის გოგონასგან, რომელთანაც ხანმოკლე რომანი ჰქონდა, შვილს ელოდება.

როგორც დასავლური მედია იუწყება, სამეფო ოჯახთან დაახლოებული პირები აცხადებენ, რომ აღნიშნული ინფორმაცია სიმართლეა და დიდი უსიამოვნების მიზეზიც გახდა.

„პრინცი ჰარი აცხადებს, რომ თუ მისი მამობა დადასტურდა, გოგონას ცოლად შეირთავს. ამ გადაწყვეტილებას კი კატეგორიულად ეწინააღმდეგება დედოფალი ელიზაბეტი. ჰარის პოზიციას იზიარებენ მისი ძმა და რძალი — პრინცი უილიამი და ჰერცოგინია ქეით მიდლტონი“, — ნათქვამია ბულვარულ სტატიაში.

შეგახსენებთ: მაისში, ერთ-ერთ ინტერვიუში პრინცმა განაცხადა, რომ ძალიან უნდა ცოლ-შვილი, მაგრამ ჯერ არ იცნობს ისეთ ქალს, რომელსაც საკუთარ ბედს დაუკავშირებს.

უელსის პრინც ჩარლისა და პრინცესა დიანას უმცროსი ვაჟი, პრინცი ჰარი 1984 წლის 15 სექტემბერს, ლონდონში დაიბადა. სწავლის დასრულების შემდეგ, სამხედრო კარიერა აირჩია და საკმაოდ წარმატებულიც გამოდგა. 2012-2013 წლებში, 20 თვის განმავლობაში ჰარი ავღანეთშიც იმყოფებოდა. პრინცმა საკუთარი ათწლიანი სამხედრო კარიერა 2015 წლის ივნისში დაასრულა. პრინცი ჰარის სასიყვარულო ურთიერთობები მუდამ განხილვის საგანი იყო, თუმცა ამ დრომდე უცოლოა.

ზურა მეგრელიშვილის ფოტო

ჯანსულის სიცილნათელები

მათე ონიანს!
ყველა ქართველი ზეცის მკვიდრია,
შენ გეუბნები, მათე ონიანს,
ქართველს სიკვდილი სირზე ჰკიდია,
მისთვის მთავარი პანთეონია.

„ნაცები“
სუყველაფერი ღმერთმა ინებოს,
მაინც არსებობთ, უფალი გშველით,
თქვე ერთი კაცის გაჩენილებო,
რა ერთნაირი ღიმილი გშვენით.

კარაქი „პრეზიდენტი“
თუ ხართ მართლა
მოწოდებით რეზიდენტი
და თუ ანთებთ
დღევანდელი პრესის დენთს,
გაიხარეთ,
კარაქს ჰქვია „პრეზიდენტი“,
წაიცხეთ და
შეუძვერით პრეზიდენტს.

რითმა
● ქართული ნაციონალიზმი –
გართული კაცი ონანიზმით,
● კომპანია „ალბატროსი“,
ხელმძღვანელი? – ალბათ, ოსი.
● რით გაგართოს, რით მან,
პოეტის ერთმა რითმამ.

სიბერე
ჰარალი, ჰარი-ჰარალი,
მღერის ბებერთა გუნდი,
სიბერე ცუდი არ არის,
სიბევრე არის ცუდი.

არაკაცები
თითქოს მზესავით იბადებიან,
მაგრამ იღბალი დროსაც გასცდება,
არაკაცებად იბადებიან,
მერე, კვდებიან არაკაცებად!

ტიპი
თან იგინება, თან ხვნეშის,
გთხოვთ, მიაფურთხოთ სახეში.

დიზაინის საავტორო უფლებები დაცულია

ISSN 2298-0024

9 772298 002004 47922

მთავარი რედაქტორი: ჯანსულ ჩარკვიანი
მთ. რედაქტორის მოადგილე: ვანო პავლიაშვილი
სარედაქციო კოლეგია:
ჭაბუა ამირეჯიბი, მერაბ ბერძენიშვილი,
ბაჩანა ბრეგვაძე, თემო გოცაძე, ემზარ კვიტაიშვილი,
არმაზ სანებლიძე,

მედია-ჯგუფი: მარიკა კახაძე,
ნათია გოგიტიძე, ნათია ვერძეული.
დიზაინერი და ფოტოკორესპონდენტი:
ზურა მეგრელიშვილი.

გაზეთი რეგისტრირებულია რეგიონალური ცენტრის (საგადასახადო ინსპექცია) მიერ. რეგისტრაციის №22851

მისამართი:
26 მაისის
მოედანი. №1
ტელ.: 272-63-90

E-Mail: qartulisityva@gmail.com

გაზეთი მოძველებს თავისუფალი პრესის პრინციპით